109
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტურ. პარტიის
ცენტრალური ‡ თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 / მდივნის 10—58)

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49
ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ—65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში—33 კ., ქალაქგარეშე—95 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“.
განცხადებები: [illegible] სტრიქონი—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო 5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს

ოთხშაბათი, 26 ნოემბერი 1924 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კ. № 270 (1125)

დღიური

- ჟორესის ნეშტი გადაიტანეს პანთეონში.
- პოლონეთის კაბინეტის რეორგანიზაცია ჯერ არ დამთავრებულა.
- საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა მონარქისტი რომანენოსი.
- ბულგარეთში ძლიერდება პარტიზანული მოძრაობა.
- ინდოეთის ნაციონალისტებმა ხელი აიღეს ბოიკოტის პოლიტიკაზე.
- საფრანგეთ-გერმანიას შორის განახლდა მოლაპარაკება.

წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების კვირეული

კაცობრიობას მრავალ საუკუნოების განმავლობაში ბორგვა-ტანჯვით წერა-კითხვა შეუძენია, როგორც საუკეთესო იარაღი ბუნებასთან ბრძოლაში... წერა-კითხვის შემწეობით არაფერი დავიწყებას არ მიეცემა და შემთხვევითი კერძო პიროვნებების ხსოვნასთან არ იქნება შეკავშირებული კაცობრიობის წარმატება, მისი წინსვლა.

ამგვარათ კაცობრიობა წერა-კითხვის შემწეობით გამოდის ძველ, ბნელ, ბურუსით მოცულ დროიდან და მეცნიერება-ტეხნიკის მრავალსხივოსან ხანაში გადადის.

მაგრამ კლასთა ბრძოლის საზოგადოებაში. ე. ი. როცა საზოგადოებაში ბატონობენ ძველი წოდება-კლასები,—თავად-აზნაურები და ბურჟუები,—წერა-კითხვა არ არის იარაღი მებრძოლთა მასების განმანთავისუფლებელი, ვინაიდან თვით წესწყობილება ექსპლოატაციისა და ბატონობისა მუშებსა და გლეხებს არ აძლევს საშუალებას საკმაოთ შეითვისონ ამ იარაღის ხმარება.

ძველ მეფობის დროს, მემამულეთა, ბურჟუაზიისა და მენშევიკების ბატონობის დროს ქვეყანა არ მიდიოდა წინ,—წერა-კითხვის უცოდინარობას არ ელებოდა ბოლო. ეს იმიტომ, რომ მათი (ბატონების) მიზანს არ შეადგენდა მასსების, ე. ი. სოციალური, პროლეტარული, რევოლიუციის და საბჭოთა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს შექმნა.

როგორც მემამულეებსა და ბურჟუებს, ისე მენშევიკებს უნდოდათ, რომ მშრომელი ხალხი, ქალაქის მუშა და სოფლის გლეხი ყოფილიყვნენ ბურჟუაზიის ეკონომიურ და პოლიტიკურ მონობის ქვეშ.

ხოლო საბჭოთა მთავრობა ის ხელისუფლებაა, რომელიც ეწყობა მშრომელთა—სოფლის გლეხკაცობისა და ქალაქების მუშების აქტიური მონაწილეობით. რასაკვირველია, თავის თავად ცხადია, რომ ამ პროლეტარიატის დიქტატურა, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს პროლეტარიატის მოწინავე ნაწილი—კომპარტია,—პირველ ალაგზე უნდა იქნეს აღნიშნული...

მასსები თავისი მოწინავეთა ხელმძღვანელობით ქმნიან თავიანთ სახელმწიფოს,—მუშურ-გლეხურს,—საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს...

ეს არის დიქტატურა პროლეტარიატის კომპარტიის ხელმძღვანელობით.

მაშასადამე, თავის თავად ცხადია, თუ როგორ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. სოფლისა და ქალაქის მშრომელ მასსებში წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა, მისი ლიკვიდაცია. თუ მუშა და გლეხი ქმნის სახელმწიფოს,—მან უეჭველად უნდა იცოდეს ძველი და ახალი გამოცდები ხალხების ცხოვრებისა,—კაცობრიობის ისტორიისა და საზოგადოთ მეცნიერება-ტეხნიკისა...

ეს კი შეიძლება სრულიად და სავსებით მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნით... ცხადია, თუ რამდენად შორსმჭვრეტელი იყო ჩვენი უკვდავი **ილიჩი,** როცა ის ერთ მცნებათაგანს უყენებდა საბჭოთა მთავრობას მისი დაარსების მეათე წლის თავზე მაინც, 1927 წლისათვის: მოსპოს წერა-კითხვის უცოდინარობა.

ამ ანდერძისა და თვით ცხოვრების ულმობელ მოთხოვნილებების თანახმათ ჩვენი პარტია,—**კომინტერნი,—რ. კ. პ., ამიერკავკასიის** კომპარტია და საქართველოს კომპარტია საჭიროთ სთვლის, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ყოველივე ღონე იღონოს, რომ თვითეულ კუთხეში, თვითეულ ეროვნებაში, თვითეულ რესპუბლიკაში 1927 წლისათვის, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების 1917 წელს დიდი ოქტომბრის თვეში დაარსების მეათე წლის თავზე მაინც,—წერა-კითხვის უცოდინარობას ბოლო მოიღოს...

საქართველო იმ კუთხეთაგანია მთელ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა, სადაც ამ მხრივ დიდი მუშაობა გვმართებს, რომ შეცდომაში არ შევიდეთ ტყუილი ხმებით, რომ თითქოს ჩვენ ყველა განსწავლულნი ვართ სოფლად და ქალაქად, როგორც მენშევიკები ყბედობდნენ და თავს იქებდნენ.

საჭიროა ფაქტიურად და არა ფიქტიურად ბოლო მოუღოთ ჩვენი რესპუბლიკის, ე. ი. იმერეთ-ამერეთში, სამეგრელოში, გურიაში, აჭარისტანში, აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში წერა-კითხვის უცოდინარობას, რომ, მართლაც, ყველა ჩვენს მოქალაქეთ,—მშრომელთ ქალაქისა და სოფლისა, მშენებელთ ახალ ქვეყნისა,—**საბჭოთა სახელმწიფოსი,** ამაყად შეეძლოთ სთქვან, რომ ისინი არ ჩამორჩნენ დიდი კავშირის სხვა რესპუბლიკების მოქალაქეთ...

ამიტომ დიდი სალამითა და გამარჯვების მხურვალე სურვილებით **ვეგებებით წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების ცენტრალურ გამგეობას და მის თბილისის განყოფილების დროებით ბიუროს გამოსვლას (ამ 20—30 ნოემბერში) მათ კვირეულში, ან საზოგადოების მიზნებისა და მის გასაძლიერებლად კამპანიის ჩატარებას.**

გაუმარჯოს მას, ამ კვირეულს!...

გაუმარჯოს წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობას,—მის ლიკვიდაციას!..

გაუმარჯოს მშრომელთა განათლება განვითარებას!...

გაუმარჯოს მათი შეკავშირებით წარმოებულ დიდ საერთაშორისო მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!..

გაუმარჯოს კომუნიზმს,—ლენინიზმს!..

მიხა ცხაკაია.

ვისთვის არის-ეს საჭირო
ამხ. ტროცკის ახალი გამოსვლის გამო
(„იზვესტია“-ს წერილი)

მოსკოვი. 24 ნოემბერი. ამხ. სტეკლოვი გაზ. „იზვესტია“-ში ეხება რა ტროცკის ახალ გამოსვლას, წერილში ზემოხსენებული სათაურით სწერს „ჩვენ ერთი წუთითაც ეჭვი არ გვეპარება, რომ პირადათ ტროცკის ყველაზე ნაკლებ ჰქონდა მხედველობაში ახალი საკვები მიეცა ოქტომბრის რევოლიუციის მტრებისათვის, ანდა წყალი დაესხა მათ წისქვილზე, მაგრამ „წიგნებს თავისი ბედი აქვთ“ და, უნდოდა თუ არა ეს თვითონ ტროცკის, ეხლა უკვე ნათელია—ეს მას წინდაწინვე უნდა ეგრძნო—რომ მის მიერ მოულოდნელათ დაწყებული კამპანიით ისარგებლებს მხოლოდ კონტრ-რევოლიუცია.

ჩვენს რიგებში დაწყებული დისკუსიაზე, განსაკუთრებით ისეთზე, რომელსაც „ჩხუბი“ მოყვება, ამყარებენ თავის უკანასკნელ იმედებს თეთრგვარდიელები, აი რატომ არის, რომ უცხოეთის მთელი კონტრ-რევოლიუციონური პრესა ასეთი სიხარულით შეეგება ცნობას იმ დისკუსიის შესახებ, რომელიც დაიწყო კომუნისტური პარტიის რიგებში.

მაგრამ ამ შემთხვევაში თეთრგვარდიელების სიხარული ხანმოკლეა. მას პლატონიური ხასიათი აქვს და კმაყოფილება უმთავრესად ბოროტი სიცილით. თეთრგვარდიელები აღარ ელიან უკვე ახალ დისკუსიას, პარტიის საფუძვლიანათ შერყევას, აღარ ლაპარაკობენ უკვე მის დაშლაზე, რომელზედაც ამყარებდნენ ისინი მთელს თავის იმედებს წარსულ დისკუსიის დროს. ამიტომ ზოგიერთი თეთრგვარდიელები აგინებენ ტროცკის იმისთვის, რომ მან ვერ გამოიჩინა საჭირო გაბედულება, სურვილი, ანდა უნარი იმ ზომამდი მიეყვანა „ჩხუბი“, რომელიც სასურველი იყო თეთრგვარდიელებისათვის. დანარჩენებს კი პირიქით, იმედი აქვთ, რომ ტროცკი გადასდგამს კიდევ ისეთ ნაბიჯებს, რომლებითაც ისარგებლებს კონტრ-რევოლიუცია, და ყოველმხრივ აქეზებს მას შემდეგ გამოსვლებისათვის.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ტროცკი არ ასიამოვნებს კონტრ-რევოლიუციონერებს, რასაც ისინი მოუთმენლათ მოელიან, მაგრამ მარტო ასეთ მოლოდინს თვალი უნდა ეხილა თვითეული სერიოზული კომუნისტისათვის და უნდა შეეჩერები ის ისეთ ნაბიჯებისაგან, რომელთა შემდეგი განვითარება სცილდება უკვე საკუთარი გავლენის ფარგლებს და რომელთა შემდეგი განვითარების შეჩერება მას უკვე აღარ შეუძლია.

ახალი დისკუსიის დაწყებისას ჩვენი პარტიის ორგანიზმი უკვე კარგათ არის აცრილი: ის თავიდანვე და კატეგორიულათ იშორებს უთანხმოების ყოველგვარ ბაცილებს.

ეხლა ტროცკის აღარ ყავს უკვე მომხრეები პარტიაში. ახალგაზრდობის ის ჯგუფებიც კი, რომლებმაც პოლიტიკური გამოუცდელობის გამო შარშან მხარი დაუჭირეს მას, ეხლა ყოველგვარი რყევის გარეშე გამოვიდენ ცკას და პარტიის დასაცავათ.

მაგრამ, ნუ თუ ჩვენთვის საკმაო არ არის გაკვეთილები? ნუ თუ ჩვენმა შინაურმა და საერთაშორისო მდგომარეობამ ისეთ იდეალურ წერტილს მიაღწია, როდესაც შესაძლებელია ახალი „ჩხუბის“ დაუსჯელათ დაწყება პარტიის რიგებში—მთელი რეაქციის—როგორც შინაურის, ისე საერთაშორისო რეაქციის—გასახარებლათ? ნუ თუ ყოველთვის საჭიროა უთანხმოების შეტანა საერთაშორისო პროლეტარულ მოძრაობაში და ზედმეტი იარაღის მიცემა ხელში საერთაშორისო ოპორტიუნიზმისათვის? ნუ თუ, ბოლოს, ყოველთვის საჭიროა უთანხმოების ხელახლა დაწყება, რომელიც გზას უბნევს უპარტიო მასას? ნუ თუ საჭიროა იმ უპარტიო მასის სწორი გზიდან გადაცდენა, რომელიც უკვე გაიმსჭვალა ნდობით კომუნისტური პარტიის მიმართ? ამას სერიოზულათ უნდა მოეღოს ბოლო“.

თბილისის კეთილმოწყობისათვის

თბილისის კეთილმოწყობისათვის დიდი მუშაობა სწარმოებს. ბევრი რამ გაკეთდა ამ ბოლო ხანებში, კიდევ უფრო მეტი გასაკეთებელია. ამ მუშაობას დიდათ აფერხებს თბილისის მცხოვრებთა გამრავლება. ომისა და რევოლიუციის შემდეგ თბილისის ზრდა უმთავრესად მცხოვრებთა მექანიური მოძრაობით, ე. ი. თბილისში მცხოვრებთა შემოსვლით აიხსნება. ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივმა ორგანოებმაც ხელი შეუწყვეს თბილისის მოსახლეობის გაზრდას. შეიძლება ითქვას, რომ იშვიათად თუ მიუტანს მცხოვრებთა სიმრავლე რომელიმე ქალაქს ისეთ ზარალს, როგორც თბილისს. თბილისი წარმოადგენს ყოველი მხრივ მთებით გარშემორტყმულ ჩაღრმავებულ ადგილს. ამიტომ მოსახლეობის ზრდა და ქალაქის ატმოსფერა, განსაკუთრებით ზაფხულობით სულისშემხუთავ პირობებს ჰქმნის მცხოვრებთათვის.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თბილისის შიგნით და მის ირგვლივ არა გვაქვს ტყეები და ბაღები, რომელნიც სუფთა ჰაერს აწვდიდენ ქალაქს. ევროპის და ამერიკის დიდ ქალაქებისათვის დიდი პარკი ბუნებრივი მოვლენაა. პარიზში მშვენიერი „ბულონის ტყე“ აჯანსაღებს ქალაქს. ბერლინი „ტირ გარტენით“ იმზადებს სუფთა ჰაერს. ლონდონი „გაიდ პარკით“ არის მომარაგებული. ნიუ-იორკის ცენტრალური პარკი 310 დესიატინას უდრის.

ჩვენ ამ მხრივ მეტად ბეჩავ პირობებში ვიმყოფებით. ჩვენ ერთი მხრივ არა გვაქვს სანიტარულ-ჰიგიენური ტეხნიკა შესაფერათ განვითარებული, არ მოგვეპოვება საკმაო სინათლიანი და მშრალი ბინები, ხოლო მეორე მხრივ ღარიბი ვართ ბაღებითა და ტყეებით.

ქალაქის აღმასკომმა ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთა. სადაც შესაძლებელი იყო, გააშენა ბაღები და მამადავითის მთაზე დათესა ტყე. ეს მუშაობის რაოდენობის მიხედვით დიდია, მაგრამ ქალაქის კეთილმოწყობის თვალსაზრისით მცირე.

საქმე იმაშია, რომ აღმასკომს არ შეუძლია საბინაო აღმშენებლობის ფართოდ დაყენება და დიდი ბაღების გაშენება ქალაქს შიგნით. პირველი მათგანისათვის მატერიალური საშუალებანი არ არის, მეორესათვის კი არც თავისუფალი სივრცე მოიპოვება.

ამ უკანასკნელ ხანებში წამოყენებული იქნა „ქალაქი ბაღის“ საკითხი, რომელიც უნდა გაშენდეს წყნეთისა, მდ. ვერისა, მამადავითის მთის კალთებისა და ყოფილი სემინარიის ფარგლებში. ეს ადგილი უეჭველათ შესაფერია „ქალაქი-ბაღის“ გაშენებისათვის და საკითხიც თავის დროზეა წამოყენებული.

„ქალაქი-ბაღის“ იდეა ჯერ კიდევ გასულის საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა, როდესაც ქალაქის განვითარებამ შექმნა მცხოვრებთათვის მეტად ცუდი პირობები. ინგლისში, ლონდონის მახლობლად (50 ვერსის დაშორებით) გაშენდა „ქალაქი-ბაღი“ ლეჩვორსი. ამას გარდა ლონდონის უფრო ახლო მიდამოებში 58 მოსახლეობა გაშენდა ბაღებით. ჩვენ ვიცით, რომ სანიტარული კეთილმოწყობის ტეხნიკისა და ქალაქის-ბაღის განვითარებით ლონდონმა, ნესტიანმა და ღრუბლიანმა ქალაქმა, მიაღწია იმ მდგომარეობას, რომ მასში გაცილებით მცირეა სიკვდილიანობა, ვიდრე იტალიის მზიურ და ბუნებრივად უხვად დაჯილდოებულ ქალაქებში.

აქედან აშკარაა, რომ ჩვენთვის ტფილისის კეთილმოწყობის საკითხი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. ეს საკითხი უეჭველათ უნდა მოვაგვაროთ და მოვაწესრიგოთ. მართალია, როგორც დროებითი ზომა, შეიძლება ქალაქის კეთილმოწყობისათვის გამოგვადგეს შემოხიზნული უსაქმო ელემენტების განტვირთვა, ქუჩების გაფართოვება და პატარა ბაღების გაშენება, მაგრამ ყველა ეს პალიატივები და დროებითი ზომებია.

ქალაქის ზრდას ჩვენ ვერც შევაფერხებთ და არც უნდა შევაფერხოთ. საჭიროა ოღონდ ამ ზრდას დავხვდეთ მზად და მარჯვეთ. უპირველესად აქ საჭიროა „ქალაქი ბაღის“ იდეის პოპულიარიზაცია, მოსახლეობის დაინტერესება ამ საქმით, მცხოვრებთა კოლექტიური თაოსნობა და ინიციატივა. მუშათა კლასმა უნდა შესძლოს თავისი კაპეიკების გონივრული დაგროვებით თავისი საცხოვრებელი ბინების გაშენება, ბნელი და ნესტიანი სარდაფებიდან ამოსვლა.

ჯერ ჯერობით ჩვენ გვაქვს წყნეთის მიმართულებით „ქალაქი-ბაღის“ პროექტი. საამისოთ მუშაობა სწარმოებს. საჭიროა მხოლოთ გაცილებით მეტი ყურადღება ამ საკითხისადმი პრესისა და პროფკავშირების მხრივ, ვიდრე ამას ვხედავთ დღემდე.

ამას გარდა, ქალაქი-ბაღის მოწყობისა და გაშენებისათვის საუკეთესო პირობები იქმნება კოჯრის დაკავშირებით თბილისთან რკინის გზით ფუნიკულიორიდან. ეს მოგვცემს შესაძლებლობას ფუნიკულიორიდან კოჯრამდე და თვით კოჯორი ვაქციოთ ერთ დიდ ქალაქ ბაღათ. ასეთი აზრი აქვს ქალაქის კომუნალურ განყოფილებას. ესევე ითქმის მცხეთის რაიონის დაკავშირების შესახებ თბილისთან, განსაკუთრებით ზემო-ავჭალის ჰიდროელსადგურის მიდამოების—ტრამვაის ხაზით. აქ შეიძლება ჩვენ გვქონდეს წარჩინებული ქალაქი - ბაღი. ამ სამი ადგილის გამოყენებისათვის აქედანვე საჭიროა მუშაობის დაწყება, გეგმიანი და სისტემატიური ნაბიჯების გადადგმა.

ამ თავითვე ქალაქის აღმასკომისათვის ერთი მთავარი დებულება უნდა იყოს სახელმძღვანელოთ—უნდა ვცდილობდეთ ყოველის გზით, რომ თბილისი განვტვირთოთ და გავხიზნოთ ახლო მახლო მიდამოებში ქალაქი—ბაღების მოწყობის გზით. თუ ამ საქმისათვის მუშაობას არ შეუდექით მტკიცეთ, ჩვენ ვერ შევქმნით თბილისში სამრეწველო და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო ჰიგიენურ პირობებს.

ხ. ა.

გლეხთა სახლების მუშაკთა თათბირი
(ჩვენი მოსკოველ კორესპონდენტისაგან)

ამხანად მოსკოვში შეკრებილია გლეხთა სახლების მუშაკთა სრულიად რუსეთის თათბირი. გლეხთა სახლი ახალი ორგანიზაციაა საბჭოთა აღმშენებლობაში, მაგრამ მას უთუოდ დიდი მომავალი აქვს. სოფლისა და ქალაქის დაახლოების, მუშისა და გლეხის კავშირის განმტკიცების უშუალო და ერთი უახლოესი გამტარებელთაგანი გლეხთა სახლია. მას ვერ აუვლის გვერდს ვერავინ, ვისაც ქარხნისა და ქოხის ერთმანეთთან დაკავშირება სურს.

ამას წინად ამხ. სტალინმა სოფლის კომუჯრედების მდივანთა თათბირზე, სხვათა შორის, განაცხადა, რომ ქალაქი სავსებით დაპყრობილია რევოლიუციის მიერ, რადგან ყოველ ათ მუშაზე საშუალოთ ერთი პარტიის წევრი მოდის და ოთხი თანაგრძნობიო. ცხადია, ასეთ პირობებში ადვილია პარტიის ხაზის დაუმახინჯებლად გატარება მუშათა კლასში. სხვა მდგომარეობაა სოფლად. აქ პარტია ბევრად უფრო სუსტია რაოდენობით და კიდევ უფრო სუსტია გავლენით.

ნამდვილი კომუნისტური გლეხობა, რომელიც ნიადაგ სოფლის შრომის უღელშია გაბმული, რომელიც გვერდით უდგას კავსა და გუთანს, რომელიც გლეხურ ჭირვარამში იდაგება, ასეთი გლეხობა პარტიას ძალიან მცირე გააჩნია. ამიტომ მეტად ძნელია სოფლის დაყენება ქალაქის რევოლიუციონურ გავლენის ქვეშ, ძნელია პარტიის და საბჭოთა ორგანოების გლეხურ მასასთან შესისხლხორცება.

გლეხთა სახლების თათბირმა ეს გარემოება განსაკუთრებული ყურადღებით აღნიშნა.

კომპარტიის სოციალური შემადგენლობა ამჟამად ასეთია: 60 პროცენტი ქალაქის მუშები, 22 პროც. გლეხობა და დანარჩენი მოსამსახურე ინტელიგენცია. ასეთ პირობებში გლეხური ელემენტის შემატება, სოფლის ულარიბეს და მოწინავე ნაწილის პარტიის რიგებში ჩაყენება საფრთხეს არ უქადის საბჭოთა ხელისუფლებას. პირიქით, ბევრათ გააადვილებს სოფლისა და ქალაქის დაახლოებას და გლეხობასაც იმ იდეურ გავლენის ქვეშ მოაქცევს, რომელზედაც ლაპარაკობდა ამხ. სტალინი.

როგორც ეს ერთხელ კიდევ გამოირკვა გლეხობის სახლების მუშაკთა თათბირზე,—სოფელი, სადაც არ სწვდება პარტიის ხელი და ხმა, ბედის ანაბარათაა მიტოვებული. მუშისა და გლეხის გამთიშველ კედლათ, ქალაქის და სოფლის შუამდებარე ზღუდეთ დღეს უმთავრესად სოფლის შეძლებული ელემენტი, ძველი ნაცნობი „კულაკი“ გამოდის, რომელიც აბრეშუმის ჭიათ აზის კისერზე ულარიბეს გლეხობას და მის ნაშრომ-ნაოფლარს ნთქავს.

„კულაკური“ ელემენტი ისე მრავალფეროვანი და ცვალებადია, რომ მის ერთი კატეგორიის ქვეშ დაყენება და კლასიურ მოწინააღმდეგეთ დასახვა ძნელია გამოუცდელ გლეხისათვის. მღვდელი, დიაკვანი, მოიჯარადრე, რომელსაც გაჰყავს ქალაქად მუშა ხელი, ყოველ ჯურის ჩარჩები და მევახშეები, რომლებიც ჩალის ფასად იგდებენ ხელში გლეხის ნაამაგარ დოვლათს,—აი ის წურბელები, რომელნიც პირიდან ლუკმას აცლიან სოფლის ღარიბ გლეხობას.

ეს ელემენტია თავი და თავი მოწინააღმდეგე ახალი კულტურულ და საზოგადოებრივ აღმშენებლობის. ის ეღობება წინ სოფლის მეურნეობის რაციონალიზაციას, აგრიკულტურის განვითარებას, კოოპერატივს და საურთიერთო ამხანაგობას. ის ემტერება გაზეთს და სოფლის კორესპონდენტს. ხშირად სოფელში ის ეპატრონება ადმინისტრატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებასაც-კი და საბჭოთა ხელისუფლების სახელით „ჭირისუფლობას“ უწევს გლოხობას.

თათბირის დელეგატების მოხსენებიდან სჩანდა, როგორ ითბობდენ ხელს ხალხის უბედურებაზე სოფლის წურბლები. გასულ ზაფხულის მოუსავლობასთან დაკავშირებით ხორბლის მოსავლის რაიონიდან [illegible] ადგილებში [illegible], პურზე და ოთხფეხ საქონელზე სპეკულიაციამ ფართე ხასიათი მიიღო. ფინანსიურ რეფორმამ სოფლის ჩარჩს და მევახშეს ფულის დაგროვების მეტი საშუალება მისცა. განსაკუთრებულ მეტოქეობას უწევენ ისინი საკრედიტო ამხანაგობებს, ეჯიშპებიან სოფლის კოოპერაციას და წვრილ სახელმწიფო ვაჭრობას.

ასეთია დაახლოებით რუსეთის სოფლის დღევანდელი სურათი გლეხის სახლის მუშაკთა თათბირის სარკეში. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული სოფელი ბევრათ არ განსხვავდება მისგან.

სოფლის საბოლოო გასაბჭოება, მისი ქალაქთან ფეხ და ფეხ ამოძრავება კიდევ ხანგრძლივ და განუწყვეტელ მუშაობას მოითხოვს.

აკ. ქუთნია.

მოსკოვი, 17 ნოემბერი

ინგლის-ეგვიპტის დამოკიდებულება მწვავდება
ინგლისი ემზადება სუდანის ანექსიისათვის
ეგვიპტეში იგზავნება ინგლისის ჯარები და ფლოტი
ალექსანდრიაში ინგლისის ჯარებმა დაიკავეს საბაჟოს შენობები

საბაბი სუდანის ანექსიისათვის.—ეგვიპტის ხალხს შიმშილით ამოწყვეტით ემუქრებიან.—სამხედრო დემონსტრაცია პროტესტის წინააღმდეგ.—ჯარების გაგზავნა ეგვიპტეში.—კომპარტიის პოლიტიკა.— „მუშათა“ პარტია სდუმს.—ხმები ზაგლულ-ფაშას გადადგომის შესახებ.

ეგვიპტის პასუხი ინგლისის ნოტაზე

ლონდონი, 24 ნოემბ. ინგლისის უმაღლესი სარდლობის ნოტაზე ეგვიპტის პრემიერმა ზაგლულ - ფაშამ უპასუხა, რომ ეგვიპტის მთავრობა თანახმა არის მოიხადოს ბოდიში, დასაჯოს გენ. ლი-სტეკის მკვლელობაში დამნაშავენი, გადაიხადოს 500,000 გირვ. სტერლინგი და აღუთქვამს ინგლისის მთავრობას, რომ არ დაუშვებს დემონსტრაციებს, რომლებიც წესრიგს არღვევენ.

ეგვიპტის მთავრობის პასუხში თანაგრძნობაა გამოცხადებული ლი-სტეკის მოკვლის გამო, მაგრამ ნათქვამია, რომ ეგვიპტის მთავრობა არ სთვლის თავს დამნაშავეთ მომხდარი ამბების გამო.

ინგლისის სხვა მოთხოვნილებათა შესახებ, ზაგლულ-ფაშა აღნიშნავს, რომ მოთხოვნილება, რომელიც შეეხება სუდანს, ეწინააღმდეგება კონსტიტუციის იმ მუხლს, რომლის თანახმად ეგვიპტის მეფე ფუადი იმავე დროს არმიის მთავარ - სარდალიც არის. რაც შეეხება უცხოელ მოხელეებს, ეს საკითხი მოგვარებულია დიპლომატიური შეთანხმებით, რომლის შეცვლა პარლამენტის დასტურის გარეშე შეუძლებელია.



ზაგლულ-ფაშა.

ზაგლულ-ფაშა აღნიშნავს, უცხოელების მიმართ ეგვიპტე ატარებს ისეთს ლიბერალურ პოლიტიკას, რომელიც კი დასაშვებია ქვეყნის დამოუკიდებლობის პრინციპის შეულახავად. ამას ამტკიცებს ის, რომ უცხოეთის არც ერთ სახელმწიფოს პროტესტი არ განუცხადებია ამ საკითხის შესახებ.

ზაგლულ ფაშამ პარლამენტში წაიკითხა პასუხი ინგლისის ნოტაზე, რის შემდეგ პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა მთავრობას ხმების დიდი უმრავლესობით.

ინგლისი შეუდგა მუქარის შესრულებას

ახალი ჯარების გაგზავნა ეგვიპტეში.

ლონდონი. 24 ნოემბ. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ინგლისის მთავრობა არ ფიქრობს სამხედრო წესების შემოღებას ეგვიპტეში. სააგენტოს სიტყვებით, საბაჟოს დაკავება ბრიტანეთის მეზღვაურების მიერ ხელს არ შეუშლის საბაჟოს ნორმალურ მუშაობას. შემდეგ რეიტერის სააგენტოს ცნობა ამბობს: „კაიროში ჯერჯერობით სიწყნარეა“.

სამხედრო გემმა „აირენდიუკ“-მა, რომელიც მალტაში იდგა, ბრძანება მიიღო ალექსანდრიაში წასვლის შესახებ. გემი „მალაია“-ც აგრეთვე მალტიდან მიდის პორტ-საიდში. მსუბუქმა კრეისერმა „ხაროდოკ“-მა, რომელიც საბერძნეთის წყლებში იდგა და ინგლისის ორმა გამანადგურებელმა მიიღეს ბრძანება წავიდენ სუეცის არხისაკენ.

ახალი მუქარა.

ლონდონი. 24 ნოემბერი. ინგლისის უმაღლესმა კომისარმა ეგვიპტეში ალლენბიმ სასწრაფოდ გასცა პასუხი ზაგლულ-ფაშას ნოტაზე. ვინაიდან ზაგლულ-ფაშა უარს ამბობს ინგლისის ზოგიერთი მოთხოვნილებების შესრულებაზე, **სუდანის მთავრობას გაეგზავნება ინსტრუქციები სუდანიდან ეგვიპტის ოფიცრების და ჯარების გაძევების შესახებ.**

შემდეგ ალლენბიმ მოითხოვა 500 ათასი გირ. სტერლინგის დაუყოვნებლივ გადახდა.

ალექსანდრიის საბაჟოს დაკავება.

ლონდონი. 24 ნოემბერი. ეგვიპტის მთავრობამ გადაიხადა 500.000 გირ. სტერლინგი და ამავე დროს ინგლისის წარმომადგენელს გადასცა საპროტესტო ნოტა სუდანიდან ეგვიპტის ჯარების და ოფიცრების გაძევების წინააღმდეგ.

იმ საბუთით, რომ ეგვიპტის მთავრობამ არ შეასრულა ინგლისის ყველა მოთხოვნილებები, ინგლისის-სარდლობამ გასცა ბრძანება, რომ ინგლისის ჯარებმა დაიკავონ ალექსანდრიის საბაჟო.

ჯარების ალუმით უპასუხებენ.

ლონდონი. 24 ნოემბერი. ალექსანდრიაში კვლავ გაიმართა სტუდენტთა დემონსტრაცია ინგლისელების წინააღმდეგ. **ინგლისის ადმინისტრაციამ უპასუხა ჯარების ალუმის მოწყობით.**

მღელვარება დაიწყო ქ. ტანტში. ამაზე ინგლისელებმა უპასუხეს საჰაერო ფლოტის დემონსტრაციით. ჰიბრალტარიდან ეგვიპტეში გაიგზავნა ინგლისის ჯარების ერთი ბატალიონი.

„ლი-სტეკის მოკვლა მხოლოდ საბაბია“

ლონდონი. 24 ნოემბ. გავლენიან წრეებში აღნიშნავენ, რომ ზაგლულ-ფაშას მიერ გადადგომის შესახებ თხოვნის შეტანას და შემდეგ მეფე ფაუდის მოთხოვნით ამ თხოვნის უკანვე წაღებას არავითარი კავშირი არ აქვს ეხლანდელ კრიზისთან, რომელსაც ადგილი აქვს ეგვიპტეში ლი-სტეკის მოკვლის გამო. ლი-სტეკის მოკვლა ინგლისის იმპერიალისტებისათვის გახდა ხელსაყრელი საბაბი იმისათვის, რომ მოეთხოვათ ეხლანდელი ურთი-ერთობის შეცვლა ინგლისსა და ეგვიპტეს შორის და აგრეთვე განეხორციელებიათ განუსაზღვრელი კონტროლი სუდანზე. სუდანის მთავრობის ხელშია კონტროლი ეგვიპტესათვის წყლის მიწოდებაზე და ჯეზირში სარწყავი სივრცის გაფართოების შესაძლებლობა დიდ დაბრკოლებებს შექმნიდა ეგვიპტეს გლეხობისათვის და ხელს შეუწყობდა ინგლისს სუდანის ბამბის ხელში ჩასაგდებად.

ეგვიპტის ხალხს მხოლოდ კომპარტია იცავს

ლონდონი, 24 ნოემბ. ინგლისის კომპარტიის ბელადებმა „როსტა“-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადეს, რომ ინგლისის ულტიმატუმი ეგვიპტეს მთავრობისადმი წარმოადგენს დეკლარაციის იმ პოლიტიკური გეზის, **რომელიც, როგორც სჩანს, შემუშავებული იყო ჯერ კიდევ ლი-სტეკზე თავდასხმამდე.**

„როსტა“-ს თანამშრომელთან მოსაუბრეების სიტყვით, ამ ულტიმატუმის მთავარი მუხლებს წარმოაგენენ მოთხოვნილებები ჯეზირის მორწყვის საკითხის და სუდანიდან ეგვიპტეს ჯარების გაყვანის შესახებ. „ეს,—განაცხადეს მათ—არის ინგლისის მიერ სუდანის ანექსიის დასაწყისი. **მოსარწყავ სივრცის უსაზღვროდ გაფართოება სუდანში წარმოადგენს საფრთხეს ეგვიპტესათვის ვინაიდან ეს გამოიწვევს წყალის შემცირებას ნილოსში და დიდ ზარალს მიაყენებს ეგვიპტეს გლეხობას“.**

ინგლისის კომპარტია მოითხოვს, რომ ეგვიპტეში არ იგზავნებოდეს ჯარები და სამხედრო ფლოტები, **მოითხოვს აგრეთვე უარისთქმას ჩარევაზე ეგვიპტეს და სუდანის საქმეებში.**

კომპარტია აცხადებს, რომ მხოლოდ ეგვიპტეს და სუდანის მუშების კავშირს შეუძლია ხელში აიღოს კონტროლი მოსარწყავ სივრცეზე და სათანადოთ გადასჭრას ეს საკითხი. კომპარტია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ომის შესაძლებლობა, რომელიც გამომდინარეობს ეხლანდელი მდგომარეობიდან, **მეტად სერიოზულია და მუშათა კლასმა უნდა აიძულოს ტრედიუნიონების კონგრესის გენერალური საბჭო და მუშათა პარტიები გამოვიდენ სამხედრო ზომების წინააღმდეგ გაბედულათ.**

ინგლისის კომუნისტები მახლობელ დღეებში გამართავენ მთელს ინგლისში მთელ რიგ დემონსტრაციებს ეგვიპტეს ამბების გამო.

მიტინგებზე კომუნისტი ორატორები მოუწოდებენ ტრანსპორტის მუშებს უარი სთქვან ჯარების და საომარ მასალების გადაზიდვაზე ეგვიპტეში.

ინგლისის მუშათა პარტიის ბელადების დუმილი ეგვიპტეს კრიზისის გამო აიხსნება იმ თვალსაზრისით, რომელსაც იზიარებს მუშათა პარტიის უმრავლესობა სუდანის საკითხში.

პრესა კონფლიქტის შესახებ

ლონდონი. 24 ნოემბერი. ინგლისის კონსერვატიული პრესა ესალმება მკაცრ ზომებს, რომლებიც მიიღო ინგლისის მთავრობამ ეგვიპტესთან მომხდარ კონფლიქტში.

„მორნინგ პოსტ“ სწერს: ლი-სტეკის მოკვლა იყო ჩვენი ხელისუფლების აშკარა გამოწვევა. კონფლიქტს მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეგვიპტესათვის,—მას თვალყურს ადევნებს მთელი აღმოსავლეთი. ჩვენ არ უნდა დაუუშვათ არავითარი სისუსტე ჩვენი მხრით, ვინაიდან შეიძლება ეს დაგვიჯდეს სისხლის ფასათ არა მარტო ნილოსის განაპირა მხარეში, არამედ ყველა ჩვენს სამფლობელოში აღმოსავლეთში“.

ლიბერალური პრესა ხაზს უსვამს ინგლისის ნოტის მუქარის ხასიათს ეგვიპტეს მთავრობისადმი, მაგრამ პროტესტს არ აცხადებს მის წინააღმდეგ.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი გერალდ“ მოითხოვს მიმართვას ერთა ლიგისათვის. გაზეთი სწერს: „ჩვენ განზრახ გვერდი აუხვიეთ ჟენევას და მისთვის მიმართვის მაგიერ გამოვიყენეთ ძველი დიპლომატიის მეთოდი. ამას გარდა, ჩვენ ერთი კაცის მოკვლის შემთხვევა გამოვიყენეთ, როგორც საბაბი ბრძოლის დასაწყებათ ჩვენს ქვეყანასა და აღმოსავლეთის ყველა ხალხთა შორის, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მხოლოდ მდგომარეობის გაუარესება“.

„დეილი გერალდ“-ის დიპლომატიური კორესპონდენტი სწერს: „ინგლისის იმპერიალიზმი მთელ რიგ წლების განმავლობაში უცდიდა შემთხვევას ასეთი გამოსვლისათვის. ლი-სტეკის მოკვლას იყენებენ იმ მიზნით, რომ განახორციელონ ინგლისის განუყოფელი კონტროლი სუდანზე“. შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავს: „შესაძლებელია, ჩვენ ვდგევართ სამხედრო გადატრიალების წინაშე, რომელიც დაამხობს ეგვიპტეს მთავრობას, განაიარაღებს ეგვიპტეს არმიას და დაუმორჩილებს ქვეყანას ალემბის სამხედრო დიქტატურას“.

თეთრგვარდიელთა პრესა
ა. პეშეხონოვი, ემიგრანტების პრესა და რუსეთის ეკონომიური სინამდვილე

კერენსკის გაზეთ „დნი“-ში მოთავსებულია ცნობილ ნაროდნიკ-პუბლიცისტის პეშეხონოვის წინააღმდეგ მთელი ერთი მეთაური წერილი, რომელშიაც რედაქცია ბრალს სდებს მას, რომ თავისი გამოსვლებით ის ხელს უწყობს „ზინოვიევის აგენტების გამხრწნელ მუშაობას“ ემიგრაციაში. რა მოხდა ასეთი, რამ ააღელვა „დნი“.

ამას წინეთ პრაგაში (ამ ქალაქში ძალიან გახშირდა მოხსენებები და კამათი რუსეთის შესახებ) ა. ვ. პეშეხონოვმა წაიკითხა მოხსენება რუსეთის ეკონომიური სინამდვილის შესწავლის შესახებ და წარმოსთქვა გზა და გზა ისეთი აზრები, რომლებიც არ ეპიტნავა ესერების გაზეთს. თვით ეს უკანასკნელი შემდეგს გადმოგვცემს ამ მოხსენების შესახებ.

„ემიგრანტების გაზეთები —სთქვა პეშეხონოვმა—სულყოველთვის იმას სცდილობენ, რომ დახატონ ბნელი სურათი საბჭოთა ხელისუფლების დასახასიათებლათ, ხოლო ხანდახან ტყუილსაც ავრცელებენ. მომხსენებელი ადასტურებს თავის აზრს „დნი“-ს და „რული“-ს მაგალითებით. მას ეჭვი შესდის ასეთი საშუალებით ბრძოლის წარმოების მიზანშეწონილებაში. ორი წელიწადია ვკითხულობ მე ემიგრანტების გაზეთებსო—განაცხადა მომხსენებელმა—და ერთხელაც არ შემინიშნავს, რომ მას აღეარებინოს რუსეთის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს არ არის გასაკვირალი. მათ რომ ეს აღიარონ, იმავე დროს მაშ ისიც უნდა სთქვან, რომ ბოლშევიკების დროს შესაძლებელია რუსეთის ცხოვრების გაუმჯობესება. მიუხედავათ ამისა ეს დებულება, პეშეხონოვის აზრით, თანდათან პოულობს მომხრეებს“.

„უარყო რა სრულებით ემიგრანტების პრესა, როგორც მასალების წყარო რუსეთის ეკონომიკის შესასწავლათ, მომხსენებელმა აშკარათ მისცა უპირატესობა საბჭოთა პრესას“.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ ქალაქი პრაგა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს რუსეთის თეთრგვარდიელთა ემიგრაციისას.

ამას წინად მილიუკოვმა მიმართა იქ თავის მსმენელებს და უთხრა: თქვენი ოცნება (და მისიც, მილიუკოვისაც) საბჭოთა რუსეთის დამარცხების შესახებ მოკვდა და საჭიროა ახალ გზების ძებნას შეუდგეთ.

დღეს ცნობილი პუბლიცისტი პეშეხონოვი, რომელსაც ჩვენთან მეგობრობაში ვერავინ ეჭვს ვერ დასწამებს, გამოდის და ხელაღებით ბრალსა სდებს მთელ თეთრგვარდიელთა პრესას იმაში, რომ ის სტყუის საბჭოთა სინამდვილის დახასიათების დროს. რომ მხოლოდ საბჭოთა პრესა იძლევა საშუალებას ჭეშმარიტების გამოსარკვევათ.

იმდენათ დაეცა და გაიხრწნა თეთრგვარდიელთა პრესა, იმდენად სტყუის ის რუსეთის შესახებ, რომ თვით პეშეხონოვსაც პირი აბრუნებია ბოლშევიკური პრესისკენ და აიძულა გამოსულიყო ემიგრანტების წინააღმდეგ.

თეთრგვარდიელ ემიგრაციის შორის ეს ერთი ხანია რაღაც „ახალ სიტყვებს“ ეძებენ, „ახალ გზას“ არჩევენ.

ზოგიერთი მწერლისაგან ჩვენ გვესმის სიტყვები, რომლებსაც ვერ გაიგონებდით წინათ. ემიგრაციის გახრწნა მართლა მიდის თავისი გზით და ამაში „დანაშაულება“ მიუძღვის ისეთ პირებსაც, როგორიც არის პეშეხონოვი. დეე, აკეთონ ეს საქმე დაჩქარებით!

ყვითლების იერიშები პროფმოძრაობის გაერთიანების წინააღმდეგ

ბურჟუაზია „იცავს“ პროფმოძრაობის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას

„ფორვერტს“-ი სცდილობს სახელი გაუტეხოს ინგლისის პროფმოძრაობას

უნგრეთის მუშებში იზრდება უკმაყოფილება ყვითელ ბელადების პოლიტიკით.

გაერთიანებული იერიშები

„ფორვერტს“-ის „არგუმენტები“

ბერლინი. 24 ნოემბერი. გაზ. „ფორვერტს“ სწერს: „კომუნისტების მისწრაფება პროფმოძრაობის გაერთიანებისაკენ წარმოადგენს მათთვის მხოლოდ საშუალებას პროფორგანიზაციებში განხეთქილების შესატანად და ევროპის მუშათა კლასის ბოლშევიზაციისათვის. სხვა ქვეყნების ბოლშევიზაცია წარმოადგენს რუსეთის იმპერიალიზმის მიზნების განხორციელების საშუალებას“.

მრეწველები შიშობენ

ბერლინი. 24 ნოემბერი. პროფმოძრაობის გაერთიანების შესაძლებლობა ძლიერ აშინებს გერმანელ მრეწველებსაც. სტინესის ჯგუფის ორგანო „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ“ სწერს: „მოსკოველი დირიჟორები სცდილობენ ახლა დაშალონ გერმანიის „რეფორმისტული“ პროფესიონალური ორგანიზაციები და ამით შექმნან მძლავრი იარაღი გერმანიაში მსოფლიო რევოლიუციის მიზნების განსახორციელებლად. რომც მიმდინარე საპარლამენტო არჩევნების დროს შემცირდეს კომუნისტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ „კომუნისტური საფრთხე“ გერმანიაში გაქრა.

მძიმე მრეწველობის ორგანო „რეინიშე ვესტფალიშე ცაიტუნგ“ სწერს: **„კომუნისტების საარჩევნო პოლიტიკა გვიჩვენებს, რომ ახლო ხანში გერმანიაში უნდა მოველოდეთ სერიოზულ სოციალურ ბრძოლებს“.**

„ფორვერტს“-ი და ინგლისის პროფმოძრაობა

ბერლინი. 24 ნოემბერი. „ფორვერტს“-მა გამოაქვეყნა წერილი, რომელიც ეხება ინგლისის პროფკავშირების პოზიციას პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხში. ამ წერილში ნათქვამია:

„ინგლისის პროფკავშირები, იმის გამო, რომ ინგლისში უმუშევრობა რამოდენიმე წლობით გრძელდება, ეძებენ კავშირს რუსეთის პროფკავშირებთან, რათა დაიპყრონ რუსეთის ბაზარი თავიანთი საქონლის გასასაღებლად. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ინგლისის პროფმოძრაობის ცალკე მოღვაწეები ასე გულმოდგინეთ იცავენ ერთიანი ფრონტის შექმნას.

ინგლისის პროფმოძრაობის მოღვაწეები იმავე პოზიციას დაიკავებენ, რომელსაც ადგანან კონტინენტალური ქვეყნების პროფკავშირები, როგორც კი ინგლისის კომუნისტები დაიწყებენ გამანადგურებელ მუშაობას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სხვა ქვეყნებში. ინგლისის მუშები ნაკლებად იცნობენ მდგომარეობას კონტინენტზე და ამიტომ ვერ ითვალისწინებენ საფრთხეს, რომ რუსების გავლენის ქვეშ ისინი თან დათან დაუპირდაპირდებიან კონტინენტალურ პროფკავშირებს“.

მუშები ებრძვიან ყვითელ ბელადებს

ვენა, 24 ნოემბ. უნგრეთის მუშათა რიგებში იზრდება უკმაყოფილება ბიუროკრატიზმით, რომელსაც ადგილი აქვს პროფკავშირებში; კავშირთა გამგეობებს, რომლებიც შესდგებიან სოციალ-დემოკრატებისაგან მუშები ბრალს სდებენ უმოქმედობაში უმუშევრობის საკითხში.

ხის დამმუშავებელთა კავშირის საერთო კრებაზე კავშირის გამგეობის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს მუშებმა. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ გამგეობის წევრებს აინტერესებთ მხოლოდ თავიანთი საქმეები და არა ბრძოლა მუშების ინტერესების დასაცავად. ბურჟუაზიულ გაზეთების ცნობით, კრებამ უნდობლობა გამოუცხადა კავშირის გამგეობას, ხოლო კავშირის რწმუნებულთა კონფერენციამ დაამტკიცა კრების რეზოლიუცია.

ბურჟუაზიული გაზეთების ცნობით, მეტყავეების კავშირის წევრთა კრებაზე, პოლიცია იძულებული გახდა დაეცვა პროფკავშირთა გამგეობის წევრები, რადგანაც მუშებმა ცემა დაუპირეს მათ. უნგრეთის სოციალ-დემოკრატების ორგანო კრინტსაც არ სძრავს ამ ამბების შესახებ.

ჩვენ და უცხოეთი

ჩეხო-სლოვაკია.

ჩეხო-სლოვაკია ჩქარა გვიცნობს.

ვენა. 24 ნოემბერი. ბელგრადის პოლიტიკური წრეებიდან მიღებული ცნობებით, ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ წინადადება მისცა მცირე ანტანტის სხვა სახელმწიფოებს იცნონ საბჭოთა კავშირი მიმდინარე წლის დამლევამდი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა აღადგენს ურთიერთობას საბჭოთა მთავრობასთან მცირე-ანტანტის სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად.

ჩეხიის მთავრობის ცნობა.

პრაგა. 24 ნოემბერი მცირე ანტანტის მოსალოდნელ კონფერენციის გამო, ჩეხიის დეპეშათა სააგენტო ოფიციალურად იტყობინება, რომ ჩეხიის მთავრობა იცავს იმ დადგენილებებს, რომლებიც მიღებული იქნა მცირე ანტანტის უკანასკნელ კონფერენციაზე პრაგაში, განსაკუთრებით კი დადგენილებას საბჭოთა კავშირის საკითხის შესახებ; ჩეხიის მთავრობა აცხადებს, რომ არ არის არავითარი საფუძველი ამ გადაწყვეტილებების შესაცვლელათ.

ახალი მთავრობა ოსმალეთში

მთავრობის შემადგენლობა.

ანგორა. 24 ნოემბ. სახალხო პარტიის თანხმობით, ფეხტი-ბეიმ შეადგინა ახალი კაბინეტი, რომელიც დამტკიცებული იქნა პრეზიდენტის მიერ შემდეგი შემადგენლობით: კაბინეტის თავმჯდომარე და ნაციონალური თავდაცვის კომისარი—ფეხტი-ბეი. შინაგან საქმეთა კომისარი—რეჯებ-ფაშა, გარეშე საქმეთა კომისარი—დეპუტატი შუკრი-ხაია, ფინანსთა კომისარი—აბდულ-ხალიფ, განათლების კომისარი—დეპუტატი სარად-შუკრი, მიწათ-მოქმედების კომისარი—დეპუტატი ჰუსეინ-ფეხმი, გზების კომისარი—ალი-ჯენალი, საზოგადოებრივ სამუშაოთა კომისარი—დეპუტატი ფეიზი (დიარბეკირიდან), ჯანმრთელობის კომისარი—დეპუტატი მაზჰარი.

ვინ არის ფეხტი-ბეი

ანგორა. 24 ნოემბ. ოსმალეთის ეხლანდელი მთავრობის მეთაური ფეხტი-ბეი არის ოსმალეთის ეროვნულ მოძრაობის ერთი უმთავრესი ხელმძღვანელი. აქნობამდის ის იმყოფებოდა ოსმალეთის ეროვნულ კრების (მეჯლისის) თავმჯდომარეთ. როდესაც მოკავშირეებმა დაიპყრეს სტამბოლი, ფეხტი-ბეიც დატყვევებულ იქნა და გადაგზავნეს კუნძულ მალტაზე. ოსმალეთში დაბრუნებისას იგი არჩეულ იქნა შინაგან საქმეთა კომისრად.

ფეხტი-ბეი შედიოდა აგრეთვე პირველ მეჯლისშიაც, სადაც მიემხრო სახალხო პარტიის პირველ პროგრესიულ ჯგუფს, რომელსაც მეთაურობდა ქემალ-ფაშა და ისმეტ-ფაშა. პარლამენტის მეორეთ მოწვევის შემდეგ იგი არჩეულ იქნა მეჯლისის თავმჯდომარეთ.

ფეხტი-ბეი იყო ინიციატორი და სულის ჩამდგმელი მთელი რიგ სახელმწიფო ზომების, რომლებიც მიმართული იყო ოსმალეთის გლეხობის მდგომარეობის შემსუბუქებისაკენ.

ფეხტი-ბეი იყო ოსმალეთის წარმომადგენელათ ერთა ლიგაში, როცა ირჩეოდა მოსულის საკითხი. ეს საკითხი გადასწყდა ოსმალეთის სასარგებლოთ, რაც უეჭველია წარმოადგენს ოსმალეთის დიპლომატების გამარჯვებას.

უნდა ვიფიქროთ, რომ ოსმალეთის კაბინეტის შეცვლა არ გამოიწვევს გარეშე პოლიტიკის შეცვლას და ფეხტი-ბეი განაგრძობს იმავე პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებდა წინანდელი მთავრობა.

ჟორესის ნეშტის გადატანა პანთეონში

პარიზი. 24 ნოემბ. ბოლო დღეს ჟორესის გვამი განისვენებდა დეპუტატთა პალატის შენობაში. შაბათიდან კვირას მთელი ღამის განმავლობაში მას სდარაჯობდენ ნათესავები, პირადი მეგობრები და მუშათა დელეგაციები, კვირა დილით გვამი გამოასვენეს სამგლოვიარო ეტლზე. შემდეგ ჟორესის კუბო დაასვენეს უზარმაზარ ფარზე, რომელიც მიჰქონდათ 80 მაღაროს მუშას. ყველა მუშები იმყოფებოდენ ჩვეულებრივ სამუშაო ტანისამოსში. დაკრძალვის პროცესიაში მონაწილეობას იღებდენ მთავრობის ყველა წევრები, პარლამენტისა და სენატის თავმჯდომარეები, პარლამენტისა და პარიზის მუნიციპალურ საბჭოს წევრები, საფრანგეთისა და უცხოეთის მუშათა დელეგაციები და უთვალავი ხალხი.

პანთეონთან მოსვლისას გვამი ისევ სამგლოვიარო ეტლზე დაასვენეს. ჟორესის ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე სიტყვა წარმოსთქვა ერრიომ. შემდეგ სხვა და სხვა გუნდებმა შეასრულეს სამგლოვიარო მუსიკა და გვამი ჩაასვენეს ამოქვაბულში.

როგორ მიაცილებდენ მას რევოლიუციონერები.

პარიზი. 24 ნოემბ. ოფიციალურ პროცესიის გარდა, რომელიც მიაცილებდა ჟორესს პანთეონში, კომუნისტების ხელმძღვანელობით ელისეის ველებზე გაჭრიკვიდა უამრავი ხალხი, რომელიც დაიძრა პანთეონისაკენ. წინ მიდიოდენ მეძროშენი, რომელთაც მიჰქონდათ მრავალი წითელი დროშა, მათ შორის მოსკოვის საბჭოსი და საბჭოთა პროფკავშირების მიერ გამოგზავნილი დროშა. სათავეში მიდიოდენ საფრანგეთის კომპარტიის ცეკა, პარლამენტისა და ქალაქის საბჭოს კომუნისტი დეპუტატები. მუსიკა უკრავდა რევოლიუციურ ჰიმნებს, რომელთაც ბანს აძლევდა მთელი ხალხი. პროცესიაში მონაწილეობას იღებდენ კომკავშირელთა ჯგუფები, რომელთაც მიჰქონდათ პლაკატები ანტიმილიტარისტული წარწერებით.

პანთეონის მახლობლად კომუნისტების მანიფესტაცია სულ განცალკევებით იყო სხვისაგან. შიგ პანთეონში რომ ცერემონია ხდებოდა, გარეთ კომუნისტები ინტერნაციონალს მღეროდენ.

პანების სამეფოში

განაპირა ოლქებში მდგომარეობა კრიტიკულია.

ვარშავა. 24 ნოემბ. პოლონეთის პრესა იხილავს აღმოსავლეთ ოლქების საკითხს. გაზეთების უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ მომავალი ზამთარი პოლონეთის მთავრობამ უნდა გამოიყენოს თავის გავლენის განამტკიცებლათ და უნდა სავებით ჩააქროს იქ ყველა პარტიზანულ ელემენტების გამოსვლა.

მემარჯვენეთა ორგანო „ვარშავიანკა“ აღნიშნავს აჯანყებულთა გამბედაობას და ამბობს: „მდგომარეობა ასეთია: თუ გაზაფხულამდის არ აღმოვფხვრით ეს სენი, შემდეგ მთელ მეტროპოლიას დააწყლულებს და მაშინ კი ყველა სანაპირო ადგილები ერთიანად დაეკარგება პოლონეთს. სანაპირო რაიონების გარეშე კი პოლონეთს არ შეუძლია არსებობა, რადგან „აღმოსავლეთის სნეულობის“ წინააღმდეგ არავითარი ზღუდე არ დაიცავს მას“.

კაბინეტის რეორგანიზაცია ჯერ დამთავრებული არ არის.

ვარშავა. 24 ნოემბ. პოლიტიკურ წრეებში დადის ხმები, რომ კაბინეტის რეორგანიზაცია ჯერ დამთავრებული არ არის. შესაძლებელია განათლების მინისტრის მიკლაშევსკის წასვლა და მისი შეცვლა ლვოვის უნივერსიტეტის პროფესორ სტანისლავ გრაბსკით, რომელიც ეკუთვნის ეროვნულ-დემოკრატების პარტიას.

რა ხდება გერმანიაში

სახელმწიფო მოსამსახურეები ჯამაგირების გადიდებას მოითხოვენ

მოსამსახურეებს მხოლოდ 12 პროც.-ით გაუდიდეს ჯამაგირები

ლედებურის ჯგუფი არჩევნებში კომუნისტებს ემხრობა

ბერლინი. 24 ნოემბ. სახელმწიფო მოსამსახურეებმა წარადგინეს მოთხოვნილება შრომის ხელფასის 35 პროც. გადიდების შესახებ. მთავრობა დასთანხმდა მოუმატოს შრომის ხელფასი დაბალ კატეგორიის მოსამსახურეებს 12 პროც., მაღალ თანამდებობის პირებს კი—10 პროცენტი სახელმწიფო მოსამსახურეების ხელმძღვანელმა ორგანოებმა პროტესტი განაცხადეს შრომის ხელფასის ასეთი მცირე რაოდენობით გადიდების წინააღმდეგ. მაგრამ, მოსამსახურეების დელეგაციასთან მოლაპარაკების დროს ფინანსთა მინისტრმა ლიუტერმა უარი განაცხადა ჯამაგირების უფრო მეტი პროცენტით გადიდებაზე.

ვიურტემბერგის მთავრობამ პროტესტი განუცხადა საიმპერიო მთავრობას ჯამაგირების ასეთი მცირე რაოდენობით გადიდების წინააღმდეგ; ვიურტემბერგის მთავრობა მოითხოვს, რომ დაბალ ხარისხის მოსამსახურეებს ჯამაგირი გაუდიდდეთ ორჯერ, ვიდრე საშუალო და მაღალ თანამდებობის პირებს.

შეფიქრიანდენ.

ბერლინი. 24 ნოემბ. იმ მიზნით, რომ ბოლო მოეღოს სახელმწიფო მოსამსახურეების უკმაყოფილებას, რაც საშიშროებას წარმოადგენს მთავრობის პარტიებისათვის რეიხსტაგის არჩევნების დროს, ფინანსთა მინისტრმა განკარგულება გასცა იმის შესახებ, რომ ახალი ჯამაგირები მოსამსახურეებს უნდა მიეცეს 15 ნოემბრიდან, 1 დეკემბრის მაგიერათ.

სოციალისტური კავშირი ხმას აძლევს კომუნისტებს.

ბერლინი, 24 ნოემბერი. სოციალისტურმა კავშირმა, რომელშიაც შედის ყოფილ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატების ნაწილი და, რომელსაც მეთაურობს ლედებური გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აცხადებს, რომ უარს ამბობს რეიხსტაგის არჩევნებში საკუთარი კანდიდატების წამოყენებაზე და წინადადებას აძლევს კავშირის წევრებს ხმა მისცენ კომუნისტებს.

ასაბუთებს რა ამ წინადადებას, მოწოდება ამბობს: „კომუნისტები არასოდეს არ უარყოფდნენ კლასთა ბრძოლას. დოუესის გეგმის დამღუპველი შედეგების საკითხში სოციალისტური კავშირი სავსებით ეთანხმება კომპარტიის შეხედულებას. კომუნისტებისათვის ხმის მიცემა უნდა იყოს მძლავრი პროტესტი იმ ტერორის წინააღმდეგ, რომელსაც მიმართავენ გერმანიის სასამართლოები და აგრეთვე 8,000 პროლეტარული მებრძოლების ციხეში ჩაყრის წინააღმდეგაც“.

ლედებურის ჯგუფი რიცხვის მხრივ დიდი არ არის, მაგრამ ის შესდგება მუშური ელემენტებისაგან.

დოუესის გეგმის პირველი შედეგები.

ბერლინი. 24 ნოემბერი. შესდგა გზათა მიმოსვლის ბერლინის ოლქის რკინისგზების ყველა 6 ნაწილების საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების თათბირი, რომელიც იხილავდა 245 რკინისგზელის დათხოვნის საკითხს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დათხოვნამ მეტათ ააღელვა რკინისგზელები; ადმინისტრაციის ასეთი მოქმედება არის დოუესის გეგმის პირველი შედეგი.

მიღებულ რეზოლიუციაში საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საოლქო კომიტეტს წინადადება ეძლევა მოკლე ვადის განმავლობაში მოიწვიოს ბერლინის ოლქის ყველა მუშების და მოსამსახურეების საერთო კრება და წინააღმდეგობა გაუწიოს რკინისგზელების მასიურ დათხოვნას.

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება

გერმანია დათმობაზე წავიდა

ბერლინი. 24 ნოემბერი, პარიზში მყოფ გერმანიის სავაჭრო დელეგაციის მეთაურ ტრენდელენბურგისა და ერრიოს მოლაპარაკების შემდეგ გერმანიის მთავრობამ უარი სთქვა პარიზის ეხლანდელ მოლაპარაკების დროს განხილულ იქნეს საკითხი გერმანიიდან გამოტანილ საქონლის 26 პროცენტით დაბეგვრის შესახებ. შტრეზემანის გაზეთ „ცაიტში“ მოთავსებულ წერილებიდან შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა: გერმანია თანახმაა მიიღოს ანაზღაურების აქტი მხოლოდ ინგლისის მიმართ. საფრანგეთსა და სხვა სახელმწიფოებს კი რომელთაც სარეპარაციო უფლება აქვთ, გერმანიის მთავრობის აზრით, უფლება ჰქონდათ დაებეგრათ გერმანიიდან გატანილი საქონელი მხოლოდ გარდამავალ ხანის განმავლობაში ე. ი. 28 ოქტომბრამდე.

სავაჭრო შეთანხმების ბედი

ბერლინი. 24 ნოემბ. იმის შემდეგ, რაც მოიხსნა საკითხი გერმანიიდან შემოტანილ საქონლის დაბეგვრის შესახებ, საფრანგეთ-გერმანიის საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკება ისევ განახლდა. გერმანიის ელჩმა პარიზში—ფონ-გეშმა განაცხადა, რომ სავაჭრო შეთანხმების ბედ-იღბალი ბოლოს და ბოლოს დამოკიდებული იქნება რეიხსტაგის მიერ დამტკიცებაზე.

უკანასკნელი ცნობები

რეაქციის ბანაკში.

პრაგა. 25 ნოემბერი. ხორვატიის გაზეთ „[illegible]“ იუწყება, რომ რადიჩს ბრალათ ედება სახელმწიფო [illegible] პარტიას ბრალად ედება კავშირი საბჭოთა წრეებთან და 60,000 დოლარის მიღება ბოლშევიკური პროპაგანდის საწარმოებლათ. ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას აძლევენ სამხრეთ-სლავიის შინაგან საქმეთა მინისტრის მაქსიმოვიჩის განცხადებას, რომ პარლამენტის დათხოვნის შემდეგ, დეპუტატები აღარ სარგებლობენ ხელშეუხებლობის უფლებით.

შიშს დიდი თვალები აქვს.

პარიზი. 25 ნოემბერი. საფრანგეთის კომპარტიის რეორგანიზაცია დიდ შიშს იწვევს საფრანგეთის ბურჟუაზიაში.

„ჟურნალ დე რუან“ იუწყება, რომ საფრანგეთის კომპარტია კომუჯრედებს აწყობს ყაზარმებში, სახელმწიფო დაწესებულებებში, არსენალებში, რკინისგზებზე, თვით პარიზის პოლიციაშიც. გაზეთი მოითხოვს მთავრობის ჩარევას „პატიოსან ელემენტების“ დასაცავად.

კომუნისტების მანიფესტაცია პარიზში.

პარიზი, 25 ნოემბ. საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ ჟორესის ნეშტის გადატანა პანთეონში გამოიყენა დიდი მანიფესტაციის მოსაწყობათ. მანიფესტანტებს მიჰქონდათ აურაცხელი პლაკატები რევოლიუციონური წარწერებით, მღეროდენ რევოლიუციონურ ჰიმნებს. პარლამენტის შენობის წინ გაისმოდა ყვირილი „ძირს პარლამენტი, გაუმარჯოს საბჭოებს“. პანთეონის წინ სიტყვები წარმოსთქვა ტრენმა, კაშენმა და კუტიურიემ.

გაზეთები სდუმან კომუნისტური მანიფესტაციის შესახებ, აღნიშნავენ მხოლოდ, რომ მასში მონაწილეობას იღებდა არა უმეტეს 15,000 კაცისა.

მემარჯვენე პრესა პარალელს ავლებს სოციალისტების პროცესიასა და კომუნისტურ რაზმებს შორის. ამ უკანასკნელთ ის უწოდებს რევოლიუციის ავანგარდს.

„ეკო დეპარი“ სწერს: „ჟორესის ნეშტის გადატანის დღე გადაიქცა წითელი დროშების დღეთ, დღეთ, როცა ანტიპატრიოტები კაშენი და კუტიურიე გადაიქცნენ „პარიზის ბრბოს“ ნამდვილ ორატორებათ.

„ფიგარო“ სწერს: „ეროვნული წარმომადგენლობა არ ჩანდა სოციალისტების და კომუნისტების ზღვაში“.

„ეკლერ“ სწერს: „ოქტომბრის [illegible] კომუნისტების სახით, რომლებიც გაჰყვებიან „ინტერნაციონალს“, პარიზს [illegible] საფრთხე. კვირა დღე იყო ნამდვილად რევოლიუციონური დღე.

საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „ლ'იუმანიტე“ სწერს: „ორასი ათასმა მშრომელმა, რომლებიც გაჰყვნენ მოქმედების კომიტეტს, გამოიტაცეს ჟორესის ნეშტი, რომ მიეღოთ ის ბოლშევიკური რევოლიუციისათვის“.

ვაიან-კუტურიე სწერს: „პარიზმა იგრძნო თავისი ძალა და პირისპირ შეხედა ფაშიზმს“.

კაშენი სწერს: „მშრომელმა მასებმა ერთად შეაერთეს ჟორესის იდეები და საბჭოთა რესპუბლიკა“.

სხვა და სხვა ამბები

— **კონტრ-რევოლიუციის „წმინდა“ მამა.** რომის პაპამ მიიღო რუსი თეთრგვარდიელები, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს მას დახმარებისათვის. რომის პაპამ მათ მომავალშიც აღუთქვა დახმარება.

— **ყვითლების გზით.** ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია მუშათა პარტიის შექმნის წინააღმდეგ და მოიწონა ფედერაციის პოლიტიკური ხაზი.

— **კომუნისტურ პარტიაში.** ამერიკის სოციალისტურ პარტიის აღმასკომის წევრმა ვეისბროდმა სთხოვა ამერიკის მუშათა (კომუნისტური) პარტიის ც. კ. მიიღონ ის პარტიაში.

— **ინგლისის ინტრიგები მექსიკაში.** მექსიკის შრომის ფედერაციის ყრილობაზე დელეგატებმა განაცხადეს, რომ შეარაზმელები გადატრიალებას ამზადებენ. იარაღს ფარულათ გზავნის ინგლისი.

— **მთავრობის ლოცვა-კურთხევით** ბულგარეთის გლეხთა პარტიის ც. კ. დაადგინა გამორიცხოს პარტიიდან მემარცხენე ელემენტები. პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ გადასწყვიტა სთხოვოს შინაგან საქმეთა მინისტრს ნებართვა მთელს სახელმწიფოში მასიური მიტინგების მოსაწყობად კომუნისტებთან ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ აგიტაციის ჩასატარებლად.

— **პარტიზანული მოძრაობა ბულგარეთში.** ბურჟუაზიული გაზეთების ცნობით გრაცის ოლქში დააპატიმრეს 30 პარტიზანი. პარტიზანული მოძრაობა ძლიერდება მთელს ბულგარეთში.

— **ხელს აღებს ბოიკოტის პოლიტიკაზე.** ინდოეთის ნაციონალისტების კონგრესის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა ინდოეთის ბელადების დადგენილება ინგლისის დაწესებულებათა ბოიკოტზე ხელის აღების შესახებ.

„ნდობა“ მუსოლინის. შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის შემდეგ ნდობა გამოუცხადა მუსოლინის მთავრობას.

ჩინეთში. პეკინში ჩავიდა ჩინეთის ახალი პრეზიდენტი ტუან-ძი-ჟუი, რომელიც ამავე დროს იქნება ჩინეთის პრემიერ-მინისტრი. ვან-ჩინ-ტინი დარჩება საგარეო საქმეთა მინისტრათ.

სუნ-იატ-სენი შანხაიდან ტიანცზინში ჩავიდა.

როგორ უნდა მიუდგეთ ოქტომბრის ისტორიის შესწავლას

(ამხ. ტროცკის „ოქტომბრის გაკვეთილები“-ს გამო)

ისტორიული ნაშრომების, მოგონებების, კრებულების და იმ დოკუმენტების რიცხვი, რომლებიც მიძღვნილია 1917 წლისა და ოქტომბრის გადატრიალებისათვის, თანდათან იზრდება. მიუხედავათ ამისა, 1917 წელიც და ოქტომბერიც ჯერ კიდევ ელიან თავის ისტორიკოსს. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამხ. ტროცკის იმაში, რომ „ჩვენ აქამდე არ გვაქვს არც ერთი ისეთი ნაშრომი, რომელიც იძლეოდეს ოქტომბრის გადატრიალების საერთო სურათს და ხაზს უსვამდეს მის მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მომენტებს“. („ოქტომბრის გაკვეთილები“, შესავალი წერილი ამას წინათ გამოსულ მე-3 ტომში). არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამხ. ტროცკის იმაში, რომ საჭიროა გავაძლიეროთ ოქტომბრის შესწავლა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავეთანხმოთ „ოქტომბრის შესწავლის“ იმ მეთოდებს, რომლებსაც მიმართავს ამხ. ტროცკი; არ შეიძლება დავეთანხმოთ აგრეთვე იმ დასკვნებსაც, რომლებიც გამოჰყავს ამხ. ტროცკის ამ შესწავლიდან სწორეთ იმიტომ, რომ ოქტომბრის მომზადების ისტორია და ოქტომბრის გადატრიალების ისტორია არსებობენ მხოლოდ ფრაგმენტების სახით, დოკუმენტები არ არის შეგროვილი, დალაგებული, მთელი რიგი მნიშვნელოვანი ფაქტები არ არის სისწორით ჩაწერილი; თვითეული ამხანაგი, რომელიც სწერს 1917 წლის ამბების ისტორიას, თუ მისთვის ძვირფასია ისტორიულ სიმართლესთან დაახლოვება, თუ ის გრძნობს პასუხისმგებლობას იმ მკითხველის წინაშე, რომელსაც სჯერა მისი სიტყვა, ვალდებულია უდიდესი სიფრთხილით და სიზუსტით შეაგროვოს და შეამოწმოს ფაქტები, რომლებიდანაც მას გამოჰყავს თავისი ზოგადი დებულებები. ამხ. ტროცკის მიერ დაწერილი ოქტომბრის ისტორია არ არის ამ სტილით შედგენილი და ამისათვის მას საყვედური უნდა ეთქვას. მართლადაც, აილებს რა წინასწარ „განზრახვით“ თავისი მოწმობის დასაყრდენათ იმ უთანხმოებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბოლშევიკებს ხელმძღვანელ წრეებში 1917 წელში, ის, თითქოს, ობიექტიური „მემატიანეს“ და „პედაგოგის“ პოზიციიდან გადადის (მიუხედავათ განმეორებითი, მეტათ დეკორატიული, მაგრამ ამასთანავე დამარწმუნებელი შენიშვნებისა იმის შესახებ, რომ „უმიზნოა“ ცდა გამოყენებული იქნეს ზოგიერთი ბოლშევიკების ოქტომბრის შეცდომები ბრძოლის იარაღათ მათ წინააღმდეგ ეხლა) არამიუდგომელ პროკურორის პოზიციაზე, ისეთი პროკურორის, რომელიც დავალების თანახმად თამამად ადგენს საბრალმდებლო ოქმს, ის გადადის „გამომძიებლის“ პოზიციაზე, რომელიც გვერდით უდგება პარტიის ისტორიას. მაგრამ ასეთი პროკურორულ-მამხილებელი მიდგომით დახარალდა ოქტომბრის „შესწავლის“ მეთოდები, რადგან პროკურორი სცდილობს დაამტკიცოს თავისი დებულება სხვის გულში არაპირდაპირი მხილების ამოკითხვით, იმ „კეთილსაიმედო“ პირებზე დაყრდნობით, რომელთაც აღარ შეუძლიათ მოწმის სახით წარდგომა სასამართლოს წინაშე და სხვა, ე. ი. მიმართავს ისეთ საშუალებებს, რომლებიც არა თუ არ არკვევენ საქმეს, პირიქით, ბურუსში ხვევენ მას. დავიწყოთ იმ მაგალითით, რომელსაც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რომელიც ნათლად ამტკიცებს იმას, თუ როგორ „შეატრიალა“ ამხ. ტროცკიმ ოქტომბრის გადატრიალების ისტორია. ეს მაგალითია—აპრილის დემონსტრაციის ისტორია. „ლენინის სიტყვამ ფინლიანდიის სადგურზე რუსეთის რევოლიუციის სოციალისტური ხასიათის შესახებ პარტიის მრავალ ხელმძღვანელზე მოახდინა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ყუმბარა გასკდარიყოს. პოლემიკა ლენინსა და „დემოკრატიულ რევოლიუციის ბოლომდე მიყვანის“ მომხრეთა შორის დაიწყო პირველ დღიდანვე. მწვავე შეხახების საგანი იყო აპრილის შეიარაღებული დემონსტრაცია, რომელშიაც გაისმა ლოზუნგი: „ძირს დროებითი მთავრობა“. ამ გარემოებამ საბაბი მისცა მემარჯვენე ფრთის ცალკე წარმომადგენლებს ბრალი დაედოთ ლენინისათვის ბლანკიზმში: დამხობა დროებითი მთავრობის, რომელსაც იმ დროს მხარს უჭერდა საბჭოთა უმრავლესობა, ვითომ, შეიძლებელი იყო მხოლოდ მშრომელთა უმრავლესობისათვის გვერდის ავლით. ფორმალურათ ეს საყვედური თითქოს დამარწმუნებელი იყო, მაგრამ არსებითად ლენინის პოლიტიკაში, რომელსაც ის ატარებდა აპრილში, ნასახიც კი არ ყოფილა ბლანკიზმის...

აპრილის მანიფესტაცია, რომელმაც უფრო „მემარცხენე“ გზა აიღო, ვიდრე ეს საჭირო იყო, წარმოადგენდა დაზვერვის ცდას, რომლის მიზანი იყო მასების სულიერი განწყობილების და მისსა და საბჭოთა უმრავლესობის შორის დამყარებულ ურთიერთობის გამორკვევა... ლენინმა, მოახდინა რა დაზვერვა, მოხსნა დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივი ჩამოგდების ლოზუნგი“... ასე სწერს ამხ. ტროცკი. მისი წიგნიდან სჩანს, რომ 1) აპრილის შეიარაღებული დემონსტრაცია იყო საგანი მწვავე შეხახებისა ლენინსა და პარტიის მრავალ ხელმძღვანელებს შორის; 2) ლენინი მომხრე იყო აპრილის დემონსტრაციის, რომელმაც „მემარცხენე“ გზა აიღო შემდეგი ლოზუნგით: „ძირს დროებითი მთავრობა“; ლენინი ემხრობოდა ამ დემონსტრაციის როგორც ერთგვარ დაზვერვას, რის შემდეგაც მან მოხსნა ეს ლოზუნგი; 3) ლენინის დამოკიდებულებამ აპრილის დემონსტრაციისადმი საბაბი მისცა „მემარჯვენე ფრთას“ ბრალი დაედო მისთვის ბლანკიზმში.

ჩავიხედოთ დოკუმენტებში. აი ლენინის წერილი 23 აპრილის „პრავდაში“—„კრიზისის გაკვეთილები“. ლენინი ასე ათავებს თავის წერილს „გაკვეთილი ნათელია, ამხანაგო, მუშაო. დრო არ იცდის. პირველ კრიზისს მოყვა სხვა კრიზისები. მთელი ძალ-ღონე მოაძმარეთ ჩამორჩენილების განათლების საქმეს... ყველა მაღლები საკუთარ გაერთიანებისათვის... ნუ აყვებით კაპიტალისტ-ობორონცებთან „შეთანხმების“ მომხრე წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებს, „მხარის დაჭერის“ მომხრეებს, ნურც ერთეულებს, რომლებიც იჩქარიან, და ხალხის უმრავლესობის მტკიცე გაერთიანებამდი ნუ წამოიძახებთ: „ძირს დროებითი მთავრობა!“ კრიზისის მოსპობა არ შეიძლება ცალკე პირების ძალდატანებით სხვებზე. შეიარაღებული ხალხის მცირე ჯგუფების ნაწილობრივი გამოსვლებით, „ძალაუფლების ხელში ჩაგდების“, დროებითი მთავრობის „დაპატიმრების“ და სხვა ამგვარი ბლანკისტური ცდებით (კურსივი ჩვენია). სადღეისო ლოზუნგი: რაც შეიძლება სწორათ, ნათლად და ფართოთ განუმარტეთ მასებს პროლეტარიატის ხაზი, მისი გზა, რომელიც მიმართულია ომის დაბოლოვებისაკენ... გაერთიანდით თქვენი საბჭოების გარემო და მათ შიგნით; ამხანაგური რიგა-დარიგებით და ცალკე წევრების ხელ-ახალი არჩევნებით შეეცადეთ გააერთიანოთ თქვენს გარშემო უმრავლესობა“.

„პრავდა“-ს იმავე ნომერში მოთავსებულ წერილში: „როგორ აბნელებენ ნათელ კითხვას“, სადაც ლენინი დასცინის ბანკების გაზეთ „დენ“-ის მიერ ბოლშევიკების ჭეშმარიტი პოზიციის გადამახინჯებას, ლენინი სწერს: „ხელისუფლების დაპყრობის ცდა იქნებოდა ავანტიურა ანუ ბლანკიზმი („პრავდა“ სრული დაჯერებით, არაორჭოფულად, სპეციალურად, გარკვევით გაფრთხილებდა ასეთი ნაბიჯის გადადგმისაგან), სანამ მას მხარს არ დაუჭერდა ხალხის უმრავლესობა. რუსეთში ეხლა ისეთი თავისუფლებაა, რომ ხალხის ნებისყოფის გამორკვევა შეიძლება მხოლოდ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების შემადგენლობის საშუალებით. მაშასადამე, სერიოზულად,—არა ბლანკისტურად რომ მივიდეთ ხელისუფლებასთან, პროლეტარულმა პარტიამ უნდა იბრძოლოს გავლენის მოსაპოვებლად საბჭოებს შიგნით“.

დაბოლოს, 25 აპრილს ლენინი აქვეყნებს წერილს „Неумное злорадство“. „რაბოჩაია გაზეტა“ (მენშევიკური)—სწერს იგი,—გესლიანად იცინის და ხტუნავს ცეკას უკანასკნელ რეზოლიუციის გამო (რეზოლიუციის შინაარსი იგივეა, რაც ლენინის წერილის „კრიზისის გაკვეთილები“-ს შინაარსი. გ. სოკ.), რომელმაც გამოააშკარავა (სხვათა შორის, საბჭოს ბოლშევიკური ფრაქციის უკვე გამოქვეყნებულ განცხადებასთან ერთად *) ჩვენი პარტიის შიგნით არსებული ერთგვარი უთანხმოება. დიახ, იხტუნონ და იცინონ გესლიანად მენშევიკებმა. ჩვენ ეს ვერ დაგვაფრთხობს. ნუ თუ დამარწმუნებელია ის გარემოება, რომ ორგანიზაციას, პარტიას მოკლებული ხალხი გულდაწყვეტებული ხტუნაობს და დავლურს უვლის იმის გამო, რომ სხვის ორგანიზაციაში ნაკლი აღმოჩნდა. ჩვენი საქმე არ არის ის, რომ გვეშინოდეს სიმამთვილის—სიმართლის. კრიზისმა გამოააშკარავა სუსტი ცდა ჩვენ „ცეკა“-ზე „ოდნავ უფრო მარცხნივ“ გადახრისაკენ. ჩვენი ცეკა არ დაეთანხმა, და ჩვენ ერთი წუთითაც არ ვეჭვობთ, რომ ჩვენს პარტიაში უკვე იქნება თანხმობა ნებაყოფლობით, შეგნებით, თანხმობა სავსებით სრული“. ამგვარად, ლენინი აპრილში წინააღმდეგია 1) იმ ცალკე ერთეულების, რომლებიც ჩქარობენ გამოვიდნენ მოწოდებით: „ძირს დროებითი მთავრობა“ მანამდე, ვიდრე არ მოხდება ხალხის უმრავლესობის მტკიცე შეკავშირება, 2) შეიარაღებულ პატარა ჯგუფების ბლანკისტური ცდების და კერძო გამოსვლების, 3) ჰკიცხავს მეტად სუსტ ცდას „ცეკა“-ზე ოდნავ მარცხნივ გადახრისაკენ, ხოლო მენშევიკების მიერ ჩვენს პარტიაში არსებულ ამ პატარა უთანხმოების გაზვიადებას დაცინვით უპასუხებს: „ბრიყვის გესლიან დაცინვას“. ხოლო ვისთან მოხდა ამხ. ტროცკის მიერ გაზვიადებული იდუმალი „გამწვავებული შეტაკება“ აპრილის დემონსტრაციის გამო. ამხ. ტროცკის მტკიცების წინააღმდეგ, იგი მოხდა პარტიის ხელმძღვანელთა არა „მემარჯვენე ფრთასთან“, არამედ მუშაკთა მცირე ჯგუფთან, რომელსაც მეთაურობდა ცეკას მაშინდელი მდივანი ამხ. ბოგდატიევი.

ეს ამხანაგები გადაიხარენ „ცეკა“-ზე ოდნავ მარცხნივ და ამიტომ სწორედ მათ ჰკიცხავდენ ცეკას რეზოლიუცია და ამხ. ლენინის წერილი, სადაც უარყოფილი იყო მათი გამოსვლა, როგორც „ხელისუფლების დაპყრობის“, დროებითი მთავრობის „დაპატიმრების“ და სხვ. ბლანკისტური ცდა. ამგვარად, ამხ. ტროცკი, რომელიც თითქოს მოვლენებს „ღრმა“ ანალიზს უკეთებს, ერთმანეთში ურევს ყველაფერს: 1) აპრილის დემონსტრაცია არ ყოფილა არც მწვავე და არც არავითარი შეხლა-შემოხლის საგანი ლენინსა და ცეკას წევრებს შორის. 2) ლენინი არ ყოფილა მომხრე, რომ დემონსტრაციის მიმართულება გადახრილი ყოფილიყო „ცეკა“-ს ხაზზე უფრო მარცხნივ. 3) „მემარჯვენე ფრთას“ აპრილის დემონსტრაციის გამო ლენინისთვის კი არ დაუდვია ბრალად ბლანკიზმი, არამედ თვით ლენინმა გაილაშქრა ბლანკისტური ტაქტიკის წინააღმდეგ პატარა ჯგუფის მიერ შეცდომების დაშვების გამო აპრილის დემონსტრაციის ჩატარების დროს (აპრილის კონფერენციაზე გამართული კამათი საქმის ვითარებას სრულიად არ სცვლის).

როგორ მოუვიდა ასეთი შეცდომა ამხ. ტროცკის, შეცდომა, რომელიც უფრო შეეფერება „ისტორიას“, რომელიც იწერებოდა გაზეთ „დენ“-ის მიერ „ისტორიას“, როგორც ის დაუწერია მენშევიკ სუხანოვს; რომელიც ასე ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის ნამდვილ ისტორიას.

სწორედ იმიტომ, რომ იგი გაუტაცნია დასაბუთების პროკურორულ მეთოდებს წინასწარ დასახული მიზნით. ამიტომ უთანხმოების, მერყეობის და შეცდომების ანალიზის მაგიერ, მათი ნამდვილი ფესვების გამორკვევის ნაცვლად, ლენინის ხაზის განვითარებასთან მათი ისტორიულად დაკავშირების მაგიერ იგი სცდილობს დახატოს ბოლშევიზმის ისტორია ოქტომბრის წინა დღით, როგორც ბრძოლა ორი პარტიის, რომლებიც იბრძვიან ერთ პარტიის შიგნით.

სწორედ ამიტომ წინააღმდეგ ისტორიული ფაქტებისა ამხ. ტროცკის უხდება იმის მტკიცება, რომ „ფიგურების დალაგება“ ოქტომბრის აჯანყების დროს ხდებოდა იმ გეგმით, როგორსაც ადგილი ჰქონდა რამოდენიმე თვით ადრე აპრილში ამხ. ბოგდატიევის და „ინდივიდუალისტ“ ლინდეს მარინის სასახლეზე გალაშქრების დროს. ამხ. ტროცკის ძალიან სწადია დაგვანახვოს მთელი „კანონშეწყობილება“ იმ უთანხმოებათა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ოქტომბერში. სწორედ ამიტომ არის, რომ მისთვის „აპრილი“ საფეხური იყო „ოქტომბრის“. ამხ. ტროცკის ამ შეცდომაში, ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სავსებით გამოიხატება მისი „გამოკვლევის“ ყველა სპეციფიური მხარეები: ამბების ძალიან ცუდათ ცოდნა ძალიან დიდი „გესლიანი დაცინვა“ და მტრულად განწყობილ „მამხილებელის“ გამოლაშქრება.

შევეხოთ ეხლა სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდს: არკვევს რა ლენინის და პარტიის ცეკას პოზიციებს დემოკრატიული თათბირიდან დაწყებული აჯანყების დღემდე, ამხ. ტროცკი ცეკასა და ლენინს შორის არაკეთილ უთანხმოებებს „მოხერხებულად“ ჰყოფს ორ კატეგორიათ: 1) ისეთები რომლებშიაც ამხ. ტროცკი იზიარებდა ლენინის წინადადებებს—ასეთ შემთხვევებში ამხ. ტროცკის ეხლანდელი გამართლებით ცეკა იხრებოდა მემარჯვენე ფრთისაკენ და კამენევისა „სოციალ-დემოკრატიზმი“, 2) ისეთები, რომლებშიაც ამხ. ტროცკი იზიარებდა ცეკას პოზიციას და არ ეთანხმებოდა ლენინს—ამ შემთხვევებში ამხ. ტროცკი მზად არის „გაამართლოს“ ცეკა. მაგალითად, მის გამო, რომ პეტროგრადის საბჭო პროტესტით შეხვდა კერენსკ ბრძანებას გარნიზონის ნაწილის ფრონტზე გაყვანის შესახებ, ამ ტროცკი ამბობს: „ლენინმა, რომელიც იმყოფებოდა პეტროგრადს გარედ, ვერ შეაფასა ეს ფაქტი მთელ თავისი მნიშვნელობით“. იქვე კიდე ნათქვამია: „მას (ლენინს) საშუალებ არ ჰქონდა იატაკ ქვეშიდან შეეფასებინა ის ძირითადი გარდატეხა უკ არა მარტო სულიერ განწყობილებაში, არამედ ორგანიზაციულ სფეროში, მთელს სამხედრო იერარქიაში დედა-ქალაქის გარნიზონის „წყნარ აჯანყების შემდეგ ოქტომბრის შუ რიცხვებში“...

ცეკასა და ლენინს შორის არსებულ უთანხმოებათა მოხერხებულად გამოყენება,—როცა ამხ. [illegible] შუქებული, რომ ცეკა მართალია მაშინ, როცა ეთანხმება ამხ. ტროცკის, ხოლო ლენინი არ არის მართალ მაშინ, როცა არ ეთანხმება ამ ტროცკის,—მიზნად ისახავს დაგ ნახვოს პარტიის ცეკა ოქტომბრ წინ, როგორც ისეთი დაწესებულებ რომელიც ტყვეთ ჰყავს მემარჯვ ფრთას და „მხოლოდ“ აჯანყებაა ლ ნინის „დაჟინებითი, თავგამოდებით განუწყვეტელი“ ბრძოლის შედე ეს არის არა გადმოცემა, არამ დამახინჯება ოქტომბრის ისტორი რასაკვირველია, ლენინის „დაჟინ ბითი, დაუღალავი, განუწყვეტელი“ [illegible] სექტემბერ-ოქტომბრის გან ვლობაში, ამჟღავნებდა ცეკას ენ გიას, არც ერთი წუთით არ აყ ყოვნებდა აჯანყების ამოცანას, პირ პირ აჯადოებდა ცეკას და პარტ ორგანიზაციებს. სწორედ ასე მოქმ დებდა და არც შეეძლო არ ემოქმე ლენინს. მაგრამ ცეკა, როგორც აჯ ყების უშუალო ორგანიზატორი, რომ ლიც არც ერთი წუთით არ ეწინააღ დეგებოდა ლენინის ბრძოლის დირ ტივებს, ვალდებული იყო ამავე დრ სისწორით შეეფასებინა სიტუაცი შეერჩია აჯანყების ისეთი ფორმე ადგილი, ვადა, რომელიც უზრუნველ ჰყოფდა გამარჯვებას. და მონაწილე ბა როგორც დემოკრატიულ თა თბირზე, ისე წინასწარ პარლამენ მოხდა უმეტესად იმ სიფრთხილ წყალობით, რომელსაც იჩენდა [illegible] ხანი საზოგადოთ გადახრის წინა მდეგ ისე, რომ ამას არ მოჰყო ის უარყოფითი შედეგები, [illegible] ლებიც, ცხადია, შესაძლებელი

---

*) ეს განცხადება და აგრეთვე მასზე დართული რედაქციის შენიშვნა მოთავსებული იყო „პრავდა“-ს 39 №-ში, მოგვყავს სავსებით:

ამხანაგების საყურადღებოდ

ამხანაგები ლანგვეიჩი (ლაშევიჩი?) გ. ს., კრიმოვი და მარინი—მუშათა და გლეხთა საბჭოების ბოლშევიკური ფრაქციის რწმუნებულნი, გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ მუშათა დიდს უმრავლესობას, რომელიც 20 და 21 აპრილს დემონსტრაციაში მონაწილეობდა და დაატარებდა პლაკატებს წარწერით: „ძირს დროებითი მთავრობა“, ესმოდა ეს ლოზუნგი მხოლოდ იმ მნიშვნელობით, რომ მთელი ძალაუფლება უნდა გადასცემოდა საბჭოებს, რომ მუშებს სურთ ძალაუფლების ხელში აღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიმხრობენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებში უმრავლესობას. საბჭოს არსებული შემადგენლობა არა სრული სისწორით გამოხატავს მუშათა და ჯარისკაცთა მასების ნებისყოფას. ამიტომ ბოლშევიკების ფრაქციას ცეკას რეზოლიუცია 22 აპრილის თარიღით მიაჩნია ისეთად, რომელიც არა სრული სისწორით ახასიათებს საქმის ვითარებას არსებულ მომენტში.

რედაქციისაგან. თავის თავათ ცხადია, რომ ცეკას რეზოლიუცია სრულიად არ არის მიმართული მასიური დემონსტრაციის ორგანიზატორების წინააღმდეგ, ცხადია, რომ ხსენებული ლოზუნგის ასეთი გაგების შემდეგ ფიქრიც კი აღარ შეიძლება მოუფიქრებელი საქციელის ანუ ავანტიურიზმის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, დასახელებულ ამხანაგების, როგორც მანიფესტაციების ორგანიზატორების წარმომადგენლთა, უდიდეს დამსახურებათ ჩაითვლება, რომ დემონსტრაციებმა მიიღეს მასიური და სერიოზული ხასიათი. მხოლოდ მათ მიიტანეს ღირსეული იერიში ბურჟუაზიის, რომელმაც დემონსტრაცია მოაწყო თავისი დროებითი მთავრობის სასარგებლოდ“.

სულით ავადმყოფთა დახმარების საქმე ჩვენში

(„სულით ავადმყოფთა დამხმარე საზოგადოების“ დაარსებისათვის)

სახელმწიფოს კულტურულ დონის ერთ-ერთი მაჩვენებელი არის სულით ავადმყოფთა დახმარების მდგომარეობა. მოწინავე სახელმწიფოებში სულით ავადმყოფნი უზრუნველყოფილნი არიან 100 პროც., არა კულტურულში კი ეს პროცენტი უდრის 0.

თვითმპყრობელობის დროს სულით ავადმყოფთათვის დახმარება არ აღემატებოდა 1,5 პროც. საბჭოთა საქართველო ამ მხრივ შედარებით უფრო ბედნიერია, ჩვენი საავადმყოფოების ინტენსიური მუშაობით ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ 6 პროცენტამდე. ეს ციფრიც არ არის საკმარისი. დღემდე არ არის სწორი სტატისტიკა სულით ავადმყოფთა რაოდენობის შესახებ რესპუბლიკაში. მხოლოდ ამ ჟამად შეუდგა ჯანსახკომი სულით ავადმყოფთა აღწერას. ვსარგებლობთ რუსეთის და საზღვარგარეთის სტატისტიკაზედ დამყარებულ თეორეტიული გამოანგარიშებით. ამის მიხედვით ყოველ 10.000 მცხოვრებზე სულით ავადმყოფთა რიცხვი უდრის 25. ყოველ 100 სულ ავადმყოფზე კი მოდის ქრონიკული 65 და მწვავე 35.

ზემომოყვანილი ნორმები ჩვენი რესპუბლიკის შეფარდებით გვაძლევენ შემდეგ ციფრებს: ორ ნახევარ მილიონი მცხოვრებლებზედ ჩვენ გვყავს 6250 სულით ავადმყოფი. მათში მწვავე ავადმყოფობის ხანაში იმყოფება 2170, ე. ი. 35 პროც.

არც ერთი სულით ავადმყოფი არ უნდა დარჩეს თავშეუფარებელი, თავის ანაბარათ მიტოვებული ავადმყოფი მუდმივ ხიფათს წარმოადგენს როგორც თავისთვის, ისე საზოგადოებისათვის.

ყოველ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყოფილი და მოთავსებული საავადმყოფოებში ის 35 პროც. ავადმყოფებისა, რომლებიც მწვავე მდგომარეობაში იმყოფებიან. ამ რიგად საქართველოში ჩვენ უნდა გვქონდეს ფსიქიატრიულ ავადმყოფთათვის 2170 საწოლი, ნამდვილად კი გვაქვს მხოლოდ 230. ეს შეადგენს მოთხოვნილების ერთ მეცხრედ ნაწილს, ე. ი. დაახლოვებით 10,5 პროც.

არსებულ დებულებებით ფსიქიატრიული დახმარების მოწყობა აღებული აქვს თავზე სახელმწიფოს. ადგილობრივი ორგანოები განთავისუფლებული არიან ამ ხარჯებიდან. მაგრამ სახელმწიფოს ამ ჟამად არ შეუძლია მისცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს საჭირო ხარჯები. ამის გამო არამც თუ საავადმყოფოების ქსელის გაფართოვება, არამედ არსებულ საწოლების რიგიანათ შენახვაც კი შეუძლებელი ხდება. საავადმყოფოები არ არიან უზრუნველყოფილნი ინვენტარით, თეთრეულობით და სხვა მარაგით. არც კვება არის საკმაო (ხარჯთ-აღრიცხვით თითო ავადმყოფის კვებისათვის გვეძლევა დღეში 30 კ.).

ეს აიძულებს ჯანსახკომს მიმართოს დახმარებისათვის სხვა და სხვა უწყებებს (ქალაქს, რკინის გზას, სამხედრო უწყებას) და აგრეთვე საბჭოთა საზოგადოებრიობას. ადგილობრივი ორგანოები ვერ მოგვცემენ დიდ დახმარებას უსახსრობის გამო. უფრო შესამჩნევი იქნება საზოგადოებრივი დახმარება, თუ ის ორგანიზაციულ ხასიათს მიიღებს.

საქ. წითელი ჯვრის, პარტიული (ქალთა განყოფილებების აქტივობით) პროფესიონალური და სხვა ორგანიზაციების ინიციატივით უნდა დაარსდეს იმავე ხასიათის მუდმივი „სულით ავადმყოფთა დამხმარე საზოგადოება“, როგორც არის „ბავშვთა მეგობრობის საზოგადოება“, აუარებელი რიცხვი თავშეუფარებელ სულით ავადმყოფთა, რომელიც სჭარბობს უბინაო ბავშვების რიცხვს, დაბეჯითებით მოითხოვს ამას. საზოგადოებამ უნდა დაჰფაროს თავისი ფილიალებით რესპუბლიკა, მან უნდა გამონახოს მატერიალური წყაროები (საწევრო გადასახადები, სამღიურებები, წარმოდგენები, საღამოები და სხვა). საზოგადოება დაეხმარება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს სულით ავადმყოფთა დახმარების გეგმის განხორციელებაში. შეერთებული ძალებით ჩვენ დავიკავებთ ამ საქმეში საბჭოთა სახელმწიფოსათვის შესაფერ ადგილს. საჭიროა დაუყოვნებლივ გადავდგათ პირველი ნაბიჯები.

უკვე შესდგა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში საორგანიზაციო ბიუროს პირველი სხდომა, რომელმაც გამოიმუშავა წინასწარი მუშაობის გეგმა. ამ დღეებში მოწვეული იქნება ყველა დაინტერესებულ ორგანოების წარმომადგენლების მონაწილეობით საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელიც განიხილავს საზოგადოების წესდებას და ოფიციალურად მისცემს დასაწყისს საზოგადოების არსებობას. შემდეგ დაიწყება არსებითი მუშაობა, რომელიც მოითხოვს დიდ შრომას, ყურადღებას და ენერგიას.

ვიმედოვნებთ, რომ ამაში არ გვეტყვიან უარს რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანიზაციები და მშრომელთა ფართო მასები.

გრ. კუჭაიძე.

ეკონომიური ცხოვრება

ქაღალდის და ხელოვნური ხის ქარხნები

გაზეთ კომუნისტის № 248 ნოემბრის 12-დან არის ფრიად საყურადღებო სილ. ახვლედიანის წერილი ქაღალდის ქარხნის გახსნის შესახებ საქართველოში. ამ წერილში მშვენივრადაა დახასიათებული ქაღალდის ქარხნის მნიშვნელობა სახელმწიფოსთვის, მაგრამ ამ სასურველ საკითხს რომ დაუმატოთ და ქაღალდის ქარხანას დაუკავშიროთ ხელოვნური ხის ქარხნის ამოძრავების საჭიროება, ნათლად დაინახავს ჩვენი საზოგადოება, თუ რა სარგებლობას მოგვიტანს ამ ქაღალდის ქარხნის საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

საქმე შემდეგშია: 1912 წელს ინჟინერთა ამხანაგობამ გერმანელებისაგან შეისყიდა 12.000 მანეთად პატენტი, რის გამო თავიანთი რწმუნებული გაგზავნეს ქ. მანჰეიმში. ხელოვნური ხის ქიმიური შეზავება და ტეხნიკური სამუშაოს შესასწავლად (ერთი ამ რწმუნებულთაგანი მე ვიყავი). შევისწავლეთ რა როგორც თეორეტიულად, აგრეთვე პრაქტიკულად, დავბრუნდით თბილისში, მოვაწყვეთ ქარხანა ვორონცოვის ქუჩაზედ ენფიანჯიანცის შენობაში (ყოფ. ჩითახოვის საქსოვ ფაბრიკის პირდაპირ) და შეუდექით მუშაობას. ომის დაწყებამდის მოვასწარით 23 ადგილას სხვადასხვა შენობებში ხელოვნური ხით იატაკების, პლინტუსების, პანელების, ფრიზების და სხ. გაკეთება. თუ გვინდა, რომ ქაღალდის ნაფქვის ანაცერი ქატო, (რომელსაც ვიწერდით ფინლიანდიიდან), აქვე იაფად მივიღოთ ქაღალდის ფაბრიკიდან, რომელიც შორიდან მოტანილი აძვირებს ხელოვნური ხის მომზადებას, რადგან მთავარ როლს თამაშობს ხელ. ხის მომზადებაში, ამიტომ უნდა დაჩქარდეს ამ ფაბრიკების საჩქაროდ ამოძრავება. ქალაქი ამჟამად დიდრონ შენობებს აშენებს, რისთვისაც უამრავი ხე-ტყე მიდის იატაკებისათვის, რითაც ნადგურდება ტყეები, ხელოვნურ ხეს კი არ სჭირდება არც იატაკის ქვეშ კოჭები, არც ფიცრები, არც მუდმივი ღებვა და არც ლურსმანი.

ამ საქმეში დაინტერესებულ ორგანიზაციებს ან პიროვნებებს შეუძლიათ ადგილობრივად ნახონ კინო „აპოლოში“, სადაც არის მხატვრული იატაკი ზევითა ფოიეში. ხელოვნური ხე საერთაშორისო ომამდე—ჯდებოდა ოთხკუთხი საჟენი 14 მანეთი, დღეს შეიძლება ცოტა მეტი დაჯდეს, მაგრამ უპირატესობა მას უნდა მიეკუთვნოს საამშენებლო დარგში.

გიორგი სადალაშვილი.

ა | კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიაში

ბამბის საწმენდი ქარხანა.

ა | კ. გეგმათა სამმართველოს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო გადაეცეს ა | კ. მებამბეობის მთავარ კომიტეტს ბამბის გასაწმენდი ქარხანა, რომელიც იმყოფება საქართველოს მიწად. მოქ. სახ. კ-მის მამულში—კულლარში.

სახელმწიფო დაზღვევის მოგების განაწილება.

გეგმათა სამმართველოს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო სახელმწიფო—დაზღვევის ოპერაციებიდან მიღებული 1923—24 საოპერაც. წლის წმინდა მოგება მოხმარდეს შემდეგ მიზნებს: 50 პროცენტი გადაირიცხოს ა | კ. სახ. კომ საბჭოსთან არსებულ განსაკუთრებულ ფონდში დანგრეულ სამოსახლო უბნების აღსადგენად. 25 პროცენტი მუშათა საბინაო მშენებლობის გასაფართოებლად ქალაქებში და 25 პროცენტი სხვა საჭიროებას.

დატვირთვის და განტვირთვის ამხანაგობა.

გეგმათა სამმართველოს პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო მოეწყოს დატვირთვის და განტვირთვის საპაიო ამხანაგობა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო ორგანოები, კოოპერაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ამასთანავე პრეზიდიუმმა დაადგინა შექმნას ხუთი პირისაგან საორგანიზაციო კომისია, რომელმაც ერთი კვირის განმავლობაში უნდა შეადგინოს ამხანაგობის წესდება. ამხანაგობამ მოქმედება უნდა დაიწყოს ერთი თვის შემდეგ.

სააღმშენებლო მასალათა ქარხნები

(სააღმშ. ქარხნების სამმართველოს ცნობებით)

1923 წლამდე სააღმშენებლო ქარხნებს მართავდა ს. მ. უ. ს.-თან არსებული სააღმშენებლო კომიტეტი, რომელიც 1923 წლის მაისში გადაკეთდა სამმართველოდ. ახალმა დაწესებულებამ მემკვიდრეობად მიიღო სულ სამი ქარხანა—ქსანის აგურ-კრამიტის, ქუთაისის კირის და თბილისის აგურის (ერთი) ქარხნები, რომელნიც საჭიროებდენ კაპიტალურ შეკეთებას და გაუქმებულ ღუმელების ამუშავებას.

სამმართველოს მოუხდა აგრეთვე დარჩენილი ვალის გასტუმრება და მუშების გაუსტუმრებელი ხელფასის დაფარვა.

გაუქმებული ქარხნების ამუშავება

სამშენებლო მუშაობის წარმატებით მსვლელობისათვის აუცილებელი იყო სააღმშენებლო მასალის გაიაფება, რომელიც იმ თავითვე მიზნად დაისახა სამმართველომ. ამისათვის აუცილებლად საჭირო იყო ნახევრად დანგრეული ქარხნების შეკეთება და უკვე გაუქმებულ ქარხნების ამუშავება. 23 წელს კი შეკეთებულ იქნა ქუთაისის კირის ქარხანა, სადაც ერთის ნაცვლად ამუშავებულ იქნა 3 გამოსაწვავი ღუმელი, კაპიტალური რემონტი გაუკეთდა თბილისის აგურის და ქსნის აგურ-კრამიტის ქარხნებს. თბილისში ამუშავებულ იქნა აგრეთვე 2 აგურის ქარხანა. ამ ქარხნების რიცხვის ზრდამ საგრძნობლად გაამრავლა მუშა ხელი.

სააღმშენებლო მასალის გაიაფება.

სააღმშენებლო მასალის (კირის, აგურის, კრამიტის) მოთხოვნილება ბაზარზე დიდათ გაიზარდა მას შემდეგ, რაც დაიწყო დაზიანებულ სახლების შეკეთება და ახალი სახლების მშენებლობა. ამ გარემოებით სარგებლობდენ კერძო მექარხნეები, რომელნიც ყოველ 1000 ცალ აგურს ჰყიდდენ 50—60 მანეთად და ხშირად 70 მანეთადაც.

სამმართველო ქარხნების მიერ დამზადებული აგური კი იყიდება ამჟამად 30 მანეთად ყოველი 1000 ცალი.

თუ რამდენად იაფად ამზადებენ სამმართველოს ქარხნები ასაშენებელ მასალებს, ამას მოწმობს ზაჰესის მიერ გამართული შეჯიბრება, რომელ დროსაც კერძო მექარხნეებმა ვერ გაბედეს 1000 აგურის 80 მ. ნაკლებ დამზადება, ხოლო სამმართველომ კი იკისრა აგურის იმავე რაოდენობის 25 მანეთად აღება.

შრომის ნაყოფიერების ზრდა.

ქარხნების აღდგენის და შეკეთების შემდეგ, სწრაფად წაიწია წინ შრომის ნაყოფიერებამაც, რომელმაც ზოგ ქარხნებში ომის წინადროინდელ დონეს გადააჭარბა.

მაგ. თბილისის აგურის ქარხანამ 1921 წელს დაამზადა 373 ათასი ცალი აგური, 1922 წელს—445 ათასი, ხოლო 1924 წელს კი 3.600 ათასი ცალი.

ქსნის ქარხნის დამზადება 1921 წ. უდრიდა—565 ათასს ცალს, 1922 წელს—730 ათასს ცალს, 1923 წელს 830 ათასს ცალს, ხოლო 1924 წელს 1.300 ათასს.

ყოველთვიურად თვითეულ მუშაზე მოდიოდა 1921 წელს—400 ცალი, 1922—294 ცალი, 1923 წ.—518 ცალი, ხოლო 1924 წელს 718 ცალი.

ახალი წარმოებანი.

მიმდინარე წელს სამმართველომ ხელი მოჰკიდა გაჯის წარმოებას, რომელიც დიდ ნაყოფს იძლევა. თბილისში სამმართველომ აღადგინა თიხის კერამიკული ქარხანა, რომელიც ამზადებს საუცხოვო ღირსების ჭურჭლეულს. ჭურჭლეული ძალიან იაფად ჯდება.

რაღაც მიზეზით კოოპერატივები იაფად შეძენილ ჭურჭლეულს ჰყიდიან გაორკეცებულ და ხშირად გასამკეცებულ ფასად.

კოოპერაცია

მუშათა კოოპერატივი ჭიათურაში

ჭიათურაში მუშათა კოოპერატივის მოქმედება შეიძლება ითქვას ამ ოთხის თვის განმავლობაში საგრძნობლათ წინ მიდის.

თვალსაჩინოთ გაიზარდა წევრების რიცხვი. დღეს მუშათა კოოპერატივში წევრთა რიცხვი აღწევს 2000 მეტს, და ეს რაოდენობა თანდათან იზრდება.

ამ ოთხი თვის განმავლობაში საგრძნობლათ გაძლიერდა მუშკოპის ოპერაციები. ქ. ჭიათურაში მუშათა კოოპერატივს აქვს შემდეგი სავაჭროები:

ორი მთავარი მაღაზია, ორი ფურნე, ორი სასადილო, ერთი სახარაზო, ერთი საყასბო, ერთი საწვრილმანო, კიოსკი, ერთი ღვინის მარანი, ოთხი სხვადასხვა საწყობები. აგრეთვე ახლოზელ სოფლებში აქვს ოთხი განყოფილება: შუქრუთში, პერევისაში, რგანში და სკინდორში.

ამ ზემოხსენებულ სავაჭროებში მოიპოვება საქონელი, რომელიც აკმაყოფილებს შეძლების დაგვარათ მცხოვრებლებს, წევრებს ეძლევათ შეღავათი ნაყიდ საქონელზე 5 პროც. და ენახებათ ის საჭირო საქონელი, რომელიც ძვირათ მოიპოვება ბაზარზე.

აგრეთვე ჰყავს საკუთარი ტრანსპორტი 3 ცხენით.

„კარუტო“-ს ფირმასთან მოხდა შეთანხმება და უნდა გაიხსნას განყოფილება—სასადილო მაღაროებში.

ამასთანავე გამგეობას განზრახვა აქვს გახსნას განყოფილებები სასადილოთი: საგანგებო სამმართველოს მაღაროებში რგნის ღელეში და თაბაგრებში.

მუშკოპის გამგეობას სრული იმედი აქვს, რომ შავი ქვის საგანგებო სამმართველო გაუწევს ანგარიშს მათ მუშების მოთხოვნილებას და ამ მოკლე ხანში მოახდენს შეთანხმებას მუშკოპის გამგეობასთან—როგორც „ჩემო“ და „კარუტო“-ს ფირმაა და ხელს შეუწყობს რგნის ღელეში და თაბაგრებში მუშკოპის განყოფილების გახსნას.

ამჟამად მუშკოპის გამგეობას განზრახული აქვს გახსნას ქ. ჭიათურაში ახალი მაღაზია და ფურნე, მაგრამ ბინის უქონლობა ხელს უშლის ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას.

დ. მელქაძე.

სასოფლო მეურნეობა

ბრძოლა საქონლის ავადმყოფობასთან

(მიწადმოქ. სახ. კომის. ვეტერ. განყოფ. ცნობებით)

საქონლის ჭირი მეზობელ რესპუბლიკებში

მიმდინარე წლის გაზაფხულზე საქონლის ჭირი მეტად გავრცელდა აზერბეიჯანსა და სომხეთში. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატისგან მიღებულ საკარანტინო ზომებს მიუხედავათ საქონლის ჭირი მაინც შემოიპარა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში—ყარაიაზის რაიონში, სადაც ეს სენი გავრცელდა თითქმის ამ რაიონის ყველა სოფლებში—სახ. კომის საცდელ მამულში.

საქ-ში საქონლის ჭირის შემოტანის მიზეზი

საქონლის ჭირის საქართველოში შემოტანის მიზეზი არის ის გარემოება, რომ მიუხედავათ სასტიკი აკრძალვისა, აზერბეიჯანიდან შემოჰყავდათ საქონელი არა ვეტერინალურ ექიმების, არამედ ადგილობრივი აღმასკომების და სანიტარული ექიმების მოწმობით. ამ ერთი კვირის წინად მიღებულ ცნობებით, საქონლის ჭირმა თავი იჩინა აგრეთვე სოფელ ნინოწმინდის საქონლის საზამთრო ბინებზე.

იმის გამო, რომ ჭირმოდებულ რაიონებში საქონლის ფასი დაეცა, ჩარჩები სარგებლობენ ამ გარემოებით, ყიდულობენ ხშირად დაავადმყოფებულ საქონელს და მიჰყავთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გასაყიდათ. ამ გზით საქონლის ჭირი შეიჭრა შორაპნის, რაჭის მაზრებში და არაგვის ხეობის 5 სოფელში.

ჭირთან ბრძოლა.

ჭირმოდებულ რაიონიდან ცნობების მიღებისთანავე ვეტერინარულმა განყოფილებამ, და სამაზრო აღმასკომებმა მიიღეს სათანადო ზომები.

ჭირმოდებული რაიონები სასწრაფოდ შეკრულ იქნა კარანტინებით, დაიგზავნა ჭირის ასაცრელად მასალები და გამოცდილი ვეტერინარები—არა მარტო საქართველოს კუთხეებში, არამედ აზერბეიჯანშიაც, სადაც ზაფხულშივე გაგზავნილ იქნა 5 ვეტერინარი ექიმი.

საქონლის აცრა

ამ ჟამად ყველა ჭირმოდებულ რაიონებში და მათ მეზობლად მდებარე სოფლებში საქონელი უკვე აცრილია, განსაკუთრებით დიდი სიფრთხილე გამოიჩინა რაჭის აღმასკომმა, რომელმაც სწრაფათ მიღებულ ზომებით იმ თავითვე ძირში აღმოფხვრა საქონლის ჭირი. მცირე რაიონების გამოკლებით საქონლის ჭირის საშიშროება აღკვეთილა მთელს საქართველოში.

ციმბირის წყლული.

მიმდინარე წელს საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში თავი იჩინა აგრეთვე ციმბირის წყლულმა, რომლისაგან განსაკურნავად საჭიროა განსაკუთრებული ზომები. ციმბირის წყლულს აცრა შველის, მაგრამ საჭიროა აცრის წარმოება რამდენიმე წლის განმავლობაში რომ საქონელი ამ ავადმყოფობისაგან საბოლოოდ დაზღვეული შეიქნეს. ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო შრატის დასამზადებლათ თბილისში დაარსებულ იქნა სპეციალური ლაბორატორია, რომელიც ამზადებს საუკეთესო ღირსების სამკურნალო შრატს.

დამზადებული ასაცრელი მასალა საკმაო რაოდენობით დაგზავნილი იქნა იმ რაიონებში, სადაც კი აღმოჩნდა ციმბირის წყლული. ამ შრატით აცრა საუკეთესოდ მოქმედობს აგრეთვე ციმბირის წყლულით დაავადებულ ადამიანზე თუ სიკვდილის პირზე არ არის მისული.

მიღებულ ზომებით ეს ავადმყოფობაც მოსპობილია.

შინაური ფრინველების ავადმყოფობანი

უკანასკნელ ხანებში საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში გავრცელდა ქათმის ჭირი, რომლის აღსაკვეთათ ვეტერინარ. განყოფილება იღებს მხოლოდ სანიტარულ ზომებს, რადგან სხვა სამკურნალო ღონისძიების გატარება მოუხერხებელი ხდება.

აქა-იქ თავი იჩინა აგრეთვე ღორის ჭირმა, მასთან საბრძოლველად ვეტერინარულ განყოფილებას სოფელ ოსიაურში აქვს შრატის დამამზადებელი სადგური, რომელიც უხვად ამზადებს საჭირო სამკურნალო მასალებს.

„კომუნისტი“

მიიღება ხელისმოწერა დეკემბრისათვის

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წითელ-არმიელთა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის გაზეთი ღირს თვიურათ 65 კაპ.

დანარჩენებისათვის (თბილისში მიტანით 85 კ.
(პროვინციაში გაგზ. 95 კ.

• • • • • • • •

იბეჭდება და ამ დღეებში უფასოთ დაურიგდება ყველა ხელისმომწერთ.

„ჩირაღდანი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 ნოემბერს გაიხსნება
თბილისის სამაზრო-საქალაქო

პარტიული კონფერენცია

კონფერენციის დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები.
2. ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის მოხსენება და კომკავშირის თბილისის კომიტეტის თანამოხსენება.
3. ც. ს. კ. და თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. შრომის ნაყოფიერება და ხელფასი.
5. აღმასკომის ანგარიში.
6. საორგანიზაციო საკითხები.
7. მიმდინარე საქმეები.

კონფერენციის გახსნის ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული

თბილისის კომიტეტის მდივანი რუბენი

სამელიორაციო მშენებლობა.

(საუბარი მიწ. მოქ. სახკომის სამელიორაციო განყოფილების გამგე ამხ. გრ. გეგეჭკორთან.)

6 მილიონი დესიატინა მიწიდან საქართველოში 24 პროცენტი სრულიად გამოუდეგარი და გამოუყენებელი მიწაა, რომელიც საჭიროებს ან ამოშრობას ან მორწყვას. აქედან 400 ათასი დესეტინა ისეთი ნიადაგის და კლიმატიური თვისებების მქონეა, რომ გამოდგება ისეთი უმაღლესი კულტურის გასანვითარებლად, როგორიც არის ბამბა, კანაფი, ჭამბის ბრინჯი და სხვა.

როგორც ვიცით, საქართველოში ამჟამად სწარმოებს დიდი საირრიგაციო და სამელიორაციო მშენებლობა, რომელსაც უმთავრესად ხელმძღვანელობს ა | კ. წყალთა მეურნეობის სამმართველო. მაგრამ ეს მუშაობა ხშირად სწარმოებს არარაციონალურად იმის გამო, რომ იგი შეთანხმებული არ არის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის განყოფილებების თვალსაზრისთან.

ა | კ. წყალთა მეურნეობის სამმართველო უმთავრეს ყურადღებას აქცევს მთავარი არხის, (მაგისტრალის) ხოლო ნაკლებს პირველი და მეორე ხარისხოვანი განმანაწილებელი არხების გაყვანას.

ეს უკანასკნელნი ისე უნდა იქნენ გაყვანილნი, რომ მათ მიერ ნიადაგისათვის მიწოდებული წყლის რაოდენობა შეეფერებოდეს უმთავრესად მოსარწყავი მცენარის საჭიროება-მოთხოვნილებას, კლიმატიურ-ატმოსფერულ და ტოპოგრაფიულ პირობებს. იმავე არხებით წყალი უნდა უბრუნდებოდეს ან მდინარეს ან მთავარ არხს.

საირრიგაციო და სამელიორაციო მშენებლობის დროს ამ გარემოებას ანგარიში არ ეწევა, რაც აუცილებლად დიდი ვნების მოტანა იქნება.

ამ შეცდომების თავიდან აცილების მიზნით ა | წ. აგვისტოს დამლევს მიწ. მოქ. სახ. კომთან მოეწყო სამელიორაციო განყოფილება, რომელიც მიზნად ისახავს სამელიორაციო მშენებლობა შეუთანხმოს ჩვენი სასოფლო მეურნეობის, მიწათ-მოწყობის აგრონომიული დახმარების ინტერესებს.

პირველყოვლისა განყოფილებას განზრახვა აქვს რესპუბლიკის სახალხო მამულებში გახსნას ჰიდრო-მოდულური სადგურები, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს გამოიკვლიოს და მეცნიერულად შეისწავლოს თუ რაოდენ წყალს საჭიროებს ესა თუ ის კულტურა.

არხების გაყვანას სამელიორაციო განყოფილება მიწ. მოქ. სახ. კომის. სხვა განყოფილებებთან ერთად წინ წაუმძღვარებს ნიადაგის, კლიმატიურ-ატმოსფერულ, ტოპოგრაფიულ, ჰიდროგეოლოგიურ, ჰიდრომოდულურ თვისებების და ფლორა-ფაუნის გამოკვლევას და შემდეგ ამ ნაკვლევის ნიადაგზე შეუდგება არხების პროექტების შედგენას.

განყოფილებამ ზემოხსენებული თვალსაზრისით უკვე გამოიკვლია დიღმის ველი და შეადგინა მისი მორწყვის პროექტი. ამავე თემში დაარსებულ იქნა გლეხების სამელიორაციო ამხანაგობა.

ამ ჟამად განყოფილება ჰკრეფს მასალებს ალაზნის ველის მორწყვის პროექტის შესადგენად.

სკრა-ქარელის მოსარწყავი რაიონის გამოკვლევა უკვე დასრულებულია.

განყოფილების პროგრამაში შედის აგრეთვე მორწყვის მოწესრიგება რესპუბლიკის სახალხო მამულებში. ამ მიზნით მიმდინარე სამეურნეო წელს გახსნილ იქნება ჰიდრო-ტეხნიკური კურსები, რომელზედაც მორწყვის ტეხნიკის შესასწავლად მოწვეულნი იქნებიან მაზრის აგრონომები. ამ უკანასკნელთ დაევალებათ შეასწავლონ სოფლის მოსახლეობას წყლის განაწილება, რომ საბოლოოდ აღმოფხვრილ იქნეს ჩვენი ცხოვრებიდან ე. წ. მერაბების ინსტიტუტი, რომელთაც თავის ბოროტმოქმედებით დიდი ვნება მოაქვთ ჩვენი ღარიბი გლეხობისათვის.

N.

მოჰყოლოდა და რომლებისაც სამართლიანად ეშინოდა ლენინს, არამედ ამან საშუალება მისცა ბოლშევიკებს პოლიტიკურად და ორგანიზაციულად მიდგომოდენ აჯანყებას. სწორედ ისტორიკოს ეხლა შეუძლია სთქვას ეს დამშვიდებულად და მიუდგომლად. მაგრამ თუ მონაწილეობას დემოკრატიულ თათბირში და წინასწარ პარლამენტში *) ჰკიცხავდა ლენინი, ის კიდევ უფრო სასტიკად ახასიათებდა ცეკას პოლიტიკას სექტემბრის ბოლოდან აჯანყების დღემდე—აჯანყების დაკავშირება საბჭოთა ყრილობის მოწვევასთან, რასაც ის სთვლიდა ზედმეტი „გაჭიანურების“ პოლიტიკათ. ამხ. ტროცკის მოჰყავს ლენინის ეს სიტყვები: „ჩვენს ცეკაში და პარტიის ზედა ფენებში,—სწერს ლენინი 29 სექტემბერს, — არის მიმდინარეობა ანუ აზრი, რომელიც მოითხოვს საბჭოთა ყრილობისათვის დაცდას, ეწინააღმდეგება დაუყოვნებლივ აჯანყების მოხდენას. უნდა დავსძლიოთ ეს მიმდინარეობა ანუ აზრი“. ოქტომბრის დასაწყისში ლენინი სწერს: „დაგვიანება დანაშაულია, **საბჭოთა ყრილობისათვის დაცდა—ბავშვური თამაშია ფორმალობით, უაზრო თამაშია ფორმალობით, ღალატია რევოლიუციის** (კურსივი ჩვენია). თეზისებში პეტერბურგის კონფერენციისათვის 8 ოქტომბერს ლენინი ამბობდა: „უნდა ვებრძოლოთ კონსტიტუციონურ ილიუზიებს და იმედებს, დამყარებულს საბჭოთა ყრილობაზე“.

რას ლაპარაკობს ამხ. ტროცკი ასეთი დახასიათებაზე, რომელსაც იძლევა ლენინი საბჭოთა ყრილობის მომზადების შესახებ? ამხ. ტროცკი, რომელიც ასე „გესლიანად“ ხელზე იხვევს ლენინის ყველა სასტიკ საყვედურს, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ ბოლშევიკისადმი, „გულუბრყვილოდ“ გვერდს უხვევს ამ შემთხვევებში ლენინის ტაქტიკურ განზრახვას, რომელიც იფარება ამა თუ იმ გამოთქმაში. როგორ აფასებს ის აქ ლენინის შეფასებას, რომელიც ეთანხმება ცეკას გეგმას, რომელსაც ეთანხმებოდა ტროცკიც? ამხ. ტროცკი ამ შემთხვევაში არ მიმართავს იმის მტკიცებას, რომ „რევოლიუციის ღალატს“ დ „კონსტიტუციონურ ილიუზიებს“ მივყევართ ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმისაკენ და სხვ. ამხ. ტროცკი, რომელიც ჩხირკედლაობით ჩასჭიდებია ლენინის ფრაზის პირდაპირ აზრს, არ ჩქარობს თვითონ „ჩაეწეროს“ სოციალ-დემოკრატებში: ბრალდებებს, რომლებიც პირდაპირ მისკენ არის მიმართული, ის აფასებს უკვე **არა როგორც გესლიანი მამხილებელი, არამედ როგორც პოლიტიკოსი.** ასეთ შემთხვევებში ეს მეთოდი მას „ზედმეტად“ მიაჩნია. ის იწყებს მცირე შენიშვნით: „ყველა ეს წერილები, სადაც ყოველი სიტყვა იჭედებოდა რევოლიუციის გრდემლზე, შეიცავენ განსაკუთრებულ ინტერესს, როგორც ლენინის დასახასიათებლად, ისე მომენტის შესაფასებლად“. ამის შემდეგ საფუძვლიანად ამტკიცებს, რომ აჯანყების კონკრეტიული გეგმა, რომელსაც ცხოვრებაში ატარებდა ცეკა, ცუდი არ იყო. სხვათა შორის, ამხ. ტროცკი უსათუოდ აპარებს, როდესაც ეხება დამლუპველ შედეგებს, რომლებიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა მოსკოვში აჯანყების გეგმას, რომელზედაც ლაპარაკობდა ლენინი. ამაოდ, სავსებით ამაოდ აშუქებს ამხ. ტროცკი ამბებს ისე, თითქოს **ლენინმა კინაღამ დაღუპა აჯანყების საქმე** შემცდარი გეგმით მოსკოვში აჯანყების დაწყების ვადის დანიშვნის შესახებ! რა საჭიროა ეს? რა აზრი აქვს ეხლა მკითხაობას იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყებდა ლენინი აჯანყების მზადებას, რომ ის იძულებული არ ყოფილიყო დამალოდა კერენსკის მაძებრებს. რა აზრი აქვს ეხლა იმის გარჩევას, რომ შეიძლებოდა აჯანყების წარმატებით ჩატარება ერთი თვით ადრე*).

უდავოა მხოლოდ ერთი რამ: ლენინის კრიტიკა, რომელიც ეხებოდა ბოლშევიკების მონაწილეობას დემოკრატიულ თათბირში და წინა პარლამენტში, სავსებით დაკავშირებულია მის მიერ შემუშავებულ აჯანყების გეგმასთან, რომელიც უნდა განხორციელებულიყო საბჭოების ყრილობისაგან დამოუკიდებლად. ცენტრალურ კომიტეტის ტაქტიკა დემოკრატიულ თათბირის მიმართ არა იმდენად „შესვლის“, რამდენადაც ამ წინა პარლამენტში „გავლის“ მხრივ (წინა პარლამენტში შესვლა ნამდვილ მონაწილეობის მისაღებად, რა თქმა უნდა, დიდი შეცდომა იქნებოდა, მაგრამ ეს შეცდომა სრულიად არ ყოფილა დაშვებული), ეს ტაქტიკა დაკავშირებულია საბჭოთა ყრილობაზე საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების და ამავე დროს კერენსკის მთავრობის შეიარაღებული ძალით ჩამოგდების გეგმასთან (რა თქმა უნდა ლენინის თავგამოდებული ბრძოლა „კონსტიტუციონურ ილიუზიების“ შესაძლებელ საფრთხის წინააღმდეგ და აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების ამოცანა შეცვლილი ყოფილიყო საბჭოთა ყრილობაზე უმრავლესობის მიღების ამოცანით, იყო ფრიად საჭირო და სასარგებლო); ამხ. ტროცკი თავის დროს აღმოჩნდა აჯანყების სტრატეგიის ამ ორ ვარიანტებს შორის. რა თქმა უნდა ეს ვარიანტები არ შეიცავდა არაფერს, გარდა საქმიან არა პრინციპიალური უთანხმოებისა. ამხ. ტროცკი სცდილობს ეხლა გამოიყენოს ამ საშუალედო მდგომარეობის სარგებლიანობა და **ორაზროვნად აშუქებს ცეკასაც და ლენინსაც.** ნამდვილად კი ლენინის მიერ პარტიის პრინციპიალურმა ხელმძღვანელობამ და ცეკას, პეტროგრადის და მოსკოვის კომიტეტების კონკრეტულმა ხელმძღვანელობამ აჯანყების მოსაწყობად უზრუნველჰყვეს ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება, მიუხედავათ ზოგიერთ გამოჩენილ ბოლშევიკის შეცდომებისა. ერთხელ კიდევ ვიმეორებ; ცეკა და ლენინი ერთი და იგივე იყო და მათი დაპირდაპირების ცდა—პირდაპირ სასაცილოა; ცეკას არ ჰქონია სხვა „ხაზი“, გარდა ლენინის „ხაზისა“ და სწორედ ამ უკიდურესმა მთლიანობამ, რომელიც გამოხატავდა ლენინის და პარტიის მთლიანობას, საშუალებას აძლევდა ცეკას სრულიადაც არ შეეხედა ლენინისათვის, როგორც ცეკასადმი დაპირდაპირებულ ინსტანციისათვის, რომლის ყოველი „განკარგულება“ სიტყვასიტყვით უნდა აესრულებია. **სწორედ ამ უაღრეს მთლიანობის და თანამშრომლობის მიხედვით ცეკა პრაქტიკულად ახორციელებდა ლენინის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას.** არ იქნებოდა ნამდვილი მთლიანობა, რომ არ ყოფილიყო ეს თანამშრომლობა ცეკას შიგნით ლენინისა და ცეკას სხვა წევრებს შორის (მათ შორის ამხ. ტროცკის შორისაც, რომელიც იმ დროს ახერხებდა მუშაობას, როგორც კოლექტივის წევრი).

აქ ზედმეტი არ იქნება, თუ აღვადგენთ ისტორიისათვის და ცეკასა და ლენინის ურთიერთობის დასახასიათებლად მთელ რიგ „უთანხმოებას“, რომელსაც ადგილი ჰქონდა ლენინსა და ცეკას შორის ივლის-ოქტომბრის პერიოდში. ლენინმა ივლისის დღეების შემდეგ წინადადება შეიტანა სრულიად მოეხსნათ ლოზუნგი „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს!“ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებამდე და ახალ რევოლიუციონურ საბჭოების შედგენამდე. ასეთ კატეგორიულ ფორმით ლენინის წინადადება არ იქნა მიღებული. კორნილოვის შეთქმულებამ, რომელმაც საშუალება მისცა ბოლშევიკებს წარმატებით განეგრძოთ მუშაობა საბჭოებში უმრავლესობის დაპყრობისათვის, დაადასტურა ცეკას უფრო ფრთხილი ხაზის სისწორე, რასაც შემდეგ ლენინიც დაეთანხმა. ამასთან დაკავშირებით იყო მეორე უთანხმოებაც: ლენინი ურჩევდა ცეკას გადაეყვანა პარტიული აპარატი არალეგალურ მდგომარეობაში, შეემზადებინა ნიადაგი არალეგალურ გაზეთის გამოსაცემად, მას არ სჯეროდა თუ შესაძლებელი იქნებოდა ცეკას ლეგალურ ორგანოს შენარჩუნება პეტროგრადში. ამავე დროს, ცეკამ გადასწყვიტა დაეტოვებია ღია ორგანიზაცია და ლეგალური პრესა და რა თქმა უნდა საჭირო შემთხვევაში გამოეყენებია „ლეგალობაც“ და „კონსპირაციაც“. პარტიის მე-6 ყრილობა ჩატარებული იქნა ივლისის დღეების შემდეგ პეტროგრადში მინიმალურ კონსპირატიულ სიფრთხილის დაცვით. კონტრ-რევოლიუცია არ ყოფილა ჯერ კიდევ იმდენად დარაზმული და შეკავშირებული, რომ მას შესძლებოდა ჩვენი ორგანიზაციის და პრესის მოსპობა. ცეკას ორგანოს კრძალავდენ ერთი სახელწოდებით, მაგრამ ხელახლა გამოდიოდა მეორე სახელწოდებით და სხვა. კორნილოვის დღეებში ლენინმა მოათავსა წერილი „კომპრომისების შესახებ“. ცენტრალურ ორგანოს რედაქციამ გაილაშქრა წერილის დაბეჭდვის წინააღმდეგ, რადგან ფიქრობდა, რომ პირობები არ იძლეოდა „კომპრომისზე“ წასვლის საბუთს. ლენინი დაჟინებით მოითხოვდა წერილის მოთავსებას—იგი დაბეჭდილი იყო „რაბოჩიი პუტ“-ში ორი დღის შემდეგ: რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში მართალი იყო ლენინი და არა ცენტრალურ ორგანოს რედაქცია, რომელმაც მოისურვა „ცოტა უფრო მარცხნივ“ გადახრა, ვიდრე ლენინი. რაში მდგომარეობდა კომპრომისი, რომელსაც ლენინი პირობით აყენებდა? ლენინი სწერდა: „კომპრომისი უნდა გამოხატულიყო იმაში, რომ ბოლშევიკები არ მოისურვებდენ მთავრობაში მონაწილეობას (რაც შეუძლებელია ინტერნაციონალისტისათვის პროლეტარიატის და ღარიბ გლეხობის დიქტატურის პირობების ფაქტიურ განხორციელების გარეშე) და **უარს იტყოდენ დაუყოვნებლივ წამოეყენებიათ მოთხოვნილება, რათა ძალა-უფლება გადასცემოდა პროლეტარიატს და ღარიბ გლეხობას და აგრეთვე უარს იტყოდენ ამ მოთხოვნილებისათვის ბრძოლის რევოლიუციონურ მეთოდებზე.** (კურსივი ჩვენია). თავისთავად ნაგულისხმევ და მენშევიკებისა და ესერებისათვის არა ახალ პირობად იქნებოდა **აგიტაციის სრული თავისუფლება და დამფუძნებელი კრების მოწვევა გადაუდებლად ან უფრო მოკლე ვადაში**“. ასეთ მოთხოვნილებას აყენებდა ლენინი. ეს ტაქტიკური ნაბიჯი მან გადასდგა 1917 წლის 3 სექტემბერს. ყველაფერ ამის შესახებ ამხ. ტროცკის ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ამავე დროს, იმას, ვისაც სურს დაახასიათოს ბოლშევიზმი ოქტომბრის წინ და ოქტომბრის დღეებში, არ შეუძლია გვერდი აუხვიოს წერილს „კომპრომისების შესახებ“. უამისოდ არ შეიძლება ლენინის ტაქტიკის დახასიათება, უამისოთ გაუგებარი იქნება ზინოვიევ - კამენევის მერყეობის ნამდვილი ხასიათი, გაუგებარი იქნება ლენინის დამოკიდებულება პარტიისადმი, აღნიშნულ ამხანაგების მერყეობისადმი. ვისაც სურს საკითხის არა ნამდვილი გარკვევა, არამედ დაბნელება, მან მართლაც უყურადღებოთ უნდა დასტოვოს ლენინის წერილი „კომპრომისების შესახებ“. სამწუხაროთ, სწორედ ასე მოიქცა ამხ. ტროცკი.

ეს მცირეოდენი შენიშვნები, რა თქმა უნდა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გააშუქებს სავსებით „ოქტომბრის გადატრიალების საერთო სურათს“. ამ შენიშვნების მიზანია—დაანახვოს მკითხველს ამხ. ტროცკის მიერ განზრახ მოგონილი „სქემა“, გააშუქოს ნამდვილი ურთიერთობა პარტიაში ოქტომბრის რევოლიუციამდე ისე, როგორიც იყო იგი. ამხ. ტროცკი ყველაფერს ერთი პირდაპირი ხაზით ზომავს: მაგრამ ფაქტების ერთ ხაზზე დალაგება შეუძლებელია. აქედან გამომდინარეობს აშკარა შეცდომები, წინააღმდეგობანი, დამახინჯებანი, რომლითაც აღსავსეა ამხ. ტროცკის „გამოკვლევა“. სინამდვილეში სულ სხვას ვხედავთ: ლენინი ცეკასთან ერთად მთავარ ბოლშევიკურ კადრებთან ერთად მუშაობდა რთულ და ცვალებად პირობებში, ლენინიც და სხვებიც უშვებდენ შეცდომებს (რა თქმა უნდა, ლენინის შეცდომები განსაკუთრებული ხასიათის იყო), გზების ძიების დროს და კიდეც აღიარებდენ ამ შეცდომებს; **„ერთბაშად მოხვეულ გზაზე ზოგი უკან რჩებოდა, ზოგი წინ უსწრობდა; მაგრამ ფრონტი ისევ ჩქარა სწორდებოდა.** არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ შეეძლო უთანხმოების გადახრის შეცდომების გარეშე გაევლო გზა თებერვლიდან ოქტომბრამდე ბოლშევიკურმა პარტიამ განვლო ეს გზა უფრო ერთსულოვნად, ვიდრე ამის გავლა შეეძლო რომელიმე სხვა პარტიას. რა თქმა უნდა პარტია არ მოქმედებდა უჰაერო სივრცეში. იგი განიცდიდა მეზობლად მდგომ კლასების და ფენების ზეგავლენას. ერთგვარად მას ანგარიში უნდა გაეწია მათთვის და შეეგუებია თავისი ტაქტიკა. თავის მხრივ, იგი სცდილობდა დაექვემდებარებია ისინი თავის ხელმძღვანელობისათვის. როდის უნდა დაეთმო და დაეცადა, სადამდის უნდა დაეცადა და რა ფარგლებში უნდა დაეთმო? ეს საკითხები არ არსებობდა და არ არსებობს მათთვის, ვინც ფიქრობს, რომ პოლიტიკაში, ისე—როგორც გეომეტრიაში, სწორი ხაზი არის უახლოესი მანძილი ორ წერტილს შორის. ლენინი იმით გაირჩეოდა სხვა პოლიტიკოსებისაგან, რომ ის ახდენდა მანევრებს, უვლიდა მტერს, უკან იხევდა და გააფთრებით თავს ესხმოდა. უთანხმოება ბოლშევიკებს შორის 1917 წელს შეიძლება ჩაითვალოს ერთ პარტიაში მყოფ ორ პარტიის ბრძოლათ იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ განზრახვით შევხედავთ იმას, რაც ბუნებრივია ისეთი „ისტორიკოსისათვის“, რომელიც პარტიაზე მსჯელობს „შორიდან“. ტროცკი რომ მართალი ყოფილიყო თავის მსჯელობაში ბოლშევიკების შინაურ უთანხმოების შესახებ, რომ ერთ პარტიაში ყოფილიყო ორი პარტია, ეს უთანხმოებანი აუცილებლათ გამოიწვევდა კრიზისებს პარტიის შიგნით, ე. ი. ისეთ კრიზისებს, როდესაც ორგანიზაციები გაეთიშებოდენ ერთმანეთს ან ცეკას მაგრამ სწორეთ ამას არ ჰქონია ადგილი 1917 წელს. 1918 წლის გაზაფხულზე შექმნილმა უთანხმოებამ ბრესტის ზავის გამო უფრო მეტი გავლენა მოახდინა პარტიაზე, ვიდრე ოქტომბერში აღმოცენებულმა უთანხმოებამ პარტიის ზედა ფენებში. თუ ეხლა ტროცკიმ ზოგიერთ ამხანაგების შეცდომები ოქტომბრის დღეებში დააყენა „ოქტომბრის შესწავლის“ ცენტრში, ამით მან სრული მარცხი განუმზადა ამ „შესწავლის“ ცდას.

მაგრამ, ბოლოს, რაში მდგომარეობს „გაკვეთილები“, რომელიც ამხ. ტროცკის გამოჰყავს „ოქტომბრის შესწავლიდან“? ვაი რომ ის არ აკეთებს დასკვნებს, რატომ? იმიტომ, რომ ეს „დასკვნები“ ისეთია, რომ თვით ავტორისათვის უხერხული იქნება მისი „ჩამოყალიბება“! ამიტომ ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ საჭიროა ისეთ „ხელმძღვანელ პერსონალის“ არსებობა, რომელიც შეირყევა გადამწყვეტ მომენტში, ყველაფერი ეს წარმოადგენს გალაშქრებას ეხლანდელი პარტიული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ოქტომბრის შესწავლის თეთრ დროშაზე ამოფარებით.

მაგრამ ეს სრულიადაც არაა ახალი გაკვეთილი, არამედ იგი არის „განვლილის განმეორება“ შარშანდელი „დისკუსიის“ ნაშთი. და რადგან ეს „განვლილი“ ყველას კარგად ახსოვს და არავის არ სურს ერთხელ კიდევ „განიმეოროს იგი“, ამხ. ტროცკი ტყუილ-უბრალოთ ემორჩილება „გამოუცნობ ძალას“, რომელიც „კვლავ“ მიაქანებს მას დისკუსიის მორევისაკენ.

გ. სოკოლნიკოვი

---

*) დემოკრატიული თათბირის შესახებ ლენინი თავის წერილში „სიყალბის გმირები“, რომელიც დაბეჭდილი იყო „რაბოჩი პუტ“-ის 24 სექტემბრის ნომერში, სწერდა: „ბოლშევიკების მონაწილეობას ამ სიყალბეში, ამ კომედიაში, ჰქონდა ისეთივე გამართლება, როგორც ჩვენს მონაწილეობას მესამე სათათბიროში: იატაკ ქვეშიდანაც უნდა დავიცვათ ჩვენი საქმე, იატაკ ქვეშიდანაც უნდა ვიძლეოდეთ მამხილებელ მასალას ხალხისათვის თვალის ასახელად''. სხვა გვარად აფასებს ის ამ მონაწილეობას მეორე წერილში, რომელსაც აქვს 22 სექტემბრის თარიღი, მაგრამ, როგორც სჩანს, დაწერილია უფრო გვიან: ,,ჩვენ ბოიკოტი უნდა გაგვეკეთებინა დემოკრატიულ თათბირისათვის, **ჩვენ ყველანი შევცდით, როცა ასე არ მოვიქეცით, მაგრამ შეცდომა სიყალბეთ არ ჩაითვლება. შეცდომას ჩვენ გამოვასწორებთ, ოღონდ იყოს მასების რევოლიუციონურ გზაზე დადგომის გულწრფელი სურვილი“**... ასეთი იყო ლენინის ორი ვარიანტი დემოკრატიულ თათბირში მონაწილეობის შესახებ. ეს ხელს არ უშლის მოურიდებელ ავტორს შენიშვნებისა ამხ. ტროცკის წიგნისადმი ამტკიცოს შემდეგი: ,,ლენინი დემოკრატიულ თათბირში მონაწილეობის და წინასწარ პარლამენტისათვის ბოიკოტის გამოცხადების საკითხების გარშემო წარმოშობილ უთანხმოებაში კატეგორიულად მხარს უჭერდა ბოიკოტისტებს''... მოგვითმინეთ, ამხ. შემნიშვნელო: შეიძლება... ,,შენიშვნის გაკეთება'', მაგრამ მაინც ზომა უნდა იცოდე! და ასეთი ,,შენიშვნებისათვის“ პასუხისმგებლობა კისერზე აწევს ამხ. ტროცკის! ასეთი სახით გადმოსცემენ ოქტომბრის ისტორიას! თუმცა-ღა, ყველაფერი ეს გასაკვირი არ არის, რამდენადაც თვით ამხ. ტროცკიმ აილო სავსებით ყალბი, **არა ლენინური** კილო რამოდენიმე ბოლშევიკის მიერ ოქტომბერში დაშვებულ შეცდომების საკითხში.

*) და ისევ ამხ. ტროცკი არა სისწორით აშუქებს ლენინის მიერ აჯანყების ვადის საკითხის დაყენებას. ამხ. ტროცკი სწერს: „სექტემბერში დემოკრატიულ- თათბირის დღეებში, ლენინი მოითხოვდა აჯანყებაზე უშუალოთ გადასვლას“. არა, ლენინმა გაცილებით უფრო ფრთხილად ჩამოაყალიბა თავისი „მოთხოვნილება“. როგორ, ათავებს ლენინი თავის ცნობილ აბზაცს ალექსანდრინკის გარშემორტყმის, პეტრეპავლოვსკის დაკავების, გენერალურ შტაბის და მთავრობის დაპატიმრების და სხვა ცეკასადმი მიმართულ წერილში, რომელიც დაწერილია დემოკრატიულ- თათბირის დღეებში? იძლეოდა თუ არა ის წინადადებას ალექსანდრინკის ხელში ჩაგდების შესახებ და სხვ.? ლენინი შემდეგი სიტყვებით ათავებს თავის „საქმიან პროგრამას“ აჯანყების შესახებ: „ეს ყველაფერი მაგალითისათვის, რა თქმა უნდა, იმის საილიუსტრაციოთ, რომ არ შეიძლება თანამედროვე მომენტში ერთგული დარჩე მარქსიზმისადმი და აჯანყებას არ შეხედო, როგორც ხელოვნებას. ცეკასადმი მიმართულ მეორე წერილში, რომელიც იმავე დღეებში იყო დაწერილი, ლენინი ამბობს უკვე სავსებით გარკვეულად: საკითხი ეხება არა აჯანყების „დღეს“, არა მის „მომენტს“ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. ამას გადასწყვეტს საერთო ხმა, ვინც ახლოს სდგას მუშებთან, ჯარისკაცებთან, მასებთან... საკითხი მდგომარეობს იმაში, რათა ამოცანა ნათელი გახდეს პარტიისათვის: დღის წესრიგში უნდა დაისვას შეიარაღებული აჯანყება პიტერში და მოსკოვში (ოლქითურთ), ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, მთავრობის ჩამოგდება. მოიფიქრეთ, როგორ გასწიოთ სამხედრო აგიტაცია ისე რომ პრესაში არ ვიხმაროთ ასეთი გამოთქმები''

ჩემი პასუხი ამხ. „ატომ"-ს

გაზ. „კომუნისტი"-ს მე-249 №-ში მოთავსებული იყო ბიბლიოგრაფია ჩემს წიგნზე „ადამიანის წარმოშობა".

წიგნის წინასიტყვაობაში მე ვსწერდი, რომ ეს წიგნი მუშებისა და გლეხებისათვის იწერება მეთქი. ფიქრადაც არ მომსვლია ის, რომ ჩემი წიგნი მეცნიერულ ხარისხს მიიღებდა და სკოლებში გამოდგებოდა, როგორც სახელმძღვანელო. მე მხოლოდ მინდოდა გამეშუქებია საკითხი ადამიანის წარმოშობის შესახებ მუშებისათვის. დღეს, როდესაც ადამიანის აზროვნებაში იბრძვის ორი მიმართულება: პირველი სარწმუნოებრივი, რომელსაც ჯერ კიდევ მაგარი ფესვები აქვს გადგმული, მეორე კი ანტისარწმუნოებრივი, რომელიც არღვევს საუკუნოებით განმტკიცებულ ზნე-ჩვეულებებს, დღეს, როდესაც სამკდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გამართული ამ ორ მიმართულებათა შორის, ასეთი საკითხის გაშუქებას დიდი მნიშვნელობა აქვს. გაზ. „მუშა"-ში (2 და 25 ოქტ. №№-ში) იყო მოთავსებული ორი ბიბლიოგრაფია, რომელთა ავტორებმა ჩემი შრომა დააფასეს მიუდგომელი და სალი კრიტიკის თვალსაზრისით. ამხ. ატომმა კი ჩემი წიგნი დაიწუნა და უარყოფით შეხვდა. მე, როგორც ავტორს (თუმცა ესეც ტრადიციის დარღვევაა!) არ შემიძლია, რომ ამ ფაქტს გულზე ხელდაკრეფით შევხვდე, ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემს თავს „ატომ"-ის ბიბლიოგრაფიას მუხლობრივ უპასუხო:

1. ამხ. ატომი სწერს: „წიგნს დართული აქვს უცხო სიტყვათა ლექსიკონი, რომელიც დახმარებას უნდა უწევდეს მკითხველს, მაგრამ ზოგიერთი სიტყვების განმარტება **არაა სწორი და არამეცნიერული**, (ხაზი ჩემია) როგორც, მაგალითად, სიტყვა რეაქცია ან სიტყვა კულტურის ახსნა". გამოდის რომ ზოგიერთი სიტყვების განმარტება „არაა არამეცნიერული" (!?) არც ჩვენ გვინდოდა, რომ განმარტება არამეცნიერული ყოფილიყო.

როგორ ახსნა-განმარტებას ვიძლევი მე ჩემს წიგნებში? **კულტურული**. გაკეთებული, განვითარებული გონებრივად, ზნეობრივად, მხატვრულად და სხვა.

პროფ. კ. ტიმირიაზევი თავის ნაშრომში: „Чарлз Дарвин и его учение" იძლევა შემდეგ ახსნას:

„Культурный—возделанный, откуда, в переносном смысле, воспитанный умственно, нравственно, художественно образованный".

როგორც დავინახეთ, მე ამიხსნია ეს სიტყვა ისე, როგორც პროფ. ტიმირიაზევს, უკეთ რომ ვთქვათ, ჩემი მიერ მოცემული ახსნა-განმარტება გამომდინარეობს პროფ. ტიმირიაზევის მოცემულ ახსნიდან. თუ ჩემი განმარტება არაა მეცნიერული, მაშინ ტიმირიაზევის განმარტებაც ასეთივეა. ვეჭვობ, რომ თქვენ ვინმე დაგეთანხმოთ.

2. თქვენ სწერთ: „ვერც აპარლეზის და კაჰკაჰის მათემატიკური ნიჭის შედარება იძლევა მაინც და მაინც დიდ მეცნიერულ მაგალითს. არც მატერიალისტური თვალსაზრისია დაცული ამხ. გოგიბერიძის წიგნში. არ არის ნაჩვენები, თუ რა პირობები და გარემოება უწყობდენ ხელს ადამიანის აზროვნების პროგრესს".

ა) განა მე სადმე განვაცხადე, ან დავსწერე, რომ ვითომც დიდი მეცნიერული გამოკვლევა მომეხდინოს და კარგ მეცნიერულ მაგალითს ვიძლეოდე? მე ეს არსად არ დამიწერია და არც გამიცხადებია. ამხ. ატომო, ალბათ თქვენ არ იცით, რომ კარგ მეცნიერულ გამოკვლევებს ყველა კი არ იძლევა, არამედ საუკუნეებში მხოლოდ ერთი. კარგი მეცნიერული გამოკვლევა და მაგალითები ბიოლოგიაში მოგვცა მხოლოდ დარვინმა. ასეთი ელემენტარული საკითხის უცოდინარობა არ მოგეტოვებათ.

ბ) „არც მატერიალისტური თვალსაზრისია დაცული ამხ. გოგიბერიძის წიგნში". განა ჩემს წიგნში მატერიალისტური თვალსაზრისი არ არის დაცული? მე ხაზს უსვამ იმ გარემოებას, რომ ჩემი წიგნი თავიდან ბოლომდე მატერიალისტურია. თუ ეს არ არის მართალი, იმ შემთხვევაში კეთილ ინებოს ატომმა და კონკრეტიულად მიგვითითოს, თუ რომელი საკითხია გაშუქებული არა მატერიალისტურად. თქვენ მიერ ჩემი წიგნიდან ამოწერილი ფრაზა: „ჩემის აზრით კუნძულებს შორის ზღვაში ცხოვრების პირობებმა გამოიწვიეს ასეთი შეხედულება ამ საკითხისადმი"—განა ეს ახსნა არაა მატერიალისტური?

გ) „არ არის ნაჩვენები, თუ რა პირობები და გარემოება უწყობდენ ხელს ადამიანის აზროვნების პროგრესს"-ო.

მე ხაზს უსვამ იმ გარემოებას, რომ არც ერთ ცნობილ მეცნიერის ნაშრომში ადამიანის წარმოშობის შესახებ (მხედველობაში მაქვს წიგნაკი 70 გვერდიანი) არ არის გარკვეული აზროვნების პროგრესი და ეს გამომდინარეობს იმ უბრალო ჭეშმარიტებიდან, რომ აზროვნების პროგრესი დაკავშირებულია არა ადამიანის წარმოშობასთან, არამედ ადამიანის განვითარებასთან. მე რომ დამეწერა წიგნი „ადამიანის წარმოშობისა და განვითარების შესახებ" მაშინ თავის თავად ცხადია, უნდა გამერკვია ადამიანის აზროვნების პროგრესიც, მაგრამ, ვინაიდან მე დავწერე წიგნი **მხოლოდ** ადამიანის წარმოშობის შესახებ, ამ შემთხვევაში თვით თემა ჩემგან მოითხოვდა, რათა გამერკვია და გამეშუქებია **თანამედროვე გონიერ ადამიანამდე არსებულ ადამიანის მსგავს ცხოველთა ევოლიუცია გონიერ ცხოველამდე, ანუ ადამიანამდე.**

3. „კაპიტანს არ მოეწონა დარვინის ცხვირის მოყვანილობა და უარი განუცხადა მას მოგზაურთა შორის წასვლაზე".

ხაზი თქვენია. „ოხუნჯობაა, თუ სამეცნიერო ნარკვევია"!

ხაზი ჩემია, ამხ. ატომო! აქ არავითარი ოხუნჯობა არაა წაიკითხეთ წიგნი **Ч. Дарвин: Полное собрание сочинений т. 1. გვ. 31.** და ნახავთ, რომ ეს სიმართლეა. რადგან თქვენ ეს წიგნი არ წაგიკითხავთ, ამიტომ ასეთი ელემენტარული საკითხის უცოდინარობა მოგეტევებათ, მაგრამ მიკვირს **ვისი**, ან რისი იმედით აიღეთ ჩემი წიგნი და დაიწყეთ მისი გარჩევა.

4. „მაგრამ ყველა ნაკლს შეურიგდებოდით, რომ წიგნს თავისი სათაური გაემართლებია. სამწუხაროდ წიგნის ახლო გაცნობის შემდეგ მოუმზადებელი მკითხველი ვერ გამოიტანს ნათელ წარმოდგენას ადამიანის წარმოშობის შესახებ. არის მოყვანილი ხალხური თქმულებები. მეცნიეროა შეხედულებანი, ისიც დაულაგებლად გადაუმუშავებლად და თვით საკითხზე კი გარკვეული პასუხი არ არის მოცემული".

ამის შესახებ მე მოვიყვან ერთ დოკუმენტს—ამონაწერს ცენტრო-პარტსკოლის სხდომის ოქმიდან.

„ცენტრო-პარტსკოლამ განიხილა რა წიგნი, ნახა, რომ ის სავსებით ეთანხმება საბჭოთა პარტიულ სკოლის ბიოლოგიის პროგრამას და ამის გამო სკოლამ ხსენებული წიგნი მიიღო როგორც სახელმძღვანელო სკოლის მსმენელთათვის ხსენებულ საგანში".

ასეთივე დადგენილება გამოიტანა პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობამ და სხვა დაინტერესებულმა დაწესებულებებმა.

მაგრამ, ყველა ამ კომისიების დადგენილებას ჩემთვის არა აქვს დიდი მნიშვნელობა იმიტომ, რომ როდესაც ვწერდი წიგნს ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ჩემი წიგნი მეცნიერულ ხარისხს მიიღებდა და გამოდგებოდა როგორც სახელმძღვანელო. მე მინდოდა გამეცა პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც ეხლა ისმება ყოველი მუშისა და გლეხის წინაშე და მოითხოვს პასუხს. იმ დროს, როდესაც ჩვენი პარტია ეწევა ანტი-რელიგიურ პროპაგანდას და გონებრივ მონობისაგან ანთავისუფლებს მშრომელ მასსას, ვფიქრობ, რომ ასეთ შრომას შეუძლია სარგებლობის მოტანა. რომ ეს გამართლდა, ამას მოწმობს მუშების გამოძახილი ამ წიგნის შესახებ. ვაქვეყნებ ერთ დოკუმენტს:

„თბილისის რკ. გზის მთავარ სახელოსნოს ადგილკომთან არსებული კულტ-კომისია ამით ადასტურებს, რომ გავავრცელეთ რა 140 ეკზემპლიარი წიგნაკი ამხ. გოგიბერიძისა სათაურით: „ადამიანის წარმოშობა", გამოირკვა, რომ ის მუშები, რომლებმაც წიგნი წაიკითხეს, დიდი კმაყოფილი დარჩნენ.

მოდიან კულტ-კომისიაში და აცხადებენ შემდეგს: „წიგნაკი გასაგებადაა დაწერილი და ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს არკვევს". წამკითხველები გვიამბობენ წიგნის შინაარსს და ეტყობა, რომ წიგნში ახსნილი საკითხები კარგად გაუგიათ და შეუთვისებიათ.

აგრეთვე მოდიან ბევრი მუშები და თხოულობენ, რომ რათა მათაც მიეცეს საშუალება წიგნის წაკითხვისა, მაგრამ კულტ-კომისიას წიგნები არა აქვს და მუშების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს ხსენებული წიგნი კიდევ გავრცელდება დაახლოებით **1000 ცალი**, რასაც დაჟინებით ვამტკიცებთ და მოვითხოვთ, რათა დაუყოვნებლივ გამოვიდეს წიგნის მეორე გამოცემა და ხსენებული რაოდენობა იქნეს გადმოგზავნილი მუშებში გასავრცელებლად".

ხელს აწერენ: თავმჯდომარე.

კულტკომისიის მდივანი.

ბეჭედი.

მობრძანდით და მუშებს ჰკითხეთ, ისინი უფრო კარგათ გიპასუხებენ ვიდრე მე.

ამას თავი დავანებოთ. უმთავრესი ფრონტი, რომლიდანაც თქვენ ჩემზე მოიტანეთ იერიში—ეს ქართული ენის უცოდინარობაა. მე ქართულის კარგათ ცოდნას არ ვიკვეხნი. ვამბობ: ქართულის კარგი მცოდნე როცა რაიმე საქმიან დარიგებას მომცემს, დიდ მადლობას ვუძღვნი. მე მგონია, რომ არამცოდნეს მცოდნემ უნდა ასწავლოს. თუ არამცოდნეს ასწავლის არამცოდნე, იმ შემთხვევაში გამოვა არა სწავლება, არამედ დონხალი. თქვენ ქართული ენა იცით ისე, როგორც მე ჩინური. მომყავს რამოდენიმე ამონაწერი იმ ბიბლიოგრაფიიდან, რომელიც თქვენ დასწერეთ:

1. „საუკუნოებით", 2. „სხვადასხვა კუნძულები", 3. „რა პირობები და გარემოება უწყობდენ ხელს", 4. ავტორი ამბობს, რომ **მან** უმთავრესი ყურადღება მიაქცია საკითხის სრულ პოპულიარიზაციას" და სხვა.

გრ. გოგიბერიძე.

მუშათა ცხოვრება

წარმოების გადიდებისათვის მუშებსაც შეგნება სჭირიათ.

მიღებულ იარაღს, თუ მუშა ერთგულად არ მოეპყრობა და მას არ მოუვლის ისე, როგორც ეკუთვნის იარაღის ხმარებას, თავისთავად ცხადია, რომ ის მის თავსაც აკლებს და წარმოებასაც. იარაღის მთლიანობა, მისი კარგად მოვლა ყველა ეს თვით მუშის ინტერესებთან არის დაკავშირებული. მე ვიცი, რომ ამა თუ იმ იარაღისათვის ხშირად გაჩერებულია მუშა მისთვის, რომ საჭირო იარაღი არ არის, არც საწყობშია, რომ გამოიწერონ. რა უნდა ჰქნას მუშამ? უნდა გაჩერდეს. რა იწვევს ასეთ მოკლებას? ის, რომ საჭირო იარაღი მოიპოვებოდა საიარაღოში, მაგრამ ის გაფუჭდა და სჭირია შეკეთება ან სულ დაიმტვრ და სახმარად არ ვარგა. აი ეს დეფექტი უნდა ჰქონდეს მუშას გათვალისწინებული. მისი მიერ უგულოდ მოქცევა ჰისიკე საჯარო იარაღისადმი გამოიწვევს წარმოების დაცემას და მისი ხელფასის შემცირებას. ამისათვის საჭიროა მუშის მხრივ ერთნაირი ერთგულობა იარაღისადმი, მით უმეტეს ეხლა საბჭოთა ხელისუფლების დროს, როდესაც ის სიმდიდრე, რაც ჩვენში არის, სახალხოა და ამ საქმეში გულცივობა ბოროტებად ჩაითვლება.

მუშკორი **ელდორადო.**

გვიან, მაგრამ მაინც მოგვშორდა სისხლისმსმელი.

ტელეგრაფის მე-3-ე უბნის უფროსად დანიშნეს ბ-ნი რაგოვსკი. იგი იყო მუშათა კლასის ნამდვილი პარაზიტი და წმინდა კონტრ-რევოლიუციონერი. თავისი გაიძვერობით და ეშმაკობით იგი თავის ნამდვილ ფიზიონომიას მალავდა, რის გამოც დიდ ხანს დარჩა საბჭოთა ხელისუფლების მოსამსახურედ. ბოლოს იგი აღმოაჩინეს შავრაზმელთა წრეში და სამუდამოდ მოაშორეს ტრანსპორტს. საბჭოთა ხელისუფლების მოსამსახურეს არ ეკადრება ისეთი პასუხი, როგორიც, მაგალითად, მან უთხრა ქართველ მუშას: „არ მესმის შენი ძაღლის ენა, ილაპარაკე რუსულად"-ო. მან დააბრკოლა ტელეგრაფის ხაზის აწევა „ზაჰესი"-ს ჩიხის (პლატფორმა), რამაც ზარალი მიაყენა ტრანსპორტს; მას საიდუმლო წინადადება მისცა თავის ხელქვეითს, რომ ერთი რონოდი იზოლიატორებისა გადაეყარა მტკვარში და დაეწერა, ვითომდა ტრანსპორტს მოახმარა.

ბევრი ასეთი „საქმენი საგმირონი" ჩაუდენია მას თავის სამსახურის დროს. მუშები მახარულნი არიან სისხლისმსმელის მოშორებით, მხოლოდ ის უნდა იქნას პასუხისგებაშიც მიცემული.

ვიხეე **ტეხნიკოსი.**

დაგვიხსენით სახლის პატრონთა ღინებისაგან

(გადასახადთა ინსპექციების საყურადღებოდ).

როგორც ვიცით, ყოველ წელს თვეში ერთხელ ქალაქის მცხოვრებთა აღწერა ხდება იმ მოსაზრებით, რომ, როგორც კერძო პირებს, აგრეთვე მამულის ან სახლის პატრონებს და ყველა მუშა-მოსამსახურეებს კანონიერი სახელმწიფო გადასახადი შეეწეროს მათი შემოსავლის კვალობაზე.

მიუხედავათ იმისა, რომ ხელისუფლება კანონიერად აწარმოებს ამ საკითხს, ზოგიერთი (უმეტეს შემთხვევაში) მამულის და სახლის პატრონების საშუალებით და ჩვენებით სრულდება ეს აღწერა და ამ უფლებას კი ისინი ბოროტად იყენებენ და აჩვენებენ მუშების ისეთ შემოსავალს, რაც მათ არა აქვთ. მათი ჩვენების თანახმად გადასახადს აწერენ მუშებს ისეთს, რასაც მათ კანონი არ აკუთვნებს. ეს ხდება იმ მოსაზრებით, რომ რადგანაც თვით მამულის ან სახლის პატრონს არ შეუძლიან კანონი დაარღვიოს და ერთი სამად ბინის ქირა გადიახდევინოს მუშას, ამიტომ ის აჩვენებს ისეთ შემოსავალს, რასაც მუშას სიზმრადაც არ მოელანდება და ასე სჯის მუშას. თუ დანიშნულ დროზე მუშამ გადააცილა განაწერის შეტანა, მაშინ გადასახადთა ინსპექტორის განკარგულებით მიდის რომელიმე კომისარი ან-და მილიციონერი და მუშას უკანასკნელ ხაბაკს აუწერს და თუ სამი დღის განმავლობაში არ შეიტანს იგი გაწერილ თანხას, მას საჯარო ვაჭრობით გაყიდვა არ ასცდება.

ყველა ამის გამო მუშა იძულებული ხდება საქმის გამოსარკვევათ განცხადება შეიტანოს, რასაც სჭირდება მარკები და სხვა ხარჯი. ამასთანავე ის უნდა მოსცდეს საქმეს ერთი-ორი დღე მაინც, რომ თავისი საქმე გამოასწოროს. ახლის პატრონი ყველა ამას შორიდან უცქერის და მუშის განიავებულ ოჯახის უბედურობით სტკბება.

საჭიროა სახლის პატრონები ამ საქმეს სრულიად მოაშოროთ და გადასახადების გაწერაში ინსპექტორმა მეტი სიფხიზლე და სიფრთხილე გამოიჩინონ.

მუშკორი **ალ. ბ—შვილი.**

მოგვაშორეთ ასეთი პროფმუშაკი

(პროფკავშირთა საბჭოს საყურადღებოდ).

პროფესიონალური ორგანიზაციები ფხიზლად უნდა იდგნენ რომ როგორც სხვაგან, ისე თვით თავის წრეში აღმოფხვრან ბიუროკრატიზმის ყოველგვარი შესაძლებლობას სამწუხაროთ, ზოგი ადგილკომი ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მაგ. „მედსანშრომის" მე-10 ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი ვინმე იაკობაშვილი იძლევა გაბიუროკრატებულ ჩინოვნიკის მედიდურობის საუკეთესო ნიმუშს. მისი მოპყრობა თავის მოსამსახურეებისადმი არის უდიერი, პიროვნების დამამცირებელი და ყოვლად შეუფერებელი პროფესიონალურ მუშაკისათვის. ხშირია შემთხვევა, რომ ყოველგვარ მიზეზს გარეშე ეს ვაჟბატონი გაუმართლებელი მედიდურობით ჰკიცხავს და ლანძღავს თავის თანამოსამსახურეებს, ხმა-მაღალი შეყვირებით და უადგილო განმარტებით ტერორს ქვეშ აყენებს დაბალ სამსახურის მოსამსახურეებს. უბრალო თავის მართლება და საკუთარი ღირსების დაცვის ცდა საკმაოა, რომ ამ „გააზნაურებულ მდაბიოსაგან" იქნე მოხსნილი სამსახურიდან. მოსამსახურეს საშუალებაც ესპობა აღადგინოს თავისი თავი.

იაკობაშვილმა სრულიად უმიზეზოდ სამსახურიდან მოხსნა აგვისტოში ტეხნიკური მდივანი, ასეთივე საქციელი გაიმეორა ნოემბრის 22: სამსახურიდან გააგდო მეორე ტეხნიკური მდივანი მხოლოდ იმიტომ, რომ მან უარი განაცხადა მისთვის სრულიად არასავალდებულო სამუშაოზედ.

მუშკორი **ძველი.**

შრომის ნაყოფიერებას ასე სწევენ?!

(რკინ. გზის სამმართველოს და საუბნო კავშირის საყურადღებოდ)

თანახმად დამატებითი მოთხოვნილებისა მე-4 კვარტალის სამუშაოებისათვის პირველი სალიანდაგო უფროსის მიერ რონოდით № 567232-ით გაგზავნილი იყო 500 ფუთი გაჯი, მაგრამ ჩასული რონოდა დანიშნულებისამებრ გამობრუნებული იყო უკან იგივე პლომბებით მთავარ მაღაზიაში ზედნადები № 27730-ით უმიზეზოთ, არავითარი ახსნა დაბრუნების მიზეზისა არ გამოუგზავნიათ.

რას უნდა მიეწეროს ეს? ეს ხომ ზარალია რკინის-გზის რონოდასი თბილისიდგან ბათომში გაგზავნით და იქიდან ისევ უკანვე დაბრუნებით უშედეგოდ.

ეს საქმე უნდა გამოირკვეს და რონოდის გაცდენას და ტყუილ უბრალოდ წასვლა-წამოსვლისათვის დამნაშავემ უნდა პასუხი აგოს.

ინჟ. **ტაბაკინელი.**

ეს უსამართლობაა

(რკ. გზის სამმართველოს საუბნო კავშირის საყურადღებოდ).

ჩვენ ქ. თბილ. დეპოს მემანქანეთა თანაშემწეები, რომლებიც ვმუშაობდით მაისის თვიდან დღემდის ოქტომბრამდის შედარებით სხვა თანაშემწეებთან უნდა გვქონოდა შრომის ხელფასი მე 11-სატ. ხარისხით. მაგრამ ადმინისტრაციამ მოახდინა ხარისხების დაკლება და ჩვენც ჩამოგვაკლეს სამი ხარისხი. ადმინისტრაციის ასეთმა საქციელმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია ჩვენ შორის და ვცდილობდით გაგვეგო, თუ რა იყო საქმე. მივმართეთ ადგილკომს და ადგილკომმა გვიპასუხა: სანამდის თქვენ არ შეისწავლით დეპოში რვა ხარისხიან ზეინკლობას, მანამდის ორთქლმავალზე მუშაობა თქვენ გეკრძალებათ და რაც გიმუშავნიათ სამი ხარისხის გამოკლებით, მის განსხვავებას მიიღებთო. ამჟამად ვმუშაობთ დეპოში, მაგრამ განსხვავება მხოლოდ ზოგმა მიიღო, ზოგმა არა. ვინც ვერ მივიღეთ, მივკითხეთ გამგე იზხანოვს. მან კი გვიპასუხა, რომ ვისაც მალეტა ორთქლმავალზე ნამუშევარი აქვთ, მათ დეპოს უფროსის განკარგულებით არასფერი განსხვავება არ გამოუწერეთ და არც გამოუწერთო. მალეტის გარდა სხვა ორთქლმავლებზედაც ვართ ჩვენ ნამუშევარნი, მაგრამ ჩვენ ჩვენსას მაინც ვერ ვღებულობთ.

რაშია საქმე? ნუ თუ მუშების ასე დაჩაგვრა დასაშვებია ქალ. თბილისის [illegible]ს უფროსის მიერ.

მუშკორი **კოჟუხი.**

მეტი ყურადღება რკინისგზელებს

(რკინის-გზათა ადმინისტრაციის და პროფ-კავშირის საყურადღებოდ)

რკინის გზის ყველა მუშა-მოსამსახურეებს თვეში ერთხელ ეძლევათ სურსათ-სანოვაგის ბილეთი, ე. წ. „პროვიზიონკა" ამ ბილეთით მოგზაურობა მუშა-მოსამსახურეთათვის ნამდვილი სატანჯველია, რადგან წასვლა შეიძლება მხოლოდ „მაქსიმ გორკით" № 22-ით. ყველასათვის ცხადია, თუ რა სიჩქარით დადის ეს მატარებელი. ზესტაფონამდე იგი გზას უნდება 20 საათზე მეტს. ამას ზედ ერთვის რონოდების სიმცირე—(სულ ორი რონოდაა) და ისიც უხეირო მე-4 კლასის, სადაც დაჯდომაც კი არ შეიძლება ხეირიანად. მაგრამ დაჯდომას ვინ-ღა სჩივის, უადგილობის გამო ბევრს ფეხზე უხდებათ ყოფნა ამ ოცი-ოცდახუთი საათის განმავლობაში. ამიტომ აუცილებელია ამ საქმის მოგვარება ამ მხრივ: 1. რონოდები მოემატოს ოთხამდის ან და სასურსათო ბილეთით უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მუშა-მოსამსახურეებს იმგზავრონ საფოსტო მატარებელზე.

ინჟ. **ტაბაკინელი**

ჩვენც ყურადღება მოგვაქციეთ.

(ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ)

ბელინსკის ქ. № 27 არის საბჭოთა სახლი. 1918 წლიდან ამ სახლს არავითარი შეკეთება არ ღირსებია. წვიმის დღეში ბინადრე მოსამსახურენი საშინელ [illegible] მდგომარეობას განიცდიან. შუშაბანდში და ოთახებში ისე წვიმს, როგორც გარედ. ამის [illegible] ბუხრის მილი არასოდეს არ გაწმენდილა და ჭვარტლით გავსებულ მილებში ცეცხლის პირველ დანთების თანავე მოსალოდნელია ცეცხლის გაჩენა. ერთი თვის წინეთ ინჟინერმა მოიჯარადრის თანხლებით მედიდურად აათვალ-დაათვალიერა ეზოდან სახლი და ხელმოწერილი ქაღალდი გადასცა. მოიჯარადრემ კი მხოლოდ ერთი ბინის სახურავი შეაკეთა, სხვა ბინებს არავითარი ყურადღება არ აქცია. სახლი კი ლპება და ინგრევა.

ალმასკომო, მიიღე რაიმე ზომები.

ინფორმატორი **ზანგელი.**

ტყიბულის მაღაროების მუშებში

(რკ. გზის სამმართველოს და საუბნო კავშირის საყურადღებოდ)

ამ ჟამად ტყიბულის მაღაროებში 800-მეტი მუშა მუშაობს, რომლებიც დიდ გაჭირვებას განიცდიან სადგურიდან მაღაროებამდე სახალხო მატარებლის მიმოსვლის შეწყვეტის გამო. ხუთი ექვსი ვერსის მანძილზე დაღლილ-დაქანცული მუშები ფეხით დადიან სამუშაოდან ბინებზე და უკანვე. ამით ერთის მხრივ რკინის გზა კარგავს შემოსავალს და მეორეს მხრივ დაღლილი მუშები წარმოებისათვის ვერ იძლევიან იმდენ ნაყოფს, რამდენიც საჭიროა. ეს კი საერთოდ აფერხებს იმ დიდ ამოცანის შესრულებას, რასაც ეწოდება შრომის ნაყოფიერების ზრდა. ამ საქმის მოსაგვარებლად მრავალჯერ იყო აღძრული შუამდგომლობა ა | წ. რკინის გზის სამმართველოს წინაშე. უკანასკნელად—ჩვენი მოთხოვნილება იყო დაკმაყოფილებული, რომ მიმოსვლა სახალხო მატარებლით სად. ტყიბულიდან მაღაროებამდის ხელახლა აღდგენილიყო. ამისათვის სათანადო განკარგულებაც მოუვიდა ტყიბულის სადგურის უფროსს. მიუხედავად ამისა საქმე მაინც შეჩერებულია, ადგილობრივ სადგურების უფროსს ბ. სოკოლოვსკის ჯიუტობით.

საქმის შეჩერების მიზეზად მოჰყავთ ის, ვითომდა ხიდები არ იყოს სათანადოდ გამაგრებული და შესაძლებელია მატარებლის გადავარდნა. ეს არგუმენტი სინამდვილეს არ შეეფერება. მხოლოდ ეს არის დაკმაყოფილება ტყიბ. სადგურის მოხელეების, რომ ამით ისინი არ გარჯილიყვნენ და უფრო მოსვენებულად ყოფილიყვნენ. ამას ადასტურებს ჩვენ მიერ გამოწვეული კომისია ორი თვის უკან, რომელმაც დაათვალიერა და შეამოწმა ხიდები, რომლებიც აღმოჩნდენ სავსებით დამაკმაყოფილებლად და ვარგისად.

ამის დამამტკიცებელია მეორე გარემოებაც, ამ ხიდებზე გააქვთ ნახშირი დღეში ორი-სამი მატარებლით 8—10 ვაგონობით. ეს კი უდრის ათი ათასი ფუთ ტვირთს: თუ ამ დროს ხიდები უძლებს და არ ინგრევა, მაშინ დაიმტვრევა, როდესაც ერთი სახალხო ვაგონით აივლის ორთქლმავალი, რომლის ტვირთი 20[illegible] ფუთს არ აღემატება? აქ ადგილი აქვს მხოლოდ პირად ჟინიანობას ადგილობრივ მოხელეების მხრით.

ალაგმეთ ეს ვაჟბატონები.

ინჟ. ია.

მუშათა ქრონიკა

ჩვენი ახალი მუშკორები. საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის ზუგდიდის განყოფილება გვაუწყებს, რომ ჩვენი გაზეთის მუშა-კორესპონდენტად არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: [illegible]ია **ნაჭყებია**—(„ეპონ"-თანამშ.) [illegible]თე **თორდია** (პროფკავშირის [illegible] მგ.), **გაბო ბედია** (მილიცია) [illegible] კაპიტონი **გუგუნავა** (პროფ. [illegible]მართ).

საჭიროა, სხვა მაზრებმაც წაბაძონ ამხ. ზუგდიდელებს.

სხვადასხვა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

— **ცხოველების შენახვის ახალი წესი.** ა. | წ. რკ. გზის სანიტარულმა კომისიამ მიმართა ყველა საუბნო სანიტარულ კომისიებს გამოიმუშაონ წესი ცხოველების შენახვისა რკ. გზის შენობებში მცხოვრებ რკინისგზელთათვის, რომელთაც ჰყავთ მოშინაურებული შინაური პირუტყვები. წესის დამრღვევთა წინააღმდეგ შემოღებულია ჯარიმა.

იურიდიული დახმარება ამხანაგ მუშებს

შეკითხვა:

ვცხოვრობ კირკის ქ. № 18-ში. მიკავია ერთი ოთახი, რომელიც შეიცავს 20 ოთხ. არშ. ჯამაგირს ვიღებ, როგორც წითლარმიელი თვეში 1—20., გთხოვთ მაცნობოთ რამდენი უნდა გადავიხადო სახლის ქირა თვიურად?

ი. ბარაბაძე.

პასუხი:

ბინის ქირად თვიურად იხდი რვა კაპეიკს (8 კაპ.) თითოეულ კვადრატიული არშინზე 0,4 კაპეიკ

(ამხ. მუშევას)

შეკითხვა:

ვცხოვრობ მალიკის ქ. № 2-ში. მიჭირავს ორი ოთახი (85 ოთხ. არშ.). ჯამაგირს ვიღებ თვეში 28 მანეთს. გთხოვთ გამიმარტოთ რამდენი უნდა გადავიხადო თვეში ბინის ქირა?

ა. ბაქრაძე.

პასუხი:

ბინის ქირად თითოეულ კვადრატიულ არშინზე თვიურად თქვენ იხდით ერთი კაპეიკს. სულ მთელი ბინისას კი—85 კაპეიკს.

თბილისის ტრამვაის მეურნეობა

1900 წელს მარტში ბელგიის უსახელო საზოგადოებამ თბილისის ქალაქის თვითმართველობასთან დასდო ხელშეკრულება ტრამვაის მოწყობის შესახებ. ამ ხელშეკრულების ძალით ქალაქის გამგეობას უფლება ეძლეოდა ტრამვაის შესყიდვის 15 წლის შემდეგ, ე. ი. 1915 წ.

ბელგიის უსახელო საზოგადოებამ ფაქტიურათ მხოლოდ 1904 წლის მიწურულში აამუშავა რონოდები ლიანდაგზე, რომელთა რიცხვი უდრიდა 70 თვითძრავიან რონოდას. ეს რიცხვი რონოდებისა მუშაობდა 1909 წლამდე და თითქმის ნახევარი გაცვდა-დაიმტვრა ამ მოკლე ხნის განმავლობაში.

უსახელო საზოგადოებამ 1909 წლიდან ჩამოიტანა 19 თვითძრავიანი რონოდა და ამ რიგად ამუშავებდა დაახლოვებით 65 თვითძრავიან რონოდას და 1910 წელს კიდევ მიუმატა 45 მისაბმელი რონოდა. მისაბმელი რონოდების რიცხვიც სწრაფად შემცირდა, ვინაიდან მეტი წილი დაიმტვრა და უსახელო საზოგადოებამ კვლავ ჩამოიტანა 45 თვითძრავიანი რონოდა 1911 წელს. 1912 წელს უსახელო საზოგადოებას ჰქონდა 134 თვითძრავიანი და 45 მისაბმელი რონოდა. აქედან მუშაობისათვის გამოსადეგი იყო მხოლოდ 120 თვითძრავიანი და 28 მისაბმელი რონოდა, დანარჩენი 14 თვითძრავიანი და 7 მისაბმელი რონოდა კი დამტვრეული-უვარგისი. ეს რიცხვი რონოდებისა თანდათან გაცვდა-დაიმტვრა და 1915 წელს, 16 დეკემბერს (ამ დღეს შეისყიდა ქალაქის თვითმართველობამ ტრამვაი 4.529.516 მან. და 11 კაპ.), შეუკეთებლად მუშაობისთვის გამოსადეგი იყო მხოლოდ და მხოლოდ 22 თვითძრავიანი როდა, დანარჩენი კი ძირითად შეკეთებას და მრავალი ნაწილების გამოცვლა-აღდგენას საჭიროებდენ.

ქალაქის გამგეობამ მოახერხა-შეიძლო მხოლოდ შეკეთება-აღდგენა 72 თვითძრავიან და 28 მისაბმელი რონოდის, დანარჩენი 40 თვითძრავიანი და 17 მისაბმელი რონოდები კი სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდენ და ესა თუ ის ნაწილები ამ უვარგისი რონოდებისა, მოხმარდა დანარჩენ რონოდების შეკეთება-აღდგენას.

რომ ყველაფერი ეს უფრო თვალსაჩინო გახდეს, ამისთვის მოვყავს ციფრები: საშუალოდ მუშაობდა წლის განმავლობაში დღეში:

წელი	თვითძრავიანი რონოდები	მისაბმელი რონოდები
1904—8	65	—
1909	65	—
1910	75	40
1911	120	30
1912	120	28
1913	110	15
1914	100	10
1915	90	—
1916	90	24
1917	84	27
1918	78	21
1919	42	23
1920	41	22
1921	21	6
1922	28	7
1923	32	13
1924	40	17

მკითხველი ამგვარათ დაინახავს, თუ როგორი სისწრაფით მცირდება რონოდების რიცხვი 1921 წლამდის, რის შემდეგ კი თანდათან მატულობს.

აშკარაა აგრეთვე ისიც, რომ დროზე არ დამყარებულიყო მუშათა და გლეხთა ხელისუფლება და არ მოეკიდა ხელი მრავალი მეურნეობათა შორის ტრამვაის მეურნეობისათვისაც და არ ეზრუნა ტრამვაის შეკეთება-აღდგენაზე, დღეს ალბათ თბილისის მცხოვრებლებისათვის ტრამვაიზე მისვლა სანატრელი იქნებოდა.

ახლა შევადაროთ 1923 და 1924 წელი ერთმანეთს.

საშუალოდ მუშაობდა:

დღეში თვის განმავლობაში

თვეები.	1923 წ. თვითძრავიანი რონოდები.	1923 წ. მისაბმელი რონოდები.	1924 წ. თვითძრავიანი რონოდები.	1924 წ. მისაბმელი რონოდები.
იანვარი	29	12	34	15
თებერვალი	31	12	34	15
მარტი	31	12	34	15
აპრილი	32	12	34	15
მაისი	32	13	36	19
ივნისი	32	13	45	22
ივლისი	33	12	49	24
აგვისტო	34	13	50	25
სექტემბერი	35	14	50	25
ოქტომბერი	34	15	59	25
ნოემბერი	33	15	61*)	32*)

*) **აქედან მგზავრების მიმოსვლის რონოდები:**

1) ა) ძრავიანი . . 56 ცალი
ბ) მისაბმელი . . 22 „
2) ხორცის გადასაზიდი:
ა) ძრავიანი . . . 2 „
ბ) მისაბმელი . . 6 „
3) ნახშირის გადასაზიდი:
ა) ძრავიანი . . . 1 „
ბ) მისაბმელი . . 2
4) ქვიშის გადასაზიდი:
ა) ძრავიანი . . . 1 „
ბ) მისაბმელი . . 2 „
5) ფარეხში მომუშავე:
ა) ძრავიანი . . . 1 „

სულ: ძრავიანი . . 61 ცალი
მისაბმელი . . 32 „

ზემოაღნიშნულ ცხრილიდან სჩანს რომ მგზავრთა გადაზიდვის რიცხვი საშუალოთ 9 თვის განმავლობაში უდრიდა:

1923 წ. . . 11035755 მგზავრს
1924 წ. . . 15174544 „

ე. ი. 4.138.789 მგზავრით ანუ 37 პროც.-ით მეტი.

ტრამვაის ელდენის სადგურის მიერ 9 თვის განმავლობაში დამუშავებულია ენერგია:

1923 წ. . . 1.477.896 კილ. საათ.
1924 წ. . . 1.620.475 „ „

ე. ი. 142.579 კილ. საათით ანუ 9,6 პროც.-ით მეტი.

ტრამვაის შემოსავალი 9 თვის განმავლობაში უდრის:

1923 წ. . . . 561.131,—84
1924 წ. . . . 1.002.859,—75

ე. ი. 441.727 მან. 91 კაპ. ანუ 78 პროც.-ით მეტი.

საექსპლოატაციო ხარჯები 9 თვის განმავლობაში შეადგენენ:

	1923 წ.	1924 წ.
პირად შემადგენლობაზე .	280.718	360069
სათბობ მასალაზედ . . .	59334	99278
სხვადასხვა საექსპლოტაციო ხარჯები . .	134794	199720
ამორტიზაციის ფონდი .	11600	93932
სულ .	486446 მ.	752999 მ.

ე. ი. 265.553 მან. ანუ 54 პროც.-ით მეტი. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1924 წელს ტრამვაიუწყებამ პირველათ შექმნა, **რეალურათ**, ამორტიზაციის ფონდი, რომელიც ინახება კომუნალურ ბანკში, საჭირო ინვენტარის გასაახლებლათ.

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი საშუალოთ თვეში შეადგენდა:

1923 წ.—796 თანამშრომელს
1924 წ.—990 „

თუ გადავიყვანთ ზემოთ აღნიშნულს ცნობებს მუშა-მოსამსახურების რაოდენობის რიცხვზედ, მივიღებთ შემდეგს, თითო რონოდაზე მოდიოდა:

1923 წ.—20 თანამშრომელი, 1924 წ.—კი 14,7 ნოემბრის თვის მიხედვით.

მგზავრების გადაზიდვა 9 თვის განმავლობაში:

1923 წ.—თითო თანამშრომელზედ მოდიოდა 13851
1924 წ.—თითო თანამშრომელზედ მოდიოდა 16344

ე. ი. 2493 მგზავრით, ანუ 18 პროც.-ით მეტი.

თითო თანამშრომლის შენახვაზედ იხარჯებოდა თვეში საშუალოდ:

1923 წ.—38 მან. 89 კაპ.
1924 წ.—45 „ 12 „

ე. ი. 13,5 პროც.-ით მეტი.

შემოსავალი კი მოდიოდა თვეში 1923 წ. თითო თანამშრომელზე 78 მან. 1924 წ. თითო თანამშრომელზე 112 მან.

ე. ი. 43 პროც.-ით მეტი.

გასავალი შეადგენდა თვეში თითო თანამშრომელზედ:

1923 წ.—68 მან.
1924 წ.—95 მან.

ე. ი. 37 პროც.-ით მეტი.

ქალაქის ტრამვაის წარმოება-საქმიანობა

ა | წ. 1-ლ იანვრიდან 1-ლ ოქტომბრამდე შესრულებულია შემდეგი სამუშაოები.

1.

სახელოსნოში

დამთავრდა:

1) მოწყობა სიმძიმის ამწი და მოსაბრუნებელი ქმოსისა.
2) მოწყობა ახალი დაზგებისა:
ა) ხე-ტყის მასალის სარანდავი.
ბ) რკინეულობის მღარვი ჩარხი
გ) „ მჭრახავი
დ) „ სახეხი „
ე) „ სახარატო „
ვ) „ მლესავი „
3) მოწყობა ახალი ბოყვისა (ვაგრანკა, ძველის მაგიერ) ჩამომსხმელთ დარგში.
4) ამოწევა და იატაკის სიმაღლემდე გასწორება საარტახო ჩარხისა და მასზედ მორგება შესაფერი ამწი მომბრუნებელი ქმოსისა.
5) გაფართოება სამღებრო დარგისა.
6) გაკეთება ფანჯრებისა და ძირგაუმჯობესება განათებისა სადურგლო დარგში.
7) ბგლესვა და შეთეთრება:
ა) სადურგლო დარგის კედლების და ჭერისა.
ბ) გენერალურ შეკეთების დარგისა.
გ) საჭნეოსო (კომპრესორი) განყოფილების შენობისა.
8) გაკეთდა მანიავებელი (ვენტილიაცია) მოწყობილობა: ქმოგნურს, სადურგლო და სახარატო დარგებში.
9) აშენდა 6 რონოდა ხორცის გადმოსაზიდათ (დაწყებული 1923 წ. და დამთავრდა ა. წ. ივლისში).
10) შევიძინეთ 400 ფუთი მავთული (ტროლეინი) ხაზებისათვის.
11) შევიძინეთ 400 ცალი არტახები; მათი ნაწილი უკვე მიღებულია და რონოდებზედ მორგებული.
12) შევიძინეთ 200 ცალი ღრიკა (რესორი), რომლებსაც ამ დღეებში მოველით.

დამთავრების პროცესშია:

1) სამჭედლო დარგის შენობის აგება.
2) შემდუღებელ დარგის შენობის აგება.
3) ხე-ტყის მასალის საშრობი საწყობის აგება.
4) ცეცხლის საქრობ მოწყობილობისათვის ქვაბანის (2000 კასრიანი) დადგმა.
5) ტიბონის (ბეტონის) სახურავი ხეთის, ნავთის და ბანზეინის შესანახ საწყობისა.
6) მზადდება 22 ცალი რონოდა (შიგნიდან შესავლიანი) გვერდებზედ უსაფეხუროთ, მათში 2 ცალი ამ თვის ბოლოში გამოშვებულ იქნება ხაზზედ.
7) სწარმოებს 15 მისაბმელი რონოდების გადაკეთება (შიგნიდან შესავლით) და გვერდებზე უსაფეხუროთ, მათში 7 ცალი უკვე გამოშვებულია ხაზზედ.
8) შეკვეთილია ხე-ტყის მასალა მაგარი და რბილი ჯიშისა თორმეტი რონოდამდე.

2.

პარკი

1) გასუფთავდა და მოლაგდა ძველი ეზოს ნახევარი ნაგავისა და ძველი რონებ-რკინეულისაგან.

3.

ელსადგური.

დამთავრდა.

1) გამოცვლა მანქანა „დიზელის" გოდლის (ცილინდრი) თავებისა „გიულდნერის" ფირმისა.
2) თავადგეთ ელსადგურზედ:
ა) სარეგი [illegible]აციო აპპერზომი და გამავალ [illegible] საზომი.
3) გასუფთავდა, გაიჩეცხა და ახლად შეიღება ელსადგურის მთელი შენობა.
4) შეკეთდა ორთქლის მანქანები №№ 1, 2 და 3.
5) შეკეთდა ორთქლის 2 ქვაბი და ერთი ამჟამათ იმყოფება სერიოზულ კაპიტალურ შეკეთებაში.
6) მოვაწყეთ ქვიშისა და ტალახშლავის განმარიდებელი რაბი (შლიუზი).
7) შეკვეთილია ელსადგურის წარმოების საჭიროებისათვის:
ა) მჭრელ-ტუმბო (ნასოსი) 1 ცალი,
ბ) საცეცხ-ფარეშოსათვის საკვამლე მილები

4.

ფუნიკულიორი

დამთავრდა:

1) ახლად შელესვა-შეთეთრება და შეკეთება ფუნიკულიორის ზედა სადგურის შენობისა.
2) გაიწმინდა-დაიგეგმა და ახალ ხე-მცენარეებით დარგვა ფუნიკულიორის ზემო და ქვემო სადგურზედ ბაღჩებისა

5.

მოძრაობა და ხაზი

დამთავრდა:

1) შეკეთება და შეღებვა კახეთის მოედანზედ და მუხრანის ხიდთან არსებული ფანჩატურებისა.
2) დარღვევა რკ. გზ. სადგურთან და ბზის მოედანზედ მდებარე ტრამვაის სადგურებისა და მით განთავისუფლებულ იქნა ხსენებული მოედნები.
3) გამოვცვალეთ (ნახევარზედ მეტი) ლიანდაგის ჯვარედინები და ისრები, რომლებიც დამზადდა ჩვენს სახელოსნოში.
4) რონების გაცვეთილ-დამტვრეული პირპირების (ატიკი) თავები გადაკრულია მთელს ხაზებზე თითქმის ნახევარზედ მეტი.
5) ახლად შეკეთდა სასაკლაოს მიმართულებით მთელი ხაზი და გაგრძელდა ნაძალადევის ხაზი მოქ. ბილანოვის ყოფილ სკოლამდე.
6) ავყარეთ ლიანდაგი ამხ. გოცირიძის სახ. თეატრიდან ყოფილი „სვეტ"-ის ნავთის საწყობამდე.
7) გავიყვანეთ ხორცის რონოდების მისადგომი ლიანდაგი მეხორცეების რიგში და მისადგომი ხაზი შიგ ტრამვაის პარკში.
8) განვაახლეთ დიდი ხნით შეწყვეტილი მე-9-რე სვლა-გზის მოძრაობა თავისუფლების მოედნიდან სამეანო ინსტიტუტამდე და გაკეთდა ტიბონის (ბეტონის) საძირკვლები და მეიღება ლიანდაგის რკინის ბოძების ნახევარზე მეტი.

6.

მომავალი სამუშაოები

მოძრაობა და ხაზები:

1) განზრახვა გვაქვს გავიყვანოთ შემოსავლელი ხაზები ციციახთ ალიართის და ნავთლუღის მიდამოებში იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს № 12 სვლა-გზის რონოდები გაუშვათ მისაბმელი რონოდებით.
2) შეკვეთილია 100.000 ფუთი რონები (რელსები).

7.

გარდა ყოველივე ამისა, ტრამვაი აწოდებს ელდენს მთელ რიგ დაწესებულებებს საერთო რაოდენობით 30.000 კილოუატ-საათამდე.

ტრამვაით უფასოდ სარგებლობენ: ა) ტრამვაის მუშა-მოსამსახურენი და მათი ოჯახები საერთო რიცხვით 2479 სული, ბ) მუშათა და გლეხთა მილიციის შემადგენლობა 1000-დე.

ყველა ზემოხსენებულის გარდა ა | წ. ნოემბრის 1-ლ რიცხვიდან დილა-ადრიანათ ხაზებზედ გამოშვებულია ქალაქ თბილისში არსებულ ქარხანა-ზავოდების მუშა-მოსამსახურეთა გადაზიდვის მიზნით ძრავიანი რონოდები რიცხვით 10-მდე.

მომავალში მოსალოდნელია ამ რიცხვის გადიდება საჭიროების მიხედვით.

ტრამვაის დირექტორი ა. [illegible].

პატარა ფელეტონი

ბალდვინის გასაჭირი

დაზარალდა ინგლისის საარჩევნო ჯარა და გამარჯვება ერგო კონსერვატორებს და მათ შეადგინეს მთავრობაც.

ამ მთავრობამაც ბალდვინის მეთაურობით ხელდახელ მოიკალათა უკვე დაცარიელებულ სამინისტრო სავარძლებში.

გაიცა პირველი ბრძანება მაკდონალდის მოყვანაზე.

ბრძანება შესრულებულია.

მაკდონალდი უკვე დგას მოწიწებით კარებთან და მისჩერებია თავის მემკვიდრეებს.

ბალდვინი განკარგულებას იძლევა:

— ამ რვა თვის განმავლობაში რაც მაკდონალდს ბარგი-ბარხანა დაუგროვებია აქ, ყველაფერი გადმოალაგეთ! ყველაფერი მოვკიდოთ ზურგზე და ისე გავისტუმროთ!

მდივანმა გადმოიღო პირველი ბარგი:

— ექვსი ჯავშნიანი კრეისერის აგება...

ბალდვინი. ეგ ჩვენთვის სასარგებლოა, გადმოსდე აქეთ!

— აჯანყების მოწყობა ავღანისტანში და სპარსეთში...

ბალდვინი. ეგეც ჩვენი სასარგებლოა, გადმოსდე აქეთ!

— მოსულის რაიონში განუწყვეტელი ბრძოლა ოსმალებთან...

ბალდვინი. ეგეც კაი საქმეა ჩვენთვის, გადმოსდე აქეთ!

— ინდოეთში და ირლანდიაში უსასტიკესი რეპრესიები...

ბალდვინი. ეგეც ჩვენ საჭიროთ ყოფილა, გადმოსდე აქეთ!

— რურის ევაკუაცია ფრანგების მიერ...

ბალდვინი. ეგეც ჩვენ სარფას წარმოადგენს, გადმოსდე აქეთ!

— ეხლა დარჩა მხოლოთ ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულობა...

აქ კი ყველამ ყურები სცქვიტეს.

ბალდვინი. ეგ კი ჩვენი საქმე აღარ არის! აბა ბიჭებო, მოვკიდოთ მაკდონალდს თავის მუშურ ზურგზე ეს ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულობა და გავისტუმროთ სამუდამოთ აქედანო!

დაფაცურდენ ყველანი. როგორც იქნა ასწიეს ეს სახათაბალო ხელშეკრულობა და მოსდეს ზურგზე ყოფილ პრემიერს.

მაგრამ უბედურობა სწორეთ აქ დატრიალდა:

რომელ კარებსაც არ მიაყენეს დატვირთული მაკდონალდი, ვერც-ერთში ვერ გაეტია ეს ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულობა.

ფანჯრებიდანაც სცადეს, ვერც იქ გაეტია, ხან სიგრძით სინჯეს, ხან სიგანით, მაგრამ ვერც ერთ ახარედან ვერ გამოათრიეს ეს უცნაური ტვირთი.

ბოლოს იძულებული გახდენ „ხელშეკრულობა" ისევ მთავრობის სასახლეში დაეტოვებიათ და ცარიელ-ტარიელი მაკდონალდი კი გამო სტუმრეს კარში.

—

მას შემდეგ სხედან კონსერვატორების ბელადები და თავებს იმტვრევენ—თუ რა მოუხერხონ ამ ხელშეკრულობას? რა პასუხი გასცენ თავიანთ ამომრჩევლებს, რომელთაც პირდებოდენ ამ ტვირთის მოშორებას?

ამის შესახებ იმართება კრება კრებაზე. ამისთვის აგვიანებენ პარლამენტის მოწვევას. ამისთვის ათენებენ დღე და ღამეს. მაგრამ აქნობამდის ჯერ ვერავითარი საშველი ვერ გამოუძებნიათ...

ტალ-კვეხი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სოფლის მუშაკის მოკვლა.

ორიოლი. 25 ნოემბ. სოფელ მუდრევოში, მალოარხანგელსკის გუბერნიაში მოჰკლეს ურთიერთ დახმარების კომიტეტის თავმჯდომარე სასოფლო საბჭოს წევრი, ენერგიული საზოგადო მოღვაწე—კომუნისტი აბაკუმოვი. ფიქრობენ, რომ აბაკუმოვი მოჰკლეს კულაკებმა და მაგარი სასმელების ფარულად მხდელებმა, რომლებსაც ის ებრძოდა.

კორესპონდენტი ქალის მოკვლა.

არხანგელსკი. 25 ნოემბ. არხანგელსკის მაზრაში მოჰკლეს გაზ. „ვოლნა"-ს სოფლელი კორესპონდენტი ქალი—უტკინა. მოკლული უტკინა ათავსებდა „ვოლნა"-ში მამხილებელ საბუთებს. უტკინა იყო აგრეთვე სათემო აღმასკომის და საადგილმამულო კომისიის წევრი.

აფეთქება ეკლესიაში.

უსოლიე, 25 ნოემბ. გუბახის ეკლესიაში მოხდა ძლიერი აფეთქება. გაჩხრეკის დროს აღმოჩნდა ესერების ლიტერატურა და ყუთებში ჩაწყობილი დინამიტები, ბომბები და გაზის მილები. კიზელოვის მაღაროების მუშები მოითხოვენ ეკლესიის დახურვას შეთქმულების მღვდლების სასწრაფოდ გასამართლებას.

სოფლის საბჭოს თავმჯდომარის მოკვლა.

ნიჟნი-ნოვგოროდი 25 ნოემბ. მოკლეს მარევის თემის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე კაზაკოვი, რომელიც აქტიურად იბრძოდა მაგარი სასმელების ფარულათ გამომხდელების და ადგილობრივი ბანდიტების წინააღმდეგ.

თავდასხმა სოფლის კორესპონდენტზე.

ვორონეჟი, 25 ნოემბ. დატუსაღებულია როსოშანსკის მაზრის, სოფ. ალექსანდროვსკის სოფლის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, კულაკი კრივულია, რომელმაც თავდასხმა მოახდინა „ჩვენი გაზეთი"-ს სოფლის კორესპონდენტზე—მასწავლებელ კონიუხოვზე. წინასწარ გამოძიების დროს კრივულიამ განაცხადა, რომ ის მთვრალი იყო და არ ახსოვს, თუ რატომ შეიჭრა სოფლის კორესპონდენტის ბინაზე.

უნგრეთის კომუნისტები.

ლენინგრადი. 25 ნოემ. გერმანულ გემით „შლეზვიგით" ჩამოვიდა 128 უნგრელი ამხანაგი, რომლებიც წარმოადგენენ უნგრეთში გამეფებულ თეთრი ტერორის მსხვერპლებს. მოსულთა შორის 43 კომუნისტია.

ჟანრი ბარბიუსი ეწვევა მოსკოვს.

მოსკოვი. 25 ნოემ. მოსკოვში და ლენინგრადში ფრანგ მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენასთან ერთად ჰანრი ბარბიუსიც, აპირებს საბჭოთა კავშირში მოსვლას.

ბარბიუსთან ერთად მოვა საფრანგეთის გაერთიანებულ მხატვრების წარმომადგენელი—მხატვარი მატე.

ახალგაზრდობის კომინტერნის 5 წლის თავი მოსკოვში

მოსკოვი. 24 ნოემბ. 24 ნოემბერს შესდგა რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის მოსკოვის ორგანიზაციის საზეიმო სხდომა, რომელიც მიძღვნილი იყო ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის ხუთი წლის თავისადმი.

ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის უახლოეს ამოცანების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ზინოვიევმა.

სხდომას მიესალმენ: ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის სახელით მილჩაკოვი, საფრანგეთის კომკავშირის სახელით—მეტონი, რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ცეკას სახელით ფაივილოვიჩი, რ. კ. პ. ცეკას მოსკოვის კომიტეტის სახელით—ბუზანი.

დასასრულ 3000 კაცისაგან შემდგარმა კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია ზინოვიევის მოხსენების გამო. რეზოლიუციაში ნათქვამია: „ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალს გაუვლია გრძელი და მძიმე ბრძოლის გზა მთელს მსოფლიოში პროლეტარული რევოლიუციის გასამარჯვებლათ. ამ გზაზე ახალ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა დაჰკარგა ასეული ათასი მებრძოლები და საუკეთესო მათ შორის—კარლ ლიბკნეხტი. მაგრამ ვერავითარი რეპრესიები ვერ შეაჩერებენ მსოფლიო ახალგაზრდების კომკავშირის ზრდას ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი. მტკიცედ ივლის მსოფლიო რევოლიუციის გზით, თავის ბრძოლით ძირს გამოუთხრის კაპიტალიზმს, დაიპყრობს მასებს, [illegible] პროლეტარიატის მტრებს—ყველა ჯურის სოციალისტების ნამდვილ „საქმიანობას" და იმუშავებს კომუნისტურ პარტიებთან და კომინტერნთან ხელიხელ ჩაკიდებით.

რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირი არის ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მოწინავე მსოფლიო რაზმი, მსოფლიო კომკავშირის ჯერჯერობით მხოლოდ ერთად-ერთი სექცია, რომელიც ატარებს ლენინის სახელს. ეს გვავალებს ჩვენ არა თუ ლენინისებურად აღვზარდოთ ჩვენი მილიონიანი კავშირის წევრები, არა თუ ჩვენი პარტიის შიგნით გადაუხრელად დარჩეს ბოლშევიკური პარტიის დასაყრდენი, არამედ აგრეთვე ყოველივე ძალ-ღონე მოვახმაროთ იმას, რომ მოხდეს ახალგაზრდობის კომინტერნის ყველა მოძმე სექციების ბოლშევიზაცია ახალგაზრდობის მსოფლიო მოძრაობაში ლენინიზმის გასამარჯვებლად.

სწორედ ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ ამხ. ტროცკის უკანასკნელ გამოსვლებს. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ლენინის პარტიის ისტორიის დამახინჯების ცდის წინააღმდეგ. ჩვენ ანტიპარტიულად მიგვაჩნია ყოველივე ცდა, რომლის მიზანია ახალი სახით ლენინიზმის რევიზიის განახლება და გალაშქრება ჩვენი პარტიის ბელადების—ილიჩის მიმდევრების და მისი საქმის გამგრძელებლების წინააღმდეგ. ტროცკი ცდილობს კვლავ საფრთხეში ჩააგდოს ჩვენი პარტიის მთლიანობა. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამას ის ვერ შეძლებს. ყოველგვარ თავდასხმას, რომელიც მიმართულია ლენინის ძველი გვარდიის წინააღმდეგ სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს ახალგაზრდა გვარდია, რომელიც აღიზარდა ლენინის დროშის ქვეშ.

ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის 5 წლის თავზე ჩვენ ვაცხადებთ, რომ რუსეთის და მსოფლიო კომკავშირი ყველა მომავალ ბრძოლებში ლენინიზმისათვის იქნება [illegible] ბოლშევიკური ციხე-სიმაგრე".

პარტიული ცხოვრება

სოფლად მუშაობის შესახებ

რუსეთის კომპარტიის ცეკას წერილი

მოსკოვი, 24 ნოემბ. რუსეთის კომპარტიის ცეკამ მიმართა ყველა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს წერილით, რომელიც შეეხება იმ თათბირების მუშაობის მოწყობას, სადაც ირჩევა სოფლათ ჩვენი მოქმედების საკითხები.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ამ ჟამად სოფლად მუშაობის საკითხს ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს ჩვენი პარტიის საქმიანობაში. სოფლად მუშაობაში პარტიის ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად, რომელიც ხშირად ვერ არის დაყენებული სათანადოთ, საჭიროა სისტემატიური მუშაობა იმ კომისიების, რომლებიც არსებობენ ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებთან სოფლათ მუშაობის საქმის მოსაწესრიგებლად.

პირველყოვლისა გაძლიერებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის ეკონომიური განვითარების პროცესებს. ამ დარგში რ. კ. პ. ცეკა წინადადებას იძლევა დამუშავებული იქნეს შემდეგი საკითხები: სასოფლო-სამეურნეო კრედიტი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, მიწათმოწყობა, საბჭოთა მეურნეობანი. ამ საკითხების დამუშავებასთან ერთად სათანადო ყურადღება უნდა ექცეოდეს ორგანიზაციულ-პოლიტიკურ ამოცანებს და პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობას სოფლად. აქ პირველ ყოვლისა ისმება საკითხები: პირველი საფეხურის საბჭოთა აპარატი და სათემო ბიუჯეტი, საბჭოების გამოცოცხლების საერთო ამოცანასთან დაკავშირებით, პროფკავშირები და მათი მუშაობა სოფლად, პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა სოფლად, საგლეხო გაზეთები, კულტურული შეფობის საკითხები, ზომების შემუშავება მაგარი სასმელების ფარულად გამოხდის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ სოფლად მუშაობის თათბირმა გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც ევალება სოფლის დათვალიერების და შესწავლის საკითხების დამუშავება და წინადადებას იძლევა, რომ დასამუშავებელ საკითხების რაოდენობა სავსებით შეთანხმებული უნდა იქნეს არსებულ ძალებთან და შესაძლებლობასთან.

ფოთის პარტკომი აწარმოებს შრომის ნაყოფიერების გაზრდის კამპანიას

ფოთის პარტიული კომიტეტი ატარებს ფართე კამპანიას შრომის ნაყოფიერების გაზრდის მნიშვნელობის შესახებ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მეურნეობაში. ამისათვის მან გამოუშვა სათანადო თეზისები და კეთდება მოხსენებები სხვა და სხვა წარმოებებში.

14 ნოემბერს პარტკომის მდივანმა გააკეთა მოხსენება ზემოაღნიშნულ საკითხზე შესახებ მეზღვაურთა კავშირის კომუჯრედის ღია კრებაზე. მომხსენებელი ვრცლად შეეხო შრომის ნაყოფიერების გაზრდის მნიშვნელობას ჩვენს მეურნეობაში და ხელფასს. თუ ავიღებთ ომამდი არსებულ ციფრებს, გამოდის, რომ ჩვენ ვაკეთებთ დღეს საშუალოთ 35 პროცენტამდე იმისას, რაც კეთდებოდა მაშინ და ხელფასს კი ვღებულობთ 6 პროცენტამდე.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში გამოირკვა, რომ ეს საკითხი მომწიფებულია. გამოირკვა ერთობ საინტერესო ცნობებიც ნავთსადგურის სამმართველოს წარმოებაში.

თუ რომ ავიღებთ 1913 წლის შრომის ნაყოფიერებას და ჩავთვლით მას ას ერთეულათ, ეხლა ის უდრის 50 ერთეულს. თუ ავიღებთ ხელფასს იმავე ას ერთეულის ანგარიშით, ეხლა ის უდრის 70 ერთეულს.

შრომის ინტენსივობა მუშების უდრის 50 პროც 1913 წელთან შედარებით.

კრებაზედ დიდი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია ნარდათ მუშაობის საკითხმა. ირკვევა, რომ როდესაც მუშას ეძლევა ნარდი სამუშევარი, რვა საათის განმავლობაში იკეთებს 100 პროც. მეტს, ვიდრე მაშინ, როდესაც ის ღებულობს დღიურ ხელფასს.

რა არის უმთავრესი მიზეზები, რომ შრომის ნაყოფიერება დგას ასე დაბალ საფეხურზე?

პირველი—ტეხნიკა. მანქანები დაძველდა, დაიმტვრა, მათ რემონტი სჭირდება და აგრეთვე ისინი არიან ძველი კონსტრუქციის. საჭიროა შეძლებისდაგვარათ შეძენილ იქნეს ახალი მანქანები და შეკეთებული ძველები.

მეორე—მუშების კვალიფიკაცია. საერთოდ ირკვევა, რომ მაღალი და საშუალო კვალიფიკაციის მუშები ნავთსადგურის სახელოსნოში ძლიერ ცოტაა. როდესაც მუშამ არ იცის კარგათ ის საქმე, რომელიც მას აბარია, შრომის ნაყოფიერება იქ დაბალი იქნება. საჭიროა მუშების კვალიფიკაციის აწევა.

მესამე—მასალები. სახელოსნოებს თავის დროზე, საჭიროების მიხედვით, არ აქვთ საკმარისი მასალა და ამის უხდება უსაქმოთ გაჩერება, რითაც შრომის ნაყოფიერება ეცემა. საჭიროა ადმინისტრაციამ მიიღოს ზომები, რომ მასალები სახელოსნოებს ეძლეოდეს თავის დროზე.

მეოთხე—მუშების შეგნება. ირკვევა, რომ ნაწილი მუშებისა რვა საათის მაგიერ მუშაობენ საშუალოდ 5 საათს, დანარჩენ დროს კი ანდომებენ თუთუნის მოწევას, ერთი მეორესთან ბაასს და სხვა ასეთებს, აქ კი სერიოზული მუშაობა მართებს წყლოსანთა კავშირს, რომ მან შეაგნებინოს მუშებს შრომის ნაყოფიერების გაზრდის მნიშვნელობა, რისთვისაც საჭიროა მუშამ სავსებით გამოიყენოს რვა საათის სამუშაო დღე.

ასე რომ, ამჟამათ შექმნილია მეტად უნუგეშო მდგომარეობა. თუ ეს ასე გაგრძელდა, თავის თავად ცხადია, ჩვენ ვერ ავწევთ შრომის ნაყოფიერებას და ვერც შევქმნით ზედმეტ ღირებულებას, რაც აუცილებელი საჭიროა ჩვენი ტეხნიკის განვითარებისათვის.

საჭიროა ნავთსადგურის სამმართველოს და წყლოსანთა კავშირის ერთობლივი მუშაობა, რომ გამოსწორებულ იქნას ყველა ეს დეფექტები.

აი მაშინ ჩვენ შევძლებთ მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების გადიდებას და წარმოების გაუმჯობესებას, რაიც მთავარი პირობაა ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებისათვის.

პ. მ.

საფეიქრო მრეწველობის პერსპექტივები

მოსკოვი. 25 ნოემბ. ფეიქართა ყრილობის საღამოს სხდომაზე საფეიქრო სინდიკატის თავმჯდომარემ ამხ. კილევიცმა თავის მოხსენებაში საფეიქრო წარმოების განვითარებისა და პერსპექტივების შესახებ განაცხადა, რომ საფეიქრო წარმოების საერთო მდგომარეობა მომავალი წლისთვის შესამჩნევათ გაუმჯობესდა. [illegible] წარმოების შესამჩნევათ ზრდისა, საფეიქრო წარმოების პროდუქტები სულ ერთიან საღდება. ზოგიერთი ნაწარმოებისა კი პირდაპირ სიმშილია, ისე დიდი მოთხოვნილება არის. ამის დაკმაყოფილება მოხერხდება მხოლოდ წარმოების კიდევ უფრო მეტის განვითარებით.

საერთოდ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საფეიქრო წარმოება გაიზარდა ერთი ორათ. ასეთი განვითარება უჩვეულოა თითქმის საზღვარ-გარეთისთვისაც.

1923—1924 წლებში გამომუშავებულია „ხამი"—890 მილ. მეტრი. 1924—1925 წლისთვის განზრახულია დამუშავება 1.300.000.000 მეტრისა. მატყლეულობის წარმოება გაიზარდა 23 პროცენტით. ტილოსი—10 პროცენტით.

რაც შეეხება იმას, რომ საფეიქრო წარმოება უზრუნველყოფილ იყვეს ნედლეულობით, ამ მოსაზრებით უფრო და უფრო მატულობს სელის თესვა. 1920—21 წელს დათესილი იყო—65,000 დესიატინა. წრეულს კი იგი უდრის 400,000 დესიატინას. ეს შეადგენს ომის წინა ნათესობის 50 პროცენტს. გამომუშავებულ გეგმის მიხედულობით 1924—25 წლისთვის განზრახულია 510.000 დესიატინის დათესვა. 1925—26 წელს—640.000 დესიატინისა, 1926—27 წელს—780.000 დესიატინის.

ჩვენის ანგარიშით შინაური სელი უნდა მოვიღოთ ამ წელიწადს 6 მილიონი ფუთი, რაც აღემატება ნავარაუდევ რაოდენობას. საზღვარ-გარეთიდან კი მივიღებთ 4 ნახევ. მილიონს. საერთოდ ჩვენი საფეიქრო წარმოება უზრუნველყოფილია ნედლეულობით 1926 წლის პირველ იანვრამდის.

სელის ოპერაციებისთვის საზღვარგარეთის ფირმებმა ჩვენ შემოგვთავაზეს 16 მილიონის კრედიტი ერთობ შეღავათიან პირობებში. ამ წელიწადს ჩვენ საფეიქრო წარმოების მიერ გამოყენებული იქნება საზღვარგარეთის სელი მხოლოდ 40 პროცენტამდე, ნაცვლად 60-ისა—წარსულ წელს. საფეიქრო წარმოება არ განიცდის არავითარ კრიზისს სათბობი მასალის მხრივ.

შემდეგისათვის, რომ უფრო გაიაფდეს ნაწარმოები, ამისთვის საჭიროა ყველა დარგის წარმოების განვითარება, ფაბრიკების გადასვლა მასსიურ წარმოებაზე და შრომის ნაყოფიერების გაზრდა".

ამის შემდეგ ყრილობა ისმენს მოხსენებას მთავარ საფეიქრო კომიტეტის მოხსენების შესახებ.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ახალგაზრდა კორესპონდენტების კონფერენცია

მეორე სხდომა

ახკორთა სრულიად საქართველოს მეორე სხდომა გაიხსნა მე-4 რაიონის მბეჭდავთა კლუბში.

ახკორთა ქსელის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ძიგრაშვილი.

მოგვყავს კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლიუცია ამ საკითხზე.

რეზოლიუცია ახკორთა ქსელის შესახებ

ახკორთა სრულიად საქართველოს პირველმა კონფერენციამ, მოისმინა რა ამხ. ძიგრაშვილის მოხსენება „ახკორთა ორგანიზაციის ქსელის" შესახებ, საჭიროთ სთვლის ხაზგასმით აღნიშნოს—ახკორთა მოძრაობის ძირითადი ელემენტის, პირველი ჩანასახი—„წრის" გამრავლების და გაჯანსაღების აუცილებლობა.

კონფერენცია ამ პირველი ჩანასახის გამრავლებისა და გაჯანსაღებისათვის ადგენს:

1. ამ მოკლე ხანში ყველა სამაზრო და რაიონულ ცენტრებში დაარსებული უნდა იქნეს ახკორთა წრეები.
2. მის გარშემო უნდა შემოიკრიბოთ როგორც ცენტრალური გაზეთების ახკორები, ისე ადგილობრივი ორგანების, კედლის გაზეთების და ბეჭდვითი სიტყვის ყველა ახკორები.
3. ახკორთა წრემ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს მასის გამოცდილების შეკრებას. ჩვენ როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივ პრესის ჯანსაღ კრიტიკას, კოლექტიური და ინდივიდუალური ხელის მოწერის შესაფერ დონეზე დაყენებას და კედლის გაზეთების ხელმძღვანელობას.
4. ახკორთა წრეები, მათი სისტემატიური კრებების მოწყობით, ანვითარებს ახკორის შეგნებას გაზეთზე და ამით ზრდის მომავალ მუშკორს, გლეხკორს და საბჭოთა ჟურნალისტს.
5. წრის ბიუროები აწარმოებენ და მართავენ მთელი წრის მუშაობას.
6. ამ ძირითადი ამოცანების შესრულების მიზნით ჩვენი კავშირის ხელმძღვანელმა ორგანოებმა სერიოზულათ უნდა მოკიდონ ხელი ახკორთა წრეების ჩამოყალიბებას და მათ ხელმძღვანელობას.

სამაზრო ბიუროების ჩამოყალიბებას კონფერენცია ჯერ-ჯერობით არ სცნობს აუცილებელ საჭიროებათ, იმ აზრით, რომ მის როლს პირველ ხანებში შეასრულებენ სამაზრო სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებები. წრეების გამოკვლევის მიხედვით შემდეგში საჭირო იქნება სამაზრო ბიუროების ჩამოყალიბებაც.

საქ. ახკორთა პირველი კონფერენცია, ავალებს რა სრულიად საქართველოს ბიუროს საერთო ხელმძღვანელობას, მიუთითებს მას შემდეგ მორიგ ამოცანებზე: 1. საჭიროა მისი ხელმძღვანელობა ადგილების მიმართ და ამით ახკორთა მოძრაობის ორგანიზაციული ჩამოყალიბება, 2. საჭიროა ცოცხალი კავშირის დამყარება მაზრებთან და რაიონულ ბიუროებთან. 3. ამით სრ. საქართველოს ბიურომ უნდა მოამზადოს ნიადაგი ახკორთა სამაზრო კონფერენციისათვის და სამაზრო ბიუროების ჩამოყალიბებისათვის. 4. ბიუროს ევალება ახკორთა წრეების მუშაობის ფორმების და მეთოდების გამომუშავება.

კონფერენცია ადგენს ახკორთა კონფერენციების ყოველ 6 თვეში მოწვევის საჭიროებას.

დასასრულს კონფერენცია მოუწოდებს ადგილებზე მომუშავე ყველა ახკორებს გამოიჩინონ მეტი ინიციატივა და ჩაებან ახკორთა წრეების მოწყობა-განვითარების საქმეში—სამაზრო და რაიონულ კომიტეტებთან ერთად.

კონფერენცია ამ დასახულ ამოცანათა განხორციელებაში უდიდეს მნიშვნელობას აძლევს უკვე არსებულ ახკორთა წრეების ენერგიულ მუშაობას.

ბეჭდვითი ბიურო და მისი ამოცანები

ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ. ბეჭდვითი ბიუროს და მისი მომავალი ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. დ. გვახავა. ის თავის მოხსენებაში ეხება ბოლშევიკური პრესის შექმნისა და განვითარების ისტორიას საქართველოში და ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს კომ. ახალგაზრდობის პრესის განვითარებასაც. შემდეგ მომხსენებელი გადადის ახალგაზრდა პრესის დღევანდელ მდგომარეობაზე და არკვევს მის მომავალ ამოცანებს. მომხსენებელს აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია კომკავშირის გაზეთების „სპარტაკი"-სა და „იუნომსკაია პრავდა"-ს ტირაჟის გადიდება; ის მოუწოდებს დელეგატებს მოახმარონ თავიანთი ენერგია და უნარი ამ საქმეს.

შემდეგ არჩეულ იქნა საქართველოს ახალგაზრდა კორესპონდენტთა სრულიად საქართველოს ბიურო, რომელშიაც შევიდენ შემდეგი ამხანაგები: კეკელია ამბერკი, ძიგრაშვილი, გვახავა, კუპრაძე, სევერიანი, ვარლამოვი, პატარაია, ფრუიძე, ბოკერია, მხეიძე, გუბანოვი; კანდიდატები: პუჩკონი და ნადარეიშვილი.

დასასრულს კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მოსკოვის ახკორებს და გაზ. „პრავდა"-ს მუშკორებს, რის შემდეგ კონფერენცია იხურება.

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის 5 წლის თავის აღსანიშნავად

24 ნოემბერს ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის 5 წლის თავის აღსანიშნავად სახელმწიფო ოპერის შენობაში გაიმართა საზეიმო სხდომა, სადაც თავი მოიყარეს ლენინის, არსენალის და ქალაქის რაიონების კომკავშირის წევრებმა.

კრება გახსნა ამხ. მეთონიძემ. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. მ. ცხაკაია.

საზეიმო სხდომა არაჩვეულებრივი აღტაცებით და მქუხარე ტაშის ცემით შეხვდა მხცოვან ბელადს და საქართველოს ახკომკავშირის პირველ ხელმძღვანელს ამხ. მიხას.

ამხ. მიხას მისალმების შემდეგ მოკლე სიტყვით გამოვიდა საქ. ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის ერთი ორგანიზატორთაგანი, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: „უწინ აქ თეატრის ერთ-ერთ ლოჟაში დაეტოვა მთელი ჩვენი ორგანიზაცია. მხოლოდ დღეს კი ჩვენ აქ ვხედავთ ასეულ და ათასეულ შრომელ ახალგაზრდობისას, რომლებიც მტკიცეთ დგანან რევოლიუციის სადარაჯოზედ და ითვლებიან კომუნიზმის იდეების საუკეთესო გამტარებლად"-ო.

ს. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. კახიანი, რის შემდეგ დადგმული იქნა წარმოდგენა.

⁂

ამავე დღის რუსთაველის თეატრიც სავსე ჩვენი რევოლიუციონური მშრომელი ახალგაზრდობით.

ამხ. ვანი სტურუა აკეთებს მოხსენებას „კიმ"-ის შესახებ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობასთან, მომავალ გადამწყვეტ ბრძოლებთან და ამ ბრძოლებში მსოფლიო ახალგაზრდა პროლეტარების როლთან დაკავშირებით.

მოხსენების შემდეგ ისმის დაუბოლოებელი ტაშის ცემა.

უნგრეთის კომკავშირის წევრის ამხ. ვეხა-გოლდის მისასალმებელი სიტყვის დამთავრებისას, რომელმაც თავისი სიტყვა დაამთავრა „გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას"-ით, კვლავ იგრიალა განუწყვეტელი ტაშის ცემამ, რის შემდეგ საზეიმო სხდომა დაიხურა „ინტერნაციონალის" მღერით.

ინგლისის ტრედ-უნიონების დელეგაცია ხარკოვში

ხარკოვი. 25 ნოემბერი. ჩამოვიდა ტრედ-იუნიონების დელეგაციის მეორე ნაწილი შემდეგი შემადგენლობით: ფრედ ბრამლეი, ჯონ პერსერ, ბრომლეი და ბენ ტილლერი.

ხარკოვიდან დელეგაცია გაემგზავრება როსტოვში, იქიდან კი კავკასიისაკენ. გზაზე შეუერთდებიან პერსელს, ფიმელს და სმიტს.

უკრაინის ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელს დელეგაციის მდივანმა ბრამლიმ განუცხადა: დელეგაციის უკრაინაში გამგზავრების მიზანი არის, რომ ინგლისელ მუშების ძმური სალამი გადასცეს უკრაინის მუშათა კლასს.

ბოლოს მან განაცხადა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინის მუშები მოსკოვის მუშებზე ნაკლებ არ არიან დაინტერესებული შრომის ნაყოფიერების გაზრდაში, ურომლისოდაც ყოვლად შეუძლებელია მუშათა კლასის განთავისუფლება. მე მტკიცეთ მჯერა, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი მთელ ქვეყნიერებას დაუმტკიცებს, რომ იმათ შეუძლიათ კაპიტალისტების დაუხმარებლათ და უკონტროლოთ გადასწყვიტონ წარმოების უმნიშვნელოვანესი საკითხებიო".

პერსელი, სმიტი და ფიმელი დონბასში.

არტემოვსკი. 25 ნოემბ. ჩამოვიდნენ ინგლისის დელეგაციის წევრები პერსელი, სმიტი და ფიმელი. კვირას, 23 ნოემბერს იგინი გაემგზავრენ დონის ბასსეინის ქვანახშირის რაიონში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

ბამბის თესლი თურქესტანიდან

ერევანი. 24 ნოემბ. ამიერ-კავკასიის ბამბის კომიტეტის განყოფილებამ სომხეთში გამოიწერა თურქესტანიდან 6.000 ფუთი მაღალი ხარისხის ბამბის თესლი.

ინვალიდების დასახმარებლად

ერევანი. 24 ნოემბერი. გლეხკომების ცენტრალური კომიტეტი სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან ერთად მართავს ლატარიას ინვალიდების ფონდის გასაძლიერებლად, მოგებათა საერთო ჯამი უდრის—50.000 მან.

მეაბრეშუმეობის სადგურის გაფართოება.

ერევანი. 24 ნოემბ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა დაადგინა გააფართოვოს ერევნის მეაბრეშუმეობის სადგური იმ ვარაუდით, რათა 1925 წ. აბრეშუმის თესლის წარმოება დაიყვანოს 50.000 კოლოფამდე.

ცხვრის ჯიშის გაუმჯობესება.

ერევანი. 24 ნოემბ. ცხვრის ჯიშის გაუმჯობესების მიზნით მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა მოაწყო ალაგეზში მოსაშენებელი პუნქტი.

გლეხკომების ხელახალი არჩევნები გადაიდო.

ერევანი. 24 ნოემ. სასოფლო საბჭოების არჩევნების გადადების გამო გადადებული იქნა გლეხკომების არჩევნები.

საყურადღებო კვირეული

ამ თვის ოცდა სამიდან ოცდა ათამდე ჩვენი რესპუბლიკაში გამოცხადებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კვირეულათ.

ამ კვირის განმავლობაში მთელი ყურადღება ჩვენი პასუხისმგებელი ამხანაგების ადგილობრივ მიმართული უნდა იქნეს აღნიშნული გადასახადისადმი.

ამ კვირის განმავლობაში მთლათ უნდა ამოძრავდენ ჩვენი რესპუბლიკის ყველა დაწესებულებანი და ორგანიზაციები,—სამაზრო აღმასკომები, უკომები, საგადასახადო კომისიები, ფინინსპექტურა, გლეხკომები, პროფკავშირები, კომკავშირის უჯრედები, აგრონომები, მასწავლებლობა და სხვა. მათ უნდა დაუთმონ ამ მართლაც დიად საქმეს, მაქსიმუმი ენერგიისა და თავისი გავლენისა გლეხთა ფართო მასებში.

30 ნოემბრამდე ყოველ მიზეზ გარეშე უნდა აიკრიფოს აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ორი მესამედი ნაწილი გადასახადისა, ხოლო დასავლეთ საქართველოში კი ერთი მესამედი.

ამას მოითხოვს ჩვენი რესპუბლიკის საბიუჯეტო მოსაზრებანი და მისი შეუსრულებლობა აუცილებლივ გამოიწვევს ცალკე რაიონების მიმდინარე მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობას.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ჩვენში არაა დიდი და მისი დაკლება კიდევ ყოვლათ შეუძლებელია: რაც გაწერილია ის უნდა აიკრიფოს მთლათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევსძლებთ გავაძლიეროთ მუშაობა ფართო ხალხის მასსების საკეთილდღეოთ.

მართალია, გადასახადის გადახდა რაც უფრო მცირე არ უნდა იყოს იგი, ბევრს ეზარება, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ასეთებს უნდა მოუახლოვდეთ, ჩავაგონოთ სადასახადის გაღების აუცილებლობა ისევ მისი ინტერესებისათვის, უნდა დავანახოთ რომ მისი მთავრობა—მუშურ-გლეხური ხელისუფლება ამნაირათ აკრეფილ ფულებს ისევ გლეხობაზე ხარჯავს,—ხსნის სკოლებს, აწყობს საექიმო და აგრონომიული დახმარებას ხსნის საკრედიტო კოოპერატივებს, აკეთებს ხიდებს და გზებს, სახალხო თეატრებს, ქმნის მისთვის მშვიდობიანი ცხოვრების და მეურნეობის პირობებს, იცავს მის ოჯახს, როგორც შინაური, ისე გარეშე მტერისაგან და სხვა.

აი, როდესაც გლეხს ყოველივე ეს ნათლათ აეხსნება—ის არასოდეს არ დაიხევს უკან და შეეცდება პირნათლათ იხადოს საგადასახადო მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე.

[illegible] იშვიათათ, მაგრამ მაინც მოიპოვებიან იმისთანა პირებიც, რომელთაც შეუძლიათ გადასახადის გადახდა, მარა ხმარობენ ყოველნაირ ზომებს, რომ არ გადაიხადონ იგი და მუქთათ ისარგებლონ სახელმწიფოს სამსახურით—მაგრამ თუ ულარიბეს გლეხობას უნდა აღმოეჩინოს მაქსიმუმი შეღავათებისა—ასეთ ურჩ არაგადამხდელთ წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული სასტიკი და ამასთანავე სწრაფი ზომები, რაც გარკვეულათ განსაზღვრულია ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის მე-78, 79, 80, 83 და 84 მუხლებში.

ასეთი პირნი უნდა მიეწერონ საბჭოთა სახელმწიფოსადმი მტრულათ განწყობილ ჯგუფს, რომელთაც განზრახვა აქვთ ჩაშალონ სამეურნეო გადასახადის კამპანია. მათი წინააღმდეგ უეჭველია მიღებულ უნდა იქნეს სასტიკი ზომები სასჯელის, რათა სამუდამოთ აღმოფხვრილი იქნეს ყოველგვარი ცდა სახელმწიფოებრივი ვალების ჩაშლისა, ვისგანანაც ეს არ უნდა წარმოსდგებოდეს.

თავის თავად ცხადია, რომ ასეთივე ზომები უნდა იქნეს მიღებული ჩვენი ორგანოების და პასუხისმგებელი ამხანაგების წინააღმდეგაც, რომელნიც ცენტრის დავალებებს და განკარგულებებს ამ გადასახადის დარგში არ შეასრულებენ მთლად და შეეცდებიან მისი გაკრიტიკებას ამოაფარონ თავის უმოქმედობა.

საქართველო ჩამორჩა ამ გადასახადის დარგში საბჭოთა კავშირის დანარჩენ რაიონებს და ჩვენ ყველა ერთსულოვნათ უნდა შევეცადოთ, რათა ამ დარგშიც დავეწიოთ და გვერდში ამოუდგეთ ჩვენ მოკავშირე რესპუბლიკებს.

უპატიო.

ქრონიკა

— **დემონსტრაცია თბილისში.** კვირას, 30 ნოემბერს „რემედას"-ის თბილისის განყოფილება აწყობს საპროტესტო მიტინგებს ესტონეთის ბურჟუაზიული მთავრობის მიერ ამხ. იანტომპის დახვრეტისა და 150 კომუნისტის გასამართლების წინააღმდეგ.

— **თბილისის მაზრის თემებათ დაყოფა.** ქ. აღმასკომმა დაადგინა მოახდინოს თბილისის მაზრის თემებათ დაყოფა წარმოდგენილ პროექტის მიხედვით.

— **არსენალის ელსადგური.** ქ. აღმასკომმა კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. ამხ. სუხიშვილი, ასრიევი და ბოჭორიშვილი, დაავალა შეიმუშაოს გეგმა არსენალის ელსადგურის სინათლის ქალაქისათვის გამოყენების შესახებ.

— **ბაღი მონადირეთა კავშირს.** ქ. აღმასკომმა დაადგინა მონადირეთა კავშირს გადასცეს კრწანისის ან ორთაჭალის მიდამოებში მდებარე ერთ-ერთი ბაღი.

— **ჩაის კულტურის გასაუმჯობესებლად.** სასოფლო - სამეურნეო ბანკმა ჩაქვის ჩაის კულტურის გაფართოების და გაუმჯობესების მიზნით, ჩაქვის ჩაის მმართველობას მისცა სესხად 30,000 მან.

— **თამბაქოს გატანა.** დეკემბრის პირველ რიცხვებში ინგლისში გატანილი იქნება 25.000 ფ. თამბაქო. აფხაზეთში დამზადებული.

— **დახმარება რევოლიუციონერის ოჯახს.** სოციალურ დაზღვევის სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის წინაშე, რათა 1920 წ. გარდაცვლილ რევოლიუციონერის ნიკო ჩოდრიშვილის (სიღნაღი) ოჯახს დაენიშნოს მუდმივი პენსია.

— **თივის შეძენა.** სახ. მამულების კავშირმა ცეკავშირიდან შეიძინა 12 ვაგონი დაწნეხილი თივა.

— **ღვინის მიღება.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა კარდანახის სახ. მამულიდან მიიღო 7,000 ფუთი ღვინო, წელს მოსული.

— **ტყის გამოკვლევა.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილების გეგმით 24—25 საანგარიშო წელში თბილისის მაზრაში გამოკვლეული იქნება 70 ათასი დესეტინა ტყე.

— **საქართველოს დაზღვევის სამმართველომ** ბათომის დამზღვევ კასას აპატია მასზე დარჩენილი 19,476 მან.

— **ქ. აღმასკომის** განათლების განყოფილებას განზრახვა აქვს მიმდინარე წელს მოაწყოს ბავშვების ნამუშევართა მუზეუმი.

— **კბილის ექიმთა აღრიცხვა.** მედიკო-სანიტარულ მუშაკთა კავშირი 26-დან 29 ნოემბრამდე აღრიცხავს თბილისში მყოფ კბილის ექიმებს.

— **დახმარება უმუშევრებს.** უმუშევართა დამხმარე განყოფილება 26 ნოემბერს გასცემს ნოემბრის დახმარებას გემო-კვების, სახ. კვების, ქიმიკოსების და ახალგაზრდათა სექციების უმუშევრებზე.

— **საზღვარ-გარეთ მივლინება.** ქ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა საფრანგეთში და გერმანიაში 1 წლით მიავლინოს ექიმი აბაკელია ჭლექის წინააღმდეგ საბრძოლველათ ახალ საშუალებათა შესასწავლათ.

— **ლენინგრადის მუშების სასარგებლოთ.** აბანოს მუშებმა გადასწყვიტეს იმუშაონ ერთ-ერთი კვირა დღეს.

— **კანალიზაცია სახლებში.** ტფ. კომუნალურ მეურნეობამ შეიმუშავა ახალი გეგმა სახლებში კანალიზაციის გაყვანის შესახებ

— ქ. კომუნალურ განყოფილებამ გადასწყვიტა გამოსცეს ქართულ და რუსულ ენაზე ე. ჯახდიერის წიგნი: „საბინაო პირობები საქართველოში".

— **გონებრივ მომუშავეთათვის** სამუშაოს მიცემის შესახებ უმუშევრობის წინააღმდეგ მოწვეულმა თათბირმა აღძრა შუამდგომლობა საქ. გეგმათა სამმართველოს წინაშე.

— **ჯანსახკომმა** გადასწყვიტა მოახდინოს წარმოება-დაწესებულებებში მომუშავეთა კბილების ჯანმრთელობის შემოწმება.

— **პურის შემოზიდვა.** ა.-კ. უმაღ. ეკონომიურმა საბჭომ მიანდო ა.-კ. შინაგან საქ. კომისარიატს შეიმუშაოს და წარმოადგინოს დადგენილების გეგმა ა.-კ. პურის შემოზიდვის მოწესრიგების შესახებ.

— ა.-კ. უმაღ. ეკ. საბჭომ გადასწყვიტა შემოიღოს მონოპოლია ა.-კ. სპირტის გაწმენდაზე.

— **აბაშის ელსადგურისათვის** ა.-კ. უმაღ. ეკ. საბჭომ გადასდო 3.0000 მ.

— **გლეხთა სასახლე.** ა.-კ. უმაღ. ეკ. საბჭომ ცხინვალში გლეხთა სასახლის ასაგებათ გადასდო 75,000 მან.

— **საქონლის დაზღვევა.** ა.-კ. უმ. ეკ. საბჭომ შესაძლებლათ სცნო ა.-კავკასიაში საქონლის სავალდებულო დაზღვევის შესახებ.

— **უმუშევრობასთან ბრძოლის** მიზნით მოწვეულ თათბირმა გადასწყვიტა პასუხისმგებელ არტელთა მუშაობის შესახებ სრული მასალების შეგროვება დაავალოს შრომის ბირჟის განყოფილებას.

— **მასიური ხასიათის სამუშაოები.** უმუშევრობასთან მებრძოლ თათბირის დადგენილებით წინადადება მიეცა სამაზრო შრომის განყოფილებებს ადგილობრივი აღმასკომების დახმარებით მოაწყონ უმუშევართათვის მასიური ხასიათის სამუშაოები.

— **დისპანსერის გასახსნელათ.** ქ აღმასკომმა დაადგინა განთავისუფლებული იქნას მიხეილის ქ. მდებარე სახლი დისპანსერის საავადმყოფოს გასახსნელათ. ხოლო აღნიშნულ სახლში მოთავსებული საბინაო ამხანაგობა გადაყვანილი იქნას სხვა ბინაზე.

— **შრ. სახ. კომისარიატმა** ამხ ქართველიშვილს დაავალა შეადგინოს დებულება საშუამავლო ბიუროების კომიტეტებისათვის და შრომის კოლექტივთათვის იურიდიული უფლებების მინიჭების შესახებ.

შემთხვევანი

— **ხრამში გადავარდნა.** 23 ნოემბერს, ღამით, კუკიის შესახვევში, მომავალი რკინის გზის პენსიონერი ცალფეხა გიორგი ლოლობერიძე გადავარდა ღელეში, რომლის სიმაღლე არის 2 საჟენი, და დაიმსხვრა. აღნიშნული ლოლობერიძე უკვე გარდაიცვალა.

— **სტუმარის გაქურდვა.** 24 ნოემბერს მოქ. ეფროსინე მნაცაკანიანს მოქ. მერი დინოვასთან (ბეუთოვის ქ. № 11) სტუმრობის დროს მოპარეს ოქროს საათი ღირებული 10 მ. ეჭვით შეიპყრეს მერი დინოვისა და ნიკოლოზ სარქისოვი.

— **სახლის დანგრევა.** 24 ნოემბერს, დილით სურფსაქის ქ. № 50 დაინგრა სამ-სართულიანი სახლი. მსხვერპლი არ არის. ზარალი დიდია.

— **ქურდობა.** 24 ნოემბერს, დღით ლორის-მელიქოვის ქ. № 11 გაქურდეს ომში ღასახიჩრებულთა კავშირის საწყობი. ქურდი ივანე სუბნიევი შეიპყრეს.

— 24 ნოემბერს დღით მეჩნიკოვის ქუჩა № 5, გაქურდეს მოქ. ბარბარე მიქაძის სარდაფი. წაღებულია 300 მ. ნივთები.

— ამავე დღეს, კამოს ქ. № 51 გაქურდეს იაკობ უსატოვის ბინა, ქურდი მიხეილ ნავლიშვილი შეიპყრეს ნაპარავი ნივთებით.

— ამავე დღეს, ალექსეევის ქ. № 82 გაქურდეს მოქ. ელენე მაძღარაშვილის ბინა.

— ამავე დღეს, კამოს ქ. № 54 გაქურდეს გერმანელების საავადმყოფოში მცხოვრებ ამალია კრაუსის ოთახი. ქურდი ბულბა გორი-ოღლი შეიპყრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები პროვინციიდან

ოქტომბრის რევოლუციის წლის თავის დაკავშირება დღეობებთან

რაც უნდა არ მოგვწონდეს, რაც უნდა ბევრი უშალოთ სოფლებში დღეობები, მაინც ჩვენ გლეხ-კაცს ჯერ-ჯერობით ამას ვერ მოვაშლევინებთ.

მართალია ამ დღეობებში აუარებელი ხარჯი მოსდით, მართალია, რომ რაც ამ ერთ დღეს დაჰხარჯავენ, სკოლის მთელ შენობის აგებას ეყოფა, მაგრამ ისიც მართალია, რომ ეს დღეობები ერთად-ერთი გასართობია გლეხობისთვის. კამათის დროს ბევრჯერ უპასუხნიათ ჩემთვის სოფლელთ—თქვენ ქალაქში მცხოვრებნი რაღ ირთობთ თავს, დაჰდიხართ თეატრებში და სხვაგან და ჩვენ-კი ყველა ამაებს მოკლებულნი ვართ, მთელი წლის წლობამდე ვმუშაობთ, წელებზე ფეხს ვიდგამთ და რათ გვიშლით წელიწადში ერთხელ დრო გავატაროთ, ნათესავ-ნაცნობები დავპატიჟოთ და ვისიამოვნოთო.

შეიძლება ამაში არ დავეთანხმოთ ჩვენ კახელ გლეხ-კაცს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ დღეობებისათვის თავის დანებებაზე ის არ თანხმდება.

ამავე დროს გლეხობა დიდ მნიშვნელობას აძლევს ოქტომბრის რევოლუციას.

ოქტომბრის რევოლუციის წლის თავი მას ჰსურს ისეთ რასმეს დაუკავშიროს, რომელიც არ ამოიშლება მისი გულიდან, სახელდობრ „დღეობებს“.

სკოლაც რომ დავაარსოთ ან თეატრი ავაშენოთ ოქტომბრის რევოლუციის სახელობაზე სახელი სახელოთ დარჩება და მე არც-კი მეხსომება, რადგანაც სკოლა სკოლად დარჩება და თეატრი-თეატრადაო, —მეუბნებოდა ერთი ხანში შესული გლეხი, დღეობას—კი ვერავინ მოჰშლის და აი ჩვენ გვინდა რევოლუციის 7 წლის თავი ამ დღეობებით აღვნიშნოთო.

სოფ. აკურა და ვანთა ორთავე სოფელში 700—800 კომლი ითვლება, დღეობას იხდიდა გაზაფხულზე დავითობას, ეხლა-კი ამ ორივე სოფელმა დაადგინა: რომ დღეობა დაუკავშირონ გლეხების განთავისუფლების და ოქტომბრის რევოლუციის წლის თავს და ამ წლიდან დაიწყეს 7 ნოემბერს დღეობების გადახდა.

ამ ორივე სოფლის მცხოვრებნი ერთი კვირის წინედ დადიოდენ სხვა სოფლებში ნათესავ-მოყვრების დასაპატიჟებლათ და თან უხსნიდნენ 7 ნოემბრის მნიშვნელობას, რისთვისაც გადმოიტანეს დღეობა.

შეიძლება ზოგმა მკითხველმა არ გაიზიაროს ამ ორი სოფლის მცხოვრებთა შეხედულება. მაგრამ ამათ თავის ნების ყოფა ასე გამოხატეს, რაც ასე თუ ისე აღსანიშნავია კახელ გლეხის ცხოვრებაში.

ვან.

საბჭოთა არჩევნებისათვის

(სიღნაღის მაზრა)

მოახლოვდა საბჭოთა არჩევნები და სამაზრო აღმასკომიც ამოძრავდა მის წესიერად ჩასატარებლად.

ამ საქმის მოსაწყობად მან აირჩია არჩევნების მომწყობი სამეული, რომელშიაც შედიან მ. ნასიძე, შ. ტატიშვილი და ი. მხეიძე. ამათ უკვე შეიმუშავეს სათანადო ინსტრუქცია და დაუგზავნეს მაზრის თემებს.

რაიაღმასკომის სისტემა ჩვენშიაც ისპობა და გადავდივართ სათემო სისტემაზე. მაზრაში იქნება სულ 31 თემი.

ძალიან საგრძნობელია ჩვენს მაზრაში ინტელიგენტ-მუშაკთა კადრის სიმცირე და ძალიან გაგვიჭირდება 31 შეგნებული და მომზადებული პიროვნების შოვნა, რომლებიც უნდა არჩეულ იქნენ სათემო აღმასკომების თავმჯდომარეებად.

ჯერ ყოფილ 10 რაი-აღმასკომების თავმჯდომარეებიც ყველა ვერ იდგა თავის მოწოდების სიმაღლეზე.

ამ გარემოებამ იჩინა თავი თუნდაც სამეურნეო გადასახადის აკრეფაში. 15 ნოემბრისთვის შემოსულ გადასახადის ჯამი უნდა ყოფილიყო 300,000 მანეთი და ნამდვილად კი შემოვიდა მხოლოდ 180,000 მან.

ყველაზედ შემძლე გურჯაანის რაიონი აღმოჩნდა სულ ბოლოში ხარჯების წესიერად მოკრებაში.

ცხადია, რომ ჩვენ აქა გვაქვს საქმე საკითხის სახელმწიფო მნიშვნელობის შეუგნებლობასთან.

ნემსი.

სოფ. ქველეთუბანი

დილიკაურის თემი (შორაპნის მაზრა)

სოფ. ქველეთუბანი ერთად-ერთი მივარდნილი კუთხეა დილიკაურის თემში. ამ სოფელში 40-მდე კომლი სცხოვრობს. გლეხობა სიღარიბის გამო გაჭირვებულ მდგომარეობაშია. სწავლა-აღზრდის საქმე სოფელში ძლიერ ცუდათ არის დაყენებული. სოფელი ცენტრზე 4—5 ვერსზეა დაშორებული; ამის გამო ღარიბ გლეხობას არა აქვს საშუალება თავისი შვილები გაგზავნონ სასწავლებელში... ძნელათ შეხვდება ადამიანი, რომ სოფ. ქველეთუბნის მცხოვრებმა წერა-კითხვა იცოდეს. ეს გარემოება საბჭოთა ხელისუფლების დროს დაუშვებელია და უპატიებელი ცოდვაა. დღეს, მთავრობის ყურადღება სოფელზეა მიპყრობილი. ყველა სოფლის კეთილდღეობისთვის და მის წარმატებისთვის ზრუნავს.

წინეთ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გლეხობისათვის არავინ ზრუნავდა და თუ მადლიერი ვინმე გამოჩნდებოდა, რომ სოფლის კეთილდღეობისთვის ხმა აღემაღლებია, ამის ნებას არავინ აძლევდა, ეხლა კი ყველას საშუალება აქვს იშრომოს და იზრუნოს სოფლის განათლებისათვის. დილიკაურის ახალგაზრდობავ, მიაქციეთ ყურადღება ს. ქველეთუბანს. და იმედი გქონდეთ, რომ სამაზრო განათლების განყოფილება თქვენ გამოძახილს გამოეხმაურება და ჯეროვნად დააკმაყოფილებს.

ამბროსი ხალაძე.

გუდამაყრის თემი

(დუშეთის მაზრა)

გუდამაყრის თემის მცხოვრებთა რიცხვი უდრის დაახლოებით 700—800 კომლს. სოფლები დაშორებული არიან ერთმანეთს ათეული ვერსით. გზები აქეთ ძალიან ცუდია; ურემი, მარხილი აქეთ არ მუშაობს. ამის გამო აქაურ გლეხებს შეშის თუ ძნის მიზიდვა სახლში უხდებათ თავიანთი ზურგით. თემის მცხოვრებთა უმრავლესობას დღეს არ მოეპოვებათ სიმინდი და გარბიან ძაუგში (ვლადიკავკავში) სიმინდის საშოვნელად.

გუდამაყრის თემი კულტურულად ძალიან ჩამორჩენილია. მთელ თემში არსებობს ერთი სკოლა ერთი მასწავლებლით. ამ სკოლაში 1923—1924 წ. სამოსწავლო წელში მოწაფეთა რიცხვი უდრიდა 12 კაცს. აქედან ადვილი გასაგებია. თუ რა დიდი პროცენტი იქნება აქ წერა-კითხვის უცოდინარი. საერთოდ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ სწავლა-განათლება აქაურ გლეხებს ძალიან აინტერესებთ, მაგრამ ადგილმდებარეობა ხელს არ უწყობს.

ყოველ სოფელში სკოლის გახსნა ყოვლად შეუძლებელია ჯერ-ჯერობით. არსებული სკოლები 15—20 ვერსის სიშორეზეა და იქ სიარული გლეხის ფეხშიშველა შვილებისთვის ძალიან ძნელია. აქაური ახალგაზრდები ვინმე კულაკს მიჰყვებიან მეძროხეთ ან მეცხვარეთ. გუდამაყრის თემში არც ერთი სავაჭრო დუქანი არ არსებობს. აქაურ მცხოვრებს ასანთი რომ დასჭირდეს, უნდა წავიდეს ფასანაურში (რაიონული ცენტრია) და ამით უნდა გაიაროს 15—20 ვერსი, ზოგიერთებმა კი უფრო მეტიც.

სამკითხველო-ბიბლიოთეკა აქ არ არსებობს. ერთად-ერთი კულტურის კერა აქეთ არის ა. ლ. კომკავშირის უჯრედი, რომლებსაც მოსდის გაზ. „სპარტაკი“ და დროგამოშვებით ბროშიურებიც.

გრ. ნადარეიშვილი.

მიაქციეთ ყურადღება სკოლას

სოფ წეროვანი (დუშეთის მაზ)

სოფელი წეროვანი დუშეთიდან მდებარეობს 30 ვერსის სიშორეზე. წეროვანი კარგათ მოზრდილი სოფელია. აქ მცხოვრებნი მისდევენ მეურნეობას. წლს მთელი მოსავალი გააფუჭა გვალვამ.

ამ სოფელში 1923 წლამდის არ არსებობდა სკოლა და მთელი ახალგაზრდობა სკოლის გარეთ იყო დარჩენილი. 1923 წელს მთავრობამ აქ გაუხსნია 4 წლედი შრომის სკოლა. ამ ჟამად არსებობს სამი ჯგუფი, მოწაფეთა რიცხვი სამივე ჯგუფში უდრის 45-ს. ჰყავთ ერთი მასწავლებელი. სამწუხაროთ დღესაც სკოლაში ცეცხლი არ ინთება, შენობა უვარგისია, ბანში წვიმა ჩამოდის. საწყალი მოწაფეების დიდი უმრავლესობა დღეს ზამთრის პერიოდში ფეხშიშველა ან ნახევრათ შიშველი დადიან სკოლაში. მასწავლებელიც ცუდ მდგომარეობაშია, უკვე რამდენიმე თვე ჯამაგირი არ მიუღია, სკოლის მოწყობილობა და საჭირო ინვენტარი არ მოეპოვება. საჭიროა სამაზრო აღმასკომის ყურადღება.

გრ. ნადარეიშვილი

ხიდს შეკეთება სჭირდება

ხარაგოული (შორაპნის მაზრა)

დ. ხარაგოულში ჩამოდის მდ. ჩხერიმელა, რომელზედაც იყო ამდენხანს საურმე ხიდი. მაგრამ ამ 6 თვის წინათ ეს ხიდი წყალმა თითქმის სრულებით წაიღო. ერთ კვირაში ეს ხიდი შეაკეთეს, მაგრამ შეკეთება არ არის სავარგისი და საკმაო. გავლის დროს ხიდი საგრძნობლად ინძრევა და საშიშია მასზე გავლა. ამ ხიდის გაკეთება მით უფრო საჭიროა, რომ ის აერთებს დაბას რკინისგზის სადგურთან და კვირა-დღეებში განსაკუთრებით აუარებელი ხალხი საჭიროებს ამ ხიდზე გავლა-გამოვლას. აღმასკომო, მიაქციე ჯეროვანი ყურადღება ამ საქმეს და მოაგვარე ისე, რომ ხიდზე გავლა-გამოვლის დროს არავის არავითარი საშიშროება არ მოელოდეს.

ადგილელი.

პროვინციის ქრონიკა

— **არხების გაყვანა**. ქუთაისის მაზრაში ამჟამად გაყვანილია 11 არხი, სიგრძით 325 ვერსი. ეს არხები რწყავენ მთელი მაზრის ერთ მესამედს.

— **წერა-კითხვის** უცოდინარობასთან საბრძოლველად განზრახულია შორაპნის მაზრაში ჩატარებული იქნას კამპანიები.

— **ბაღების გასამშვენიერებლად** ქუთ. აღმასკომმა გადასდო 2062 მანეთი.

— **თელავის** სამაზრო აღმასკომმა დაადგინა აღმოუჩინოს დახმარება სათესი მასალის მიწოდებით მაზრის დასეტყვილ სოფლებს.

— **შორაპნის** მაზრაში უკვე დასრულდა პროფკავშირთა წევრების გამოკვლევა—სქესის, სტაჟის, სოც.-მდგომარეობის, დაზღვევის და სხ. მხრივ.

— **ქუთაისის** სოც. უზრუნველყოფის განყოფილებას ამჟამად აყვანილი ჰყავს აღრიცხვაზე და დახმარებას უწევს 214 ომის და 110 შრომის ინვალიდებს.

— **ცეკავშირი** მცხეთაში ხსნის წითელ სასადილოს.

— **წყალსადენის** გაყვანა მცხეთაში დამთავრდება ამ დღეებში.

— **დუშეთის მაზრაში** ამჟამად არსებობს 55 ოთხწლედი სკოლა და 2 შვიდწლედი. მთელ მაზრაში 3,499 მოწაფეა და 110 მასწავლებელი.

— **ზუგდიდის** აღმასკომმა გადასწყვიტა ყველა რაიონში მოაწყოს საცდელ-საჩვენებელი მინდვრები.

ტფილისის მუშკორთა, სამხკორთა და პრესის თანამშრომელთა გაერთიანებული კრება

ორშაბათს, 24 ნოემბერს ცენტრალურ მუშათა კლუბში მოხდა ტფილისის პროლეტარული პრესის მუშკორთა, სამხკორთა და პრესის თანამშრომელთა საერთო კრება, რომელზედაც „მუშკორების მოძრაობის“ შესახებ გააკეთა მოხსენება ამხ. რუბენმა. მომხსენებელმა გაარკვია საერთოდ მუშკორების მოძრაობის ისტორია, რომელიც მომხსენებლის აზრით იწყება 1911 წლიდან. შემდეგ ამხ. მომხსენებელმა გაარკვია თვით პრინციპი მუშკორობისა და დასძინა, რომ მუშკორად ითვლება მხოლოდ და მხოლოდ **მუშა**, რომელიც დაკავშირებულია რაიმე წარმოებასთან და მასასთან; იგი გამომხატველია ინტერესების იმ წარმოებისა და მუშების, რომელთანაც თვით არის დაკავშირებული. მუშკორია ის, რომელიც აწვდის პრესას ფაქტიურ მასალას თავის წარმოების და მუშების მდგომარეობის შესახებ. ყოველგვარი ამორჩევა წარმოების მიერ მუშკორისა, მომხსენებლის აზრით დაუშვებელია და დადებითს იგი არასფერს იძლევა. მუშკორი, რომელიც იწყებს უფრო სერიოზულ და საერთო ხასიათის თემებზე წერას, დასძინა ამხ. რუბენი, უკვე აღარ ითვლება მუშკორათ, არამედ ხდება პროფესიონალურ ჟურნალისტად. შემდეგ მომხსენებელი ეხება მუშკორების დევნას და ამბობს, რომ ყოველგვარი საშუალება იქნება მიღებული ამის წინააღმდეგ, რომ მმართველი პარტია და ხელისუფლება მუშკორების მხარეზეა და მას იცავს. ყოველ მუშკორს ძალუძს გამოააშკარავოს თავის ფსევდონიმი, თუ იგი საკმაოდ დაიმსახურებს საზოგადოების ყურადღებას და დარწმუნებული უნდა იყოს ისეთი მუშკორი, რომ იგი არავითარ დევნას არ განიცდის, ვინაიდან ფართო საზოგადოება, პარტია და ხელისუფლება მას დაიცავსო.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო მუშკორთა ბიუროებს და ამბობს, რომ დასაშვებია მხოლოდ საქალაქო ბიურო, რაიბიუროები კი საჭირო არ არიან, მუშკორები უნდა ერთიანდებოდენ თავიანთ გაზეთების ირგვლივ და აქედან საქალაქო ბიუროებში.

ბოლოს ეხება იმ გარემოებას, თუ რატომ არ იბეჭდება ზოგიერთი კორესპონდენციები გაზეთებში. ამის შესახებ მომხსენებელი ამბობს, რომ ყოველი კორესპონდენცია დაიბეჭდება, თუ იგი შეეხება რაიმე რეალურ ფაქტს და შინაარსიანია.

მომხსენებელი არ არის კმაყოფილი იმ პასუხებით, რომელსაც იძლევიან ჩვენი გაზეთები დაუბეჭდავ წერილებზე. საჭიროა გაუმჯობესება რედაქციების საფოსტო ყუთების, რომელიც ამასთან ერთად, რომ „თქვენი წერილი არ დაიბეჭდება“-ო—უნდა იძლეოდენ პასუხს, თუ რატომ არ დაიბეჭდება იგი. საერთოდ მოხსენება ძლიერ შინაარსიანი იყო და გარდა ამისა მომხსენებელი შეეხო კიდევ სხვა საგულისხმო საკითხებსაც.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. მომხსენებელმა ყველას დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა და თვით ოპონენტებიც დაკმაყოფილდენ.

შემდეგ მოხდა არჩევნები ქალაქის ახალ ბიუროსი. ერთხმად არჩეული იქნა 13 ამხანაგი.

დასასრულ მოხდა დელეგატების არჩევნები საკავშირო მუშკორთა ყრილობაზე, არჩეულ იქნენ ერთხმად ორი ძველი მუშა კორესპონდენტი ამხ. ამხ. **შაქრო ნავთლუღელი** და **შაპოშნიკოვი**, რომელთა არჩევასაც კრება მხურვალე ტაშის ცემით შეხვდა.

ინფ. ტონკა.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

„რუსლან და ლიუდმილა“.

არ შეიძლება ითქვას, რომ დადგმა სამაგალითო იყოს. სჩანს რეპეტიციების ნაკლებობა. მაგალითად, ორკესტრსაც, კი რომელსაც ვანო ფალიაშვილი მეთაურობდა, მეტი მოეთხოვება უვერტიურის შესრულების დროს, რადგან ის ერთგვარი უნიკუმია და იქ საჭიროა უფრო ნათელი მელოდიური სურათების მოცემა პირველ მუსიკალურ პერიოდებში.

ლიუდმილას პარტია უფრო შეეფერება ლირიულ-კოლორატურულ სოპრანოს და არა მარტო კოლორატურულ სოპრანოს, როგორიც არის მომღერალი პოპოვა. ნიჭიერი მომღერალი საუცხოვო იყო წმინდა კოლორატურულ ადგილებში, ლირიულ ადგილებში კი შესრულება მკრთალი გამოვიდა. მშვენიერათ შეასრულა პოპოვამ პარტიის დრამატიული მხარე.

გაუგებარია, რითი იყო გამოწვეული ის, რომ შარაშიძე (რუსლანი) ნაკლებ მიმართავდა კანტილენურ სიმღერას, რომელიც აუცილებელია ძველი რუსული ოპერების დროს. მას საუცხოვო ხმა აქვს. მისი ხმის დიაპაზონი ფართოა, ამიტომ მის სიმღერაში უნდა სჭარბობდეს კანტილენა. მომღერალი დაიწყებს თუ არა მუსიკალურ ფრაზას, ჩქარა შესწყვიტავს მას, რაც ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

მოსინმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ მოხუც ფინნის პარტიაში საჭიროა ნახევარი ხმით სიმღერა, რომელიც ამასთანავე ხმოვანი და ტკბილი უნდა იყოს.

საუცხოვოა ისაცკი მხიარული რაინდის ფარლაფის პარტიაში.

ლამაზი ხმა აქვს ბაბუინას (რატმირი) და ის მუსიკალურათაც მღერის, მაგრამ ამ პარტიაში საჭიროა მეტი ხმოვანება და უკეთესი ფრაზიროვკა.

დობრჟანსკაია (ნაინა) პირდაპირ შეუდარებელია დამახასიათებელ პარტიებში. საუცხოვოა მისი „ნაინა“ როგორც ვოკალურის ისე სცენიურის მხრივ.

მეტათ მუსიკალურათ მღერის გორისლავას პარტიას მომღერალი ბოგოლეპოვა.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა კულაგინმა მგოსანის პარტიის შესრულებით.

კარგია ყველგან გუნდი და ცეკვა.

პ. ბ.

— **წითელ თეატრში**. ოთხშაბათს, 26 ნოემბერს რუსული წარმოდგენა.

— „**საქართველოს კინო**“. ამ დღეებში გამოვა გაზეთ „საქართველოს კინო“-ს მეორე ნომერი.

— „**რკინის რაზმი**“: დეკემბრის პირველ რიცხვებში აჩვენებენ სახ. კინო-მრეწველობის სურათს: „რკინის კოგორტა“.

— **სომხური დრამა**. დღეს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება სომხურ ენაზე; „მამაცი ნაზარი“ დემირჩიანისა.

— **თურქული დრამა** ამჟამად ამზადებს თურქულ ენაზე გადათარგმნილ დემირჩიანის პიესას „მამაცი ნაზარი“.

— „**დაისი**“ დღეს, პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება ფალიაშვილის ოპერა „დაისი“. დადგმა მარჯანიშვილისა.

დღეს კინოებში:

— აოფასტო, სოლეი და აპოლო „სამი სიცოცხლე“

— მინიონ—ორეული.

— პალას—„ცირკის მეფე“ მეორე სერია.

— ოაზის „წმინდა ხანჯალი“.

კინო

ჩვენი კინო-მრეწველობა

„სამი სიცოცხლე“

სურათს „სამი სიცოცხლე“, რომელიც მიდის სახკინომრეწველობის კინო-თეატრებში, აუარებელი ხალხი ესწრება, რის გამო პირველი სერიის ჩვენება გაგრძელდება კიდევ რამოდენიმე დღე.

ინტერესი სახ. კინომრეწველობის სურათებისადმი.

მოსკოვიდან დაბრუნდა სახკინომრეწველობის დირექტორი ამხ გ. გოგიტიძე. ჩვენი კინომრეწველობის სურათები დიდ ინტერესს იწვევენ საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე. ამის გამო გადაწყვეტილია, რომ მოსკოვის განყოფილების გარდა გახსნილი იქნას კიდევ რამოდენიმე განყოფილება.

გერმანულ კინო-ფირმის წინადადება.

გერმანიის საზოგადოებამ „ვესტი“-მ, ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობის საშუალებით, წინადადება შემოიტანა სახკინომრეწველობაში მისი სურათების ექსპლოატაციის შესახებ სხვა და სხვა ქვეყნებში.

ამ საზოგადოებაში დიდი როლს თამაშობს სტინნესის კაპიტალი. საზოგადოება ვალდებულებას იღებს, რომ ჩვენი კინომრეწველობის სურათების რეკლამისთვის თავიდანვე დახარჯოს 5,000 დოლარი.

სპორტი

ფეხბურთელთა შეჯიბრება

კვირას 23 ნოემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა ფეხბურთელთა შეჯიბრება.

საშემოდგომო სეზონის მე-2 წრის გათამაშება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და ფეხბურთელთა ლიგა ისწრაფვის ერთმანეთს შეახვედროს ის კომანდები, რომლებსაც არ გაუსინჯავთ ერთმანეთის ძალღონე, ანდა რომელთა შეჯიბრებასაც რეალური ნაყოფი არ გამოუღია.

პირველი მატჩი შესდგა ს. ორჯონიკიძის სახელობის კომანდასა და სახელ. უნივ. მეორე კომანდის შორის. თუმცა ორივე ეს გუნდები ფეხბურთელთა პირველ კატეგორიაში ითვლებიან, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თამაშის ტეხნიკის და პირადი შემადგენლობის მხრივ ს. ორჯონიკიძის სახელობის კომანდას უპირატესობა აქვს სახელ. უნივ. მეორე კომანდასთან შედარებით.

შეჯიბრებას თავიდანვე გაცხოველებული ხასიათი მიეცა. ბრძოლის სადავე პირველ ხავტაიმშივე ხელთ იგდეს ს. ორჯონიკიძის სახელობის გუნდის ფეხბურთელებმა, მათ გაამფთრებული იერიშები მიჰქონდათ მოწინააღმდეგეზე, თუმც, ამ უკანასკნელთა სასახელოთ უნდა ითქვას, რომ მათმა თავდაცვის უნარიანობამ მოლოდინს გადააჭარბა.

ორივე ხავტაიმის განმავლობაში ს. ორჯონიკიძის სახელობის კომანდის ფეხბურთელები თითქმის ყოველთვის სახელ. უნივ ფეხბურთელების „ჭიშკარში ისხდნენ“, მაგრამ მარჯვე და მოხერხებული კონტრ-შეტევით სახელ. უნივ. კომანდა შედარებით უმტკივნეულოთ გამოდიოდა კრიტიკულ მდგომარეობიდან.

თამაში მდიდარი იყო მრავალი საინტერესო მომენტებით. შეჯიბრება გათავდა ს. ორჯონიკიძის სახელობის კომანდის გამარჯვებით —: 12.

ძალთა თანასწორობის მხრივ მეტ ინტერესს წარმოადგენდა მეორე მატჩი: ერთმანეთს შეხვდა ორი ძლიერი ჯგუფი თბილისის ფეხბურთელთა კომანდა და სახელ უნივ. პირველი გუნდი. შეჯიბრებამ თავიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო. მსაჯულის პირველ სიგნალისთანავე ორივე მხარის მოთამაშეებმა სასტიკი შეტევა განავითარეს, ისინი თავგამეტებით დაეძგერნენ ერთმანეთს, რისი შედეგიც იყო ის, რომ რამოდენიმე მოთამაშე თბილისის ფეხბურთელთა კომანდიდან ფეხების დაზიანების გამო იძულებული იყვენ გასულიყვნენ მწყობრიდან.

დარღვეული წონასწორობით ისარგებლეს სახელ. უნივერ. ფეხბურთელებმა და პირველ ხავტაიმშივე სამი გოლი შეუგდეს მოწინააღმდეგეს.

ბრძოლის სიმწვავემ უმაღლეს წერტილს მიაღწია მეორე ხავტაიმში. გახშირდა ერთმანეთისათვის კვანტის დადება და მუჯლუგუნები ორივე მხრიდან. თბილისის ფეხბურთელთა კომანდა მოთამაშეების დაზიანების გამო თითქმის განახევრდა.

ასეთ პირობებში შეჯიბრების გაგრძელება შეუძლებელი იყო და მსაჯულმა შესწყვიტა თამაში.

ჩვენ ფეხბურთელთა ლიგის ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ასეთი თავზე ხელაღებული და ერთმანეთის დაუზოგავი თამაში შეიძლება სიკვდილის შემთხვევით გათავდეს. ამიტომ საჭიროა წინასწარი ზომების მიღება უხეშ და მოჩხუბარ მოთამაშეების წინააღმდეგ, რომელი მხრიდანაც არ უნდა იყონ ისინი.

ბ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება: ოთხშაბათს, 26 ნოემბერს, საღამოს 5 ნახ. საათზე. მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში შესდგება დელეგატთა კრება არსრაიკომის კომუჯრედების მდივნებსა და ბიუროებთან ერთად.

დღის წესრიგი: თბილისის კომიტეტის ანგარიშები. მომხსენებელი ამხ. რუბენი.

დასწრება სავალდებულოა არსრაიკომის კომუჯრედების ყველა მდივნებისა, ბიუროებისა და დელეგატებისათვის.

მდივანი **მაშკევიჩი.**

— თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება: დღეს, 26 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის შენობაში მოხდება უჯრედების ბიუროების კონფერენციის გაგრძელება აგიტაცია-პროპაგანდის ორგანიზატორებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ინსტრუქტორული მოხსენება მომავალი მუშაობის შესახებ.

2. ქალთა განყოფილების ინსტრუქტორული მოხსენება მომავალ მუშაობის შესახებ.

პასუხისმგებელი მდივანი **სტურუა.**

— ახალგაზრდა კომკავშირელთა ბიუროს თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომლებიც გამოწვეულნი არიან სომხურ წრების ხელმძღვანელობათ, გამოცხადდენ დღეს 26 ნოემბერს. საღამოს 5 საათზე თბილისის კომიტეტის სააგიტაციო განყოფილებაში. მოხდება სემინარიის გახსნა. კავშირულ დისციპლინის ძალით გამოცხადება სავალდებულოა დაუყოვნებლათ შემდეგი ამხანაგებისთვის: მესამე რაიონიდან: ტოროსიან სოფია, ტოკაროვ გრ., მაილიან ს., აგობაბოვ, ოვანესიან გაიანე, ამირხანოვა მ., შახბოტიან არამ., მხათარიან რ.; მეორე რაიონიდან: არუთინოვი. მოვსესოვი, გაბრიელოვი, ადამიანი; მეოთხე რაიონიდან: ერიხანიანი, ოზნეციანი.

საქმის მწარმოებელი **ბუდანოვი.**

— თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იუწყება: ოთხშაბათს, 26 ნოემბერს, სწორედ საღამოს 6 საათზე, მესამე რაიონის პარტკლუბის შენობაში შესდგება მესამე რაიონის უჯრედების დელეგატთა კრება უჯრედების მდივნებთან ერთად.

მდივანი **ვართაპეტიანი.**

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ალიოშა (ალექსანდრე) ბეგლარის-ძე და შვილი ავთანდილი ჟღენტები, გულ დათუთქულნი დები: ელისაბედ, პელაგი და გოგოლი, ძმა სერაპიონ გიორგაძე და რძალი ნატაშა, სიძე თეოფილე ჩიგოგიძე. დედამთილი და მამამთილი ეკა და ბეგლარ ჟღენტები; ფოცოლია, აგრაფინა და ეთერი, სიძე [illegible] ლაძე; ბიძა და ბიცოლა ერიგოლ და ემელიანე; აუწყებენ ნათესავებს ნაცნობებს და მეგობრებს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროვოდ გარდაცვალებას მათი საყვარელი

პელო (პაღასი) ათანასეს ასული

ჟღენტისას

დასაფლავება ხუთშაბათს, 27 ნოემბერს ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე

ცხედარს გამოასვენებენ გოგოლის ქუჩიდან № 68 ნაშუადღევის 3 საათზე, პანაშვიდი დღეს 5, საათზედ

2854—1—1

გულდამწვარი შვილები ნადია ნიჟარაძისა შვილით, ოლღა ხეჩინოვისა, თამარა, გრიგოლი, ვლადიმერ, ალექსანდრე და შალვა ეგნატეს-ძენი და ასულნი და რძალი მარგალიტა სამსონის ასული ნარსიძე, სიძე ნიკოლოზ სიმონის ძე ხეჩინაშვილი, და აქვილინე კაპარავასი შვილით და ძმა იონა ნიკოლოზის-ძე ჭითავა ცოლშვილით, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 23 ნოემბერს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი

ელისაბედ ნიკოლოზის ასული

ნარსიასი

დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე ხუთშაბათს, 27 ნოემბერს ნაშუადღევს 3 საათზე.

პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 5 საათზე

ქვ. № 2836—2—2

დავით ვასილის-ძე, მარგარიტა ბეჟანის-ასული, კესარია ვასილის ასული, ლოლა პავლეს ასული და ბესარიონ ვასილის-ძე გვახარიები შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 23 ნოემბერს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ელისაბედ ნიკოლოზის ასული

ნარსიასი

დაკრძალვა მოხდება ამა თვის 27-ს, ხუთშაბათს, საღამოს 3 საათზე ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე.

2835—2—2

დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე მეუღლით, შვილებით სიძით და რძლებით თავზარდაცემულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ სიძის

ალექსანდრე ლომთათიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 14 ნოემბერს 1924 წ.

2852 1—1

მეუღლე ზინაიდა იროდიონის ასული, შვილები გოგი და აჩიკო ძმა არსენი, რძლები ელენე და თამარი, დები მართა, ლისა და ბაიპო, დისწულები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 2 ნოემბერს ქ. ტაშკენტში მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ალექსანდრე სპირიდონის-ძე

ლომთათიძე

დაკრძალვა მოხდა 14 ნოემბერს. 2853 2—1

სახ. გან. კომისარიატის პრ. ტეხნ. გან. მთავარ მმართ. მფარველობაში მყოფი

საბუჰალტრო კურსები № 1

ი. ავალიშვილის ხელმძღვანელობით

გაფართოვდა და გადავიდა ახალ ბინაზე

იხსნება ახალი ჯგუფი

პირობების გაგება შეიძლება კურსებზე და აგრეთვე დუშეთის ქუჩაზე № 19, საღამოს 4½—5½ საათამდის

2810—3—3 კურსების მისამართი: დავიდოვის ქ. № 25

ქართული ცხენოსანი ლეგიონი

ამით აცხადებს, რომ კვირას ა/წ. 30 ნოემბერს დილის 10 საათიდან ინიშნება

საჯარო ვაჭრობა

რიყეში (სამანის მოედანზე) 7 ცხენის და 8 კვიცის გაყიდვაზე

მსურველთ შეუძლიათ ყოველდღე ცნობების მიღება ლეგიონის შტაბში დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ლეგთავის თანაშემწე სამნეო ნაწ. კუჭუხიძე

№ 2855—1—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 26 ნოემბერს

პირველად ამ სეზონში

„დაისი“

ნ. 288. 2—2

სახელმწიფო დრამა

ხუთშაბათს, 27 ნოემბერს

პირველად ამ სეზონში

„ინტერესთა თამაში“

ნ. № 289. 3—2

თავისუფლების მოედანზე

(კუთხე ლ. დუმბაძის და სომხის ბაზრის ქ. № 1).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობა

„მდელოს“-მა გახსნა

I-ლ ხარისხოვანი სასადილო № 1

სადაც მზადდება ყოველგვარი ევროპიული და აზიური საჭმელები და აგრეთვე ბუფეტში გვაქვს ყოველნაირი სასმელები კოოპერატიულ ფასებში.

№ 2846. 2—2 გამგეობა.

გამომცემლობა „საბჭოთა კავკასიონი“

რუსთაველის პრ. № 8, ტელ. № 7—54.

იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა გასასყიდათ:

1. **ზინოვიევი** რ. კ. პ. ისტორია. ქართულ ენაზე (მეორე გამოცემა).

2. **მ. ჯავახიშვილი-ადამაშვილი** „კვაჭი კვაჭანტირაძე“

თვალყური ადევნეთ განცხადებებს

გამოცემების მთავარი საწყობი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 8. ტელ. № 7—54. ნ. 293 1—1

ექიმმა

ზანდუკელმა

განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი და ნერვიული სნეულებანი

ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი.

მიღება საღამოს 7—8 საათამდი. ლენინის (ოლღას) ქ., 49, ტელ.—82.

№ 2797—25—4

ექიმი

გ. ბ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალეირისა. ელექტრო-სხივებ რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

13—7 2746

გამოცდილ მასწავლებ. ჯგუფი

(უმაღლესი განათლებით)

ამზადებს

საშუალო სასწავლებლის მთელი კურსის მოწმობაზე და ყველა კლასებისათვის, აგრეთვე ასწორებენ ჩამორჩენილ მოწაფეებს მათემატიკაში და სხვა საგნებში, აქვე სდგება მოსამზადებელი ჯგუფი უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად: უნივერსიტეტში, სამხედრო აკადემიაში, პოლიტეხნ. ინსტიტუტში. პლეხანოვის ქ. 25 შესავალი ალექსის ქუჩიდან 5.

9—2 კვირა უქმეს, ისე დღით 2—5 ბინა 4.

№ 2820—4—2

ექიმმა

დიტრიხმა

ავადმყოფობის შემდეგ

განაახლა

ავადმყოფების მიღება გერმანელთა საავადმყოფოში

ქვ. № 2837—25—2

ექიმი

შუხმანი

სიფილისის, ვენერიული და კანის ავადმყოფობის

მკურნალობა

მიღება 5—7 საათამდი

ელისაბედის ქ. № 89 ქსენიის პირდაპირ. 2672—25—1

დაკარგა 1) განათლების თერჯოლის მაღალ-დაწყებითი სასწავლებლიდან მოცემული ოთხ კლასის დასრულებაზე. 2 ბირჟის ბილეთი მოცემული ქიათურის მაზრიდან. 3) სარეგისტრაციო ბარათი. 4) პირადობის მოწმობა. ვლადიმერ ირაკლის ძე მაკარიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

№ 2853—1—1

დაკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 10368 და ფული ამონაწერი დავით ზურაბის ძე რულის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 ქვ. № 2847.

დაკარგა საბჭოთა მოსამ. პროფ კავ. წიგ. № 4168 ნასე ერმილესძე ჭელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

№ 2838 1—

დაკარგა პირადობის მოწმობა ცემული რაჭის მილიციის სამმართველოდან, აღრიცხვის მოწმობა მეტრიკული მოწმობა მიხეილ ჯაფარიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

№ 2848 1—

დაკარგა პირადობის მოწმობა № 942 მოცემული ლისის მილიციის მიერ, გიორგი სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

№ 2849 1

სტამბა, საშ. წულუკიძის ქუჩა № 4.